

Deutsche
Balladen

z.
Übertragen ins Georgische
von

Akaki Gelowani

Saltschotta Azeruli

Tbilisi

1961

მედიკალი

მედიკალი

ფ

თავისებურად

აქაქი ბულოვანება

ფ

„საბჭოთა მედიკალი“

თბილისი

1961



გერმანული ბალადა

ბალადის ისტორიული ძირები თვით ხალხის ცხოვრებიდან მოდის, ხოლო პოეტური საწყისები — ეროვნული ფოლკლორიდან. ამიტომ ყოველი ქვეყნის სინამდვილეში ბალადას აქვს სპეციფიკური ეროვნული ნიშნები, რომლებითაც ის სხვა ისტორიულ გარემოში წარმოშობილი ამავე ჟანრის ნიმუშებისაგან განსხვავდება. ფრანგული ბალადა, მაგალითად, ძველი პროვანსული საცეკვაო სიმღერიდან განვითარდა, გერმანიაში კი ბალადის საფუძველი იყო ხალხური ლექსი, რომელსაც უპირატე-

სად დრამატულ-ტრაგიკული სიუჟეტი ჰქონდა. გერმანულის მსგავსი გენეზისი აქვს ბალადას ინგლისსა და შოტლანდიაში. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ გერმანიაში ინგლისურ-შოტლანდური ბალადები თავიდანვე ფართოდ იყო გავრცელებული; კარგად იცნობდნენ, კერძოდ, თომას პერსის მიერ გამოცემულ „ძველი ინგლისური პოეზიის ნარჩენებს“. ასეთი კრებულები თუ ანთოლოგიები, რომლებმაც უშუალოდ მოამზადეს ნიადაგი კლასიკური ბალადის განვითარებისათვის, გერმანიაში უფრო გვიან შეადგინეს. განმანათლებლური ლიტერატურის პირველმა ტალღამ გერმანულ მკითხველს მოუტანა იოჰან გოთფრიდ ჰერდერის ხალხური ბალადებისა და სიმღერების კრებული „ხალხთა ხმა სიმღერებში“ (1778-79 წ.წ.) და რომანტიკოსების იოაჰიმ არნიმისა და კლემენს ბრენტანოს ანთოლოგია „ყმაწვილის ჯადოსნური ბუკი“ (1806—1808 წ.წ.). ამავე პერიოდში ზედიზედ გამოქვეყნდა ლუდვიგ ულანდის, კარლ ზიმროკისა და დეტლევ ფონ ლილიენკრონის ხალხური პოეზიის ანთოლოგიები, რომლებმაც გერმანულ ლიტერატურაში ეროვნული პოეტური კულტურის მივიწყებული ფურცლები გააცოცხლეს.

დიდი უმრავლესობა ხალხური სიმღერებისა, რომლებიდანაც გერმანული ბალადა განვითარდა, XV-XVI საუკუნეებში შეიქმნა. ეს ის სიმღერებია, რომლებზეც ჰაინე ამბობდა: „ვისაც გერმანულთა ცხოვრება კარგი მხრით უნდა გაიგოს, ვურჩევ,

მათი ხალხური სიმღერები წაიკითხოს“. მოსახლეობის სხვადასხვა ფენების გამოსვლა ფეოდალური დესპოტიზმის წინააღმდეგ, გლახთა აჯანყება XVI საუკუნეში და შემდეგ ოცდაათწლიანი ომი დიდხანს ასაწარმოებდნენ ხალხის მხატვრულ ფანტაზიას. ისტორიული მოვლენებით მდიდარ საუკუნეებში შეიქმნა ბრძოლისა და დაზავების, სიხარულისა და სევდის მოტივებით მდიდარი პოეზია, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო კლასიკურმა ლიტერატურამ. მართალია, გერმანულ ხალხურ ბალადაში უფრო ნაკლებად აისახა კონკრეტული ისტორიული ამბები, ვიდრე სიმღერებსა და ქრონიკებში, მაგრამ მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იმით, რომ ხალხურმა ბალადამ შემდგომი დროის პოეზიას ცოცხალ ხალხურ სიუჟეტებთან ერთად შემოუნახა ორიგინალური პოეტური ფორმები, რაც მრავალგვარი ვარიაციით გვხვდება გოეთესა და შილერთან, ჰაინესა და მიორიკესთან, ბეხერთან და ბრესტთან.

გერმანული ხალხური ბალადის ძირითადი ტენდენცია პუმანური და დემოკრატიულია. სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა, ჩაგრული ადამიანის დაცვა, ტირანების განქიქება, კაცთმოყვარეობა და შრომისმოყვარეობა, პატიოსნება და გამზედაობა — ბალადების ავტორთა საყვარელი თემებია. ეს თემები მათთან სხვადასხვაგვარად მუშავდება: ხან მჩაყვრელისადმი უბრალო ზიზღია გამოთქმული, ხან ბრძოლისაკენ მოწოდების ხმა გაისმის, ზოგჯერ კი მხოლოდ იმედია იმისა, რომ სიკეთე გაიმარჯვებს.

ჩვენამდე მოღწეული ბალადებიდან ბევრია ისეთიც, რომლებშიც ავტორები ზეზუნებრივ ძალებს იხმობენ ბოროტების ასალაგმავად. ისტორიული ხასიათის ბალადებში მთავარი უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაა, უფრო „ლირიკული“ განხრის ნაწარმოებებში უცნობი პოეტი სიყვარულსა და გულწრფელობას, გაზაფხულსა და ბუნების განახლებას უმღერის.

XVIII-XIX საუკუნეებში განმანათლებლურ-კლასიკური, რომანტიკული და რეალისტური ლიტერატურის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა ძველი ხალხური თემებისა და მხატვრული ფორმების მიხედვით ბევრი ახალი პოეტური ნაწარმოები შექმნეს. ახალი ნაწარმოებები დაიწერა, კერძოდ, ხალხური ბალადის საფუძველზე; გოთფრიდ აუგუსტ ბიურგერმა თავისი „ლენორეთი“ განახლებული პოეტური ბალადის პირველი კლასიკური ნიმუში შექმნა XVIII საუკუნის გერმანულ ლიტერატურაში. ამას მოჰყვა ახალგაზრდა გოეთეს პოეტური შედეგები — „ტყის მეფე“, „მეთევზე“ და „თულელი მეფე“, რომლებმაც ბალადა საბოლოოდ დაამკვიდრეს გერმანულ კლასიკურ-განმანათლებლურ ლიტერატურაში.

მხატვრული სიტყვის ცნობილმა ოსტატებმა ძველი ბალადური თემები და სიუჟეტები თავიანთი მსოფლმხედველობრივი მრწამსის მიხედვით დაამუშავეს: რომანტიკოსებმა მეტი გასაქანი მისცეს მხატვრულ ფანტაზიას, თავისებურად შემოინახეს ზღა-

პრული და მისტიკური, განმანათლებლური რეალიზმის წარმომადგენლები კი უფრო მეტად შეეცადნენ ზღაპრულსა და ფანტასტიკურში არ დაეკარგათ კონკრეტულ-ისტორიული. ხალხური ბალადის როგორი დამუშავებაც არ უნდა იყოს, მასში ყოველთვის შემორჩენილია ის არსებითი თემატური და ჟანრულ-პოეტური ნიშნები, რომლებითაც ბალადა სხვა ლირიკული ჟანრებისაგან განსხვავდება. ეს ნიშნები არსებითად უცვლელია უფრო გვიანდელ ბალადებშიც კი, რომლებიც რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის, კრიტიკული და სოციალისტური რეალიზმის ნიმუშებად ითვლებიან. ჩვეულებრივი ამბის დრამატული ინტონაციებით თხრობა, ხალხური ბალადის ეპიკური ტონი და თავისუფალი პოეტური მეტრიკა ისევე ახასიათებს ვერთის, ფრაილიგრათის, ჰერვეგის, ბეხერის, ბრეხტის და ვაინერტის შედარებით ახალ ბალადებს, როგორც ეს ახასიათებდა „ყმაწვილის ჯადოსნურ ბუკში“ და ჰერდერის ანთოლოგიაში შეტანილ საუკეთესო ნიმუშებს. განსხვავება აქ მხოლოდ ისაა, რომ რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის წარმომადგენლებმა ბალადა 1848 წლის რევოლუციის მებრძოლთა სახეების ჩვენებისათვის გამოიყენეს, ხოლო XX საუკუნის მოწინავე პოეტებმა ეს ძველი ჟანრი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მიზნებისათვის აამეტყველეს.

ასე გადადიოდა ბალადა თაობიდან თაობაში. ლიტერატურული განვითარების ყოველ საფეხურზე

იგი ახალი შინაარსით იცვებოდა, იცვლებოდა მისი სოციალური დანიშნულებაც. მაგრამ ბალადას ყოველთვის თან ახლდა ხალხური საწყისები, რაც ჩვეულებრივ ამა თუ იმ სასიით იგრძნობა ხოლმე დიდ ლიტერატურაში. ცნობილია, რომ ბევრი ხალხური ბალადა ახალი ძალით აქლერდა ცნობილი პოეტების შემოქმედებაში, ხოლო ზოგიერთი კლასიკური ბალადა ისევ ხალხს დაუბრუნდა და ხალხური გახდა. ასეთია ხალხური „ლორელაი“, რომლის საფუძველზეც ბალადები შექმნეს ჰაინემ, ბრენტანომ და აიხენდორფმა. ასეთივეა „ვაინსბერგელი ქალები“, რომლის სიუჟეტიც ბიურგერმა და შამისომ გაძოიყენეს. მოხდა პირიქითაც, ახლა ბევრმა არც კი იცის, რომ გერმანიაში გავრცელებული „ლორელაის“ ავტორი ჰაინეა, რომ „კარგი ამხანაგი“ ულანდმა დაწერა, ხოლო „კეთილი იმედის კონცხი“ შუბარტმა.

ბალადაში ორგანულადაა შესავეებული ლირიკული, ეპიკური და დრამატული ელემენტები. ლირიკულია უმთავრესად ლექსის გარეგანი პოეტური ფორმა, ეპიკურობა უპირატესად თხრობის მანერაშია. ხოლო დრამატიზმის ელემენტები აშკარად იგრძნობა მოქმედების განვითარებასა და დიალოგებში. ბალადის მხატვრულ კომპონენტთა ასეთ სინთეზურ ხასიათზე მიუთითებდნენ უკვე მაშინვე, როგორც კი იგი გერმანულ ლიტერატურაში დამკვიდრდა. ეპოსი, ლირიკა და დრამა — წერდა გოეთე 1831 წელს — „შეიძლება შემოქმედებდეს ერ-

თად და ცალ-ცალკე. ბატარა ლექსშიც კი შეიძლება ისინი ერთად ვიპოვოთ და სწორედ ასეთი შეერთების დროს, მცირე მოცულობის მიუხედავად, განსაკუთრებით თვალსაჩინოა სურათი, რასაც ყველა ხალხების უაღრესად მდიდრულ ბალადებში ვხედავთ“.

ბალადის ამგვარი სინთეზური ხასიათის გამო, მისი პოეტურ-ქანრული საზღვრები შედარებით გვიან დადგინდა. ბიურგერიც კი, რომლის „ლენორეთი“ იწყება ისტორია კლასიკური გერმანული ბალადისა, ბალადას ჯერ კიდევ არ ხმარობს იმ საკუთრივ-ვიწრო მნიშვნელობით, რომელიც დღეს მიღებულია ლიტერატურის თეორიაში. ერთ-ერთ წერილში იგი თავის „ლენორეს“ უწოდებს რომანსს, რომელიც მან „უძველესი ბალადის მიხედვით“ შექმნა. „ბალადები და რომანსები“ — ასე უწოდებს ხოლმე ულანდიც თავის პოეტურ ნაწარმოებებს, თანაც ისე, რომ ფაქტიურად არც კი განასხვავებს ერთმანეთისაგან. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გერმანელი ავტორები ბალადას განსაზღვრავენ, როგორც ეპიკურ-ლირიკულ ლექსს, რომელშიც რაიმე კონკრეტული ამბავი თუ მოტივი დრამატული მოქმედების სახით ვითარდება. დრამატული დაძაბულობა, რაც ბალადის ორგანული ელემენტია, ლექსის პირველი სტრიქონებიდანვე იწყება, შემდეგ თანდათან ძლიერდება და კვანძის გახსნით მთავრდება.

მაგრამ ამბის ეპიკურ-დრამატული თხრობა ბა-

ლადაში ყოველთვის ერთნაირად არ ხდება. ბირიქით, ეს მომენტი გადაწყვეტილია ისე, როგორც ამას ბალადის ხასიათი მოითხოვს; ბალადის ხასიათი კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა არის ნაწარმოების რეალური და თემატური საფუძველი. ბალადები შექმნილია, როგორც კონკრეტულ ამბავზე პოეტის თანამედროვე ცხოვრებიდან, ასევე ისტორიულ ამბავსა და რაიმე გმირულ თქმულებაზე. ბალადაში შეიძლება იყოს შითურ-ზღაპრული ამბავი ან მისი ხალხური ვარიანტები, შეიძლება ჭარბობდეს ცოცხალი ხალხური იუმორი ან ტრაგიკული ელემენტი. ბალადის ფორმა, პოეტური თხრობის მანერა, დრამატიზმის განვითარება განსაზღვრულია სწორედ იმით, თუ როგორია ნაწარმოების თემატური საფუძველი. მაგრამ კლასიკურ გერმანულ ბალადას მაინც აქვს ერთი არსებითი ნიშანი: იგი უაღრესად ხალხური და ჰუმანისტურია.

გერმანული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია ხალხური პოეტური ტრადიციების გაყალბებისა და რეაქციულ-კლასობრივი მიზნებით მათი გამოყენების ცდებიც. ნაციონალისტურ-შოვინისტურ ბურჟუაზიის მეხოტბენი კულტურული წარსულის ათვისებისას ეძებდნენ რაღაც „წმინდა გერმანულ სულს“, რომელიც თითქოს თაობიდან თაობაში გადადის. ამ „სულის“ ბევრი ნიმუში, მათი აზრით, შემონახულია ბალადაშიც, რომელსაც დიდი ისტორიული წარსული აქვს. რეაქციული რომანტიზმის, ხოლო შემდეგ ნეორომანტიზმის ზოგიერთ-

მა წარმომადგენელმა სერიოზულად სცადა ისეთი ბალადების შექმნა, რომლებიც „ჭეშმარიტ ეროვნულ გრძნობას“ გააღვივებდნენ გერმანელებში, ცხადია, ამ სიტყვების ბურჟუაზიულ-შოვინისტური გაგებით. მაგრამ ასეთი ცდების მიუხედავად, რეაქციულმა ბურჟუაზიამ და მისმა მხატვრულმა მესიტყვეებმა ვერ შეძლეს ცნობილი პოეტური ჟანრების ანტიჰუმანისტური ხაზით განვითარება. დემოკრატიული კულტურა ყოველთვის ცოცხლობს ეროვნულ საგანძურში; მისი „ზემოდან“ ხელოვნურად შეჩერება თუ გაუქმება შეუძლებელია. ეს დაამტკიცა გერმანულმა ბალადამაც, რომლის ჭეშმარიტად ხალხურმა ძირებმა ბოლომდე შეინარჩუნეს ცხოველმყოფელობა.

მარქსისა და ენგელსის მდიდარ მემკვიდრეობაში არის რამდენიმე წერილი და შენიშვნა, რომლებშიც მსინი გერმანულ ლიტერატურის ხალხურ ტრადიციებს იცავენ და სასტიკად აკრიტიკებენ ამ ტრადიციების გამყალბებლებს. ენგელსი, მაგალითად, წერილში „გერმანული ხალხური წიგნები“ გადაჭრით უარყოფს რეაქციულ-რომანტიკულ შეხედულებებს ფოლკლორის თეორიაში და მეცნიერულად აშუქებს ლიტერატურის ხალხურობის საკითხებს. იგი იცავს დებულებას, რომ ხალხური შემოქმედების ცნობილი ნიმუშები, საუკეთესო ხალხური წიგნები, არ არიან ძველი დროის უბრალო დოკუმენტები, რომ სწორედ მათთანაა დაკავშირებული მარადცოცხალი კულტურული ტრადიცია, რომელიც ყოველ-

თვის ინარჩუნებს შემეცნებით ღირებულებას და იდეურ-აღმზრდელობითი შემოქმედების ძალას. ხალხური წიგნი, ამბობს ენგელსი, არა მარტო ართობს მძიმე შრომისაგან დაღლილ გლეხს, არა მარტო ავიწყებს მას მძიმე. ხვედრს ყოველდღიურ ცხოვრებაში, არამედ სტიმულიცაა იმისათვის, რომ მან თავისუფლებასა და უკეთეს ცხოვრებაზე იფიქროს. ხალხური წიგნი, ენგელსის სიტყვებით, მშრომელ ადამიანში აღვიძებს გამბედაობის გრძნობას, სიყვარულს სამშობლოსადმი.

წერილში — „გერმანული ხალხური წიგნები“ ენგელსი ლაპარაკობს უპირატესად ხალხური შემოქმედების ისეთი ნიმუშების შესახებ, როგორიცაა თქმულებები ფაუსტზე, „ამბავი დაუზიანებელი ზიგფრიდისა“, „ოილენშპიგელის მსგავსი სახუმარო ხალხური წიგნები“ და სხვა. მაგრამ, ცხადია, რომ იგივე შეიძლება ითქვას ისტორიული ქრონიკებისა და ზღაპრების, ხალხური სიმღერებისა და ბალადების შესახებ. — თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხურ ტრადიციას ეროვნული ლიტერატურის განვითარებაში ეს კარგად ჩანს, კერძოდ, ბალადის მაგალითზე, მის განვითარებაზე ხალხური ლექსიდან ლიტერატურულ ჟანრამდე.

გერმანულ ფოლკლორსა და კლასიკურ ლიტერატურაში ბალადა ერთ-ერთი გავრცელებული პოეტური ფორმაა. ასეთია იგი მეოცე საუკუნის გერმანულ პოეზიაშიც. განსაკუთრებული ძალით ყდერს ბალადა მხატვრული სიტყვის ისეთი გამოჩენილი

ისტატების 'შემოქმედება'ში, როგორცაა ბერტოლდ ბრეხტი, იოჰანეს ბეხერი და ერიჰ ვაინერტი. ბრეხტის „ლეგენდა მკვდარ ჯარისკაცზე“ და „ბალადა მაზეპაზე“, ბეხერის „ბალადა სამზე“ და „ადამიანის დაბადება“, ვაინერტის „გერმანელი დედა“ და „ყრველღიური ბალადა“ კარგი ნიმუშებია იმისა, რომ პროგრესულ გერმანულ ლიტერატურაში დღესაც ვითარდება ხალხის წიაღიდან მომავალი ფოლკლორული ტრადიცია. რომელიც ახალი იდეური შინაარსით ივსება ხოლმე. პოეტური ფორმა, რომლითაც დაწერილია ბიურგერის „ლენორე“ და ჰერდერის „ტყის მეფის ქალიშვილი“, გოეთეს ტყის მეფე“ და შილერის „ხელთათმანი“, ჰაინეს „ორი გრენადერი“ და ფრაილიგრათის „ზანგების მეფე“— გერმანული პოეტური კულტურის ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულებაა. იგი არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს; თაობები არასოდეს დაჰკარგავენ მისადმი ინტერესს.

* * *

გერმანულ ბალადებს პირობითად აჯგუფებენ ხოლმე რაიმე გარკვეული ნიშნის მიხედვით. გამოჰყოფენ, მაგალითად, ისტორიულ, მითურ, გმირულ. ზღაპრულ და ა. შ. ბალადებს. ზოგჯერ კლასიფიკაციას ახდენენ რაიმე თემატური საზღვრების მიხედვით, ისე როგორც ეს გერმანული ბალადების 1956 წლის გამოცემაშია (გამომცემლობა „ნოიეს

ლებენ“, ბერლინი): „რაინზე ცხოვრობდა ერთი ქალი“, „გულწრფელად უყვარდათ ერთმანეთი“, „დამ ძმა დაჰკარგა, ცოლმა კი ქმარი...“ და ა. შ. ეს დაყოფა პირობითია.

ბალადების ქართულად გამოცემისას, ბალადების კლასიფიკაციის პრობლემა, რაც თავისთავად ერთობ რთული საქმეა, არაა მნიშვნელოვანი. ქართული წიგნი გერმანული ბალადების ერთ ნაწილს შეიცავს, ამიტომ აუცილებელი იყო მხოლოდ ხალხური ბალადების გამოყოფა, ავტორები კი ქრონოლოგიური მიმდევრობით არიან დალაგებული.

გერმანული ბალადების ქართული წიგნის მკითხველი ნაწილობრივ მაინც იგრძნობს მთელ იმ მრავალფეროვნებას, რაც ამ ძველ პოეტურ ჟანრს ახასიათებს. სრული კარ იქნება მისი წარმოდგენა ბალადის განვითარებაზე ხალხური ლექსიდან დღევანდელ ბალადამდე, ვინაიდან წიგნში წარმოდგენილი არაა ბევრი მნიშვნელოვანი პოეტური ნიმუში, თითქმის სულ არაა მეოცე საუკუნის პოეტური ნაწარმოებები. მიზეზი ამისა, წიგნის მცირე მოცულობის გარდა, ისიცაა, რომ ზოგიერთი პოეტის ბალადა (მაგ. გოეთესი, შილერის, ჰაინესი, ვეერთის) ადრევე ითარგმნა და გამოქვეყნდა ცალკე წიგნებში. განსაკუთრებული ღვაწლი ამ საქმეში მიუძღვის ხარიტონ ვარდოძეილს.

ქართულ ენაზე გერმანული ბალადების წიგნი პირველად გამოდის. მისი დანიშნულებაა გააცნოს

და შეყვაროს მკისხველს გერმანული ხალხური და პოეტური ბალადები, შეიყვანოს იგი სხვა, შედარებით ახალ, პოეტურ სამყაროში, სადაც გასაქანს მისცემს თავის ფანტაზიას და გერმანული პოეზიის ელვარებას შეიგრძნობს.

ზურაბ ჭარხაიაშვილი





სიკვდილისა და სიცოცხლის ღავა

სიცოცხლემ ასე თქვა:

— ქვეყანა ჩემია!

სიმღერა, სიცილი, ქორწილი ჩემია!

მე მზე ვარ, შუქი ვარ, ნათელი მცემია.

სიცოცხლემ ასე თქვა:

— ქვეყანა ჩემია!

სიკვდილმა ასე თქვა:

— ქვეყანა ჩემია!

სიმღერა, სიცოცხლე მიწაში წვებიან,

უკუნეთ ღამეში ვარდები ჭკნებიან.

სიკვდილმა ასე თქვა:

— ქვეყანა ჩემია!

სიცოცხლემ ასე თქვა:

— ქვეყანა ჩემია!

აშენე სამარხი, როგორცა გჩვევია,

სიყვარულს ვერ მოკლავ! შვილები რჩებიან!

სიცოცხლემ ასე თქვა:

— ქვეყანა ჩემია!

სიკვდილმა ასე თქვა:

— ქვეყანა ჩემია!

ჭირი და ომები აღარა ცხრებიან

და კაცთა ტომები საფლავში წვეებიან.

სიკვდილმა ასე თქვა:

— ქვეყანა ჩემია!

სიცოცხლემ ასე თქვა:

— ქვეყანა ჩემია!

სახნისი გადახნავს სამარეს ძვლებიანს,

ლანდები ქრებიან, ცრემლები შრებიან,

სიცოცხლემ ასე თქვა:

— ქვეყანა ჩემია!





ბატონი ტიღმანი *

ადგა ტიღმანი დილაადრიან,
მეფეს ამაოდ კი არ აღრიან,
რა კობტად იცვამ, ბატონო ტიღმან!
სად არ აქებენ ზუღერჰარდელებს!

რა კობტად იცვამ, ბატონო ტიღმან.
ღმერთს რად ემღური—გიბოძა თვით მ.წ.
მწვანე ატლასი, ტყავის წაღები.
სად არ აქებენ ზუღერჰარდელებს!

მწვანე ატლასი, ტყავის წაღები,
ოქროს დეზები თვალისწამლები...
ზუდერჰარდელებს მოსთხოვე ღალა.
სად არ აქებენ ზუდერჰარდელებს!

წახვედი, მუხლი არ დაგეღალა,
ზუდერჰარდელებს მოსთხოვე ღალა,
სულზე ღორი და შვიდი ჩანახი.
სად არ აქებენ ზუდერჰარდელებს!

სულზე ღორი და შვიდი ჩანახი! —
ადგა მოხუცი ბევრის ნანახი:
„ვიდრე მიიღებ ღორებს და ღალას, —
სად არ აქებენ ზუდერჰარდელებს!

ვიდრე მიიღებ ღორებს და ღალას,
ზუდერის მიწას სისხლი დაღარავს.
ჰეი, გლეხებო, დავიცვათ თინგი! *
სად არ აქებენ ზუდერჰარდელებს!


ჰეი, გლეხებო, დავიცვათ თინგი,
შემოჭრილ მტარვალს მოვტესოთ დინგი!“
და ბერიკაცმა დაჰკრა პირველი.
სად არ აქებენ ზუდერჰარდელებს!

ტიღმანს მოხუცმა დაჰკრა პირველი,
ჰქონდა ნაკრავი გასაკვირველი,

დასცა, წავიდა სისხლი ღვარადა.
სად არ აქებენ ზუღერჰარდელებს!

დასცა, წავიდა სისხლი ღვარადა,
გუთანი ყანებს ისევ ღარავდა,
და სუქდებოდნენ ტყეში ღორები.
სად არ აქებენ ზუღერჰარდელებს!





იმპერატორი ბარბაროსა კიფჰანიერში *

ზის ბარბაროსა ქვესკნელის კართან
კიფჰაიზერის მღვიმეთა შორის;
საბედისწერო სალევის წყალთა
ესმის კაიჯერს გუგუნი შორი.

სალევის წყალში დაეცა დამბლა,
როს ჯვაროსანთა ლაშქარი დაძრა,
ლოდზე მთვლემარე დაეშვა დაბლა
და ექცა მღვიმე ახენის ტაძრად:

გული ტარზოსში დამარხეს მისი,
კიფჰაიზერში — იმედი მწველი,
მეფის თვალებში ჩამდგარა ნისლი
და სძინავს ასე შვიდასი წელი.


სპილოს ძვლის სკამზე ზის კაიზერი,
მღვიმე ვერ იტევს მეწამულ წვერებს
და ზუნდოვანი კიფჰაიზერი
გულს ვერასოდეს ვერ აუძგერებს.

სძინავს ხელმწიფეს და ელანდება
სარკინოზების ხმალთა ტრიალი,
მაშინ იმედი აელვარდება:
„გაქრა ყორანთა გუნდი ტიალი?“

„არაო, — მოდის ქონდარა კაცი, —
ციხეს არყევსო ყრანტალი მათი!“
„არა!“ -- დუდუნებს ხელმწიფე მკაცრი
და კვლავ იძინებს ასი წლის ვადით.

ხან თოვლი მოდის, ხან სისხლის წვიმა,
იდუმალ დუდუნს უსმენს ტყე-ველი:
„ვაგლახ! რარიგად მოგიცვა ძილმა
ჰენრიხ ლომის და პაპთა მძღვევლი!“

ამბობენ, როცა სიმაგრის თავზე
შეწყვეტსო ყრანტალს ყორანთა გუნდი,
ადგება გმირი ჯან-ლონით სავსე,
რომ გერმანიას აჰყაროს ხუნდი.





•

უფლისწული და მეფის ასული *

მეფისწულს და მეფის ასულს
ერთი მძიმე დარდი კლავდა:
სიყვარულით დაისრულებს
ყოფდა ღვარი მღვრიე წყალთა.

ლამით ვაჟი ტალღებს არღვევს,
ღმუის, ბორგავს შმაგი წყალი;
ბნელში გზა რომ არ დაკარგოს,
სანთლებს ანთებს მეფის ქალი.

ერთი გულქვა მონაზონი
ქაჯთან იყო შეფიცული:
დაუშრიტა კელაპტრები
და წყალს მისცა მეფისწული.

დადგა თეთრი კვირა დილა,
ზეიმობდა ირგვლივ ხალხი,
მხოლოდ ბედშავ მეფის ასულს
დასწოლოდა გულზე თალხი.

„ო, დედილო, თავი მტკივა,
რალაც გული მეკუმშება,
ჩავალ ერთი მდინარეზე,
იქნებ ნახოს გულმა შვება“.

„ო, ასულო საყვარელო,
დაც იახლე, გევედრები,
მარტო არსად არ წახვიდე,
თორემ ხიფათს შეეყრები“.

„არა, ბავშვი შინ დარჩება,
არ მაქვს მისი დევნის თავი;
ვარდებს მუსრი რომ გამივლოს,
რას გავაწყობ მასთან დავით!“

„ო, ასულო საყვარელო,
ძმა იახლე, გევედრები,

მართო არსად არ წახვიდე,
ხიფათს რასმე შეეყრები“.

„არა, ბავშვი მინ დარჩება,
სად მაქვს მისი დეენის თავი!
მერცხლებს მუსრი რომ გამივლოს,
- რას გავაწყობ მასთან დავით!“ *

ტოვებს ასულს დედოფალი,
ის კი მზერადანისლული
ცრემლთა ფრქვევით მიდის ქვევით,
შავი დარდით დაისრული.

წყლის ნაპირას ეხეტება
უიღბლო და უბედური,
უცბად ხედავს: ქოხის კარზე
დგას მოხუცი მეზადური.

ოქროს ბეჭედს აძლევს მოხუცს,
თან ცახცახებს, ვითა წნორი:
„გამომართვი და იპოვე
ფსკერზე ჩემი გულის სწორი!“

ოქროს გვირგვინს აძლევს მოხუცს
და ცახცახებს, ვითა წნორი:
„აილე და მომიყვანე,
ბერიკაცო, გულის სწორი!“

მებადური დაიხარა —
გაიშალა ბადე წყალში,
და ქვიშაზე დაასვენა
დაღუპული მეფის ვაჟი.

ქალი სატრფოს დასტიროდა:
„შენ მოშხამე შვება ჩემი!
აჰ, რომ გეთქვა ერთი სიტყვა,
დასრებოდა თვალში ცრემლი!“

მოსასხამში შეახვია.
„შეიფარე სარძლო შენი!“ —
თქვა, უფსკრულში გადაეშვა
და ქვესკნელი შეხვდა ქშენით.

...როგორ კენესის ტაძრის ზარი,
და რა მძიმე ფიქრებია!
გლოვის ხმაზე მიჯნურები
სამუდამოდ იყრებიან...





უ ლ ი ნ ბ ე რ ი

ვინ არ უსმენს, ვინ არ ხედავს -
ამ უღარდელ, უცხო მხედარს,
სიმღერით რომ ამწუხარებს
და იტაცებს ქალწულ ქალებს!

ფანჯარასთან ასვეტილი
დგას ერთი და ასე ტირის:
„აჰ, სიცოცხლეს დავთმობ მისთვის.
მაგრამ რატომ ხელს არ მიწვდის?“

„ჩემს ციხეში გაგაქროლებ,
სიყვარულით აგათრთოლებ
და სიცოცხლეს გიქცევ თაფლად —
საყვარელო, გელი დაბლა!“

ქალმა ყველა ნივთი შეკრა,
ეჩქარება გმირთან შეყრა,
ჩაიტანა ფუთა ხნულში
და ჩაეკრა მხედარს გულში.

მოათარა კაცმა ფარი,
გადალახა მთა და ბარი...
ულინგერი ქალით ხელში
დაქვეითდა მწვანე ტყეში.

უცხად ეცა ქალწულს ელდა:
სად არის .და ვის ჰყავს ხელთა?
ტოტზე დაჯდა თეთრი მტრედი,
კვნესით ამცნო მრუდე ბედი:

„შენმა გმირმა ამას წინათ
აქ თორმეტი დააწვინა;
თუ შეცდი და ამ კაცს ენდე.
შენ იქნები მეცამეტე“.

ქალი კვნესით გატრიალდა:
„ვაჰ, სიცოცხლე გატიალდა
გესმის? გარცხვენს თეთრი მტრედი,
დაბინდულა ჩემოვის ბედი“

„ტყუის მტრედი, ცილსა მწამებს
ნუ მიკარგავ ძვირფას წამებს!
მესმის მისი გულის ძგერა:
ჩანს, მიმიღო ულინგერად!

ან რითა ვარ სხვაზე ცუდი?
დადგა ლხენით სავსე წუთი!
დავწვეთ აქვე ბალახში და
გავიხაროთ თამაშითა.

თვალი ცრემლით აგივსია —
ცრემლი რისი მაქნისია?
ასე გიყვარს განა ქმარი,
შენზე ფუჰად გადამკვდარი?“

„არა, ქმარი არ მყავს ჯერა,
მაგრამ შენი არა მჭერა...
ეს რა უცხო პირებია,
მუხის ქვეშ რომ ირევიან?

რა ხალხია? ვინ არიან?“
„ნახე, იქნებ სიზმარია.
ჩადი ერთი, აჰა ხმალი,
რას მიყურებ ეჭვის თვალით?“

„სად ქალწული და სად ხმალი,
მძიმე, ცივი და მსახვრალი!
ვხედავ, რაღაც წარმართული
ქორწილია გამართული“.

მიდის ქალი გოდებითა,
ხედავს: მუხის ტოტებიდან
თორმეტივე გაყინული
ქალწულია დაკიდული.

ჯდება გულისტკივილითა
და თმებს იგლეჯს კივილითა,
მაგრამ მისი გულის კენესა
ესმის მხოლოდ უღრან ტყესა.

„აქ ვარ მეცა! ჰა, რაინდო,
მეცამეტეც არ დაინდო,
ოლონდ, — საქმე მაინც წახდა, —
არ მიბრძანო კაბის გახდა!“

„ესტუმრება მკვდარი ზეცას,
გინდ ეცვას და გინდ არ ეცვას.
კაბა ჩემს დას დაშვენდება,
აქ კი მხოლოდ დასველდება“.

„მაშ ფუჭია ყველა ჯაფა,
დას აჩუქე ჩემი კაბა,
ნაცვლად — მომცემ აკი ნებას?—
ვითხოვ სამჯერ დაკივლებას“.

„თუნდაც ასჯერ გიკივლია —
ვითომ ბატონის კიკინია!
ამ ჩემს ტყეში, ეს გახსოვდეს,
კაცს ვერ ნახავ ვერასოდეს“

„ქ ტუე იარა კივილითა.
„გიხმობ გულის ტკივილითა,
მომეველინე. ღმერთო, მალლით,
რომ დაღუპო უნდო ძალლი!“

ისევ კივის ქალიშვილი:
„ღვთისმშობელო, მომეშველე!
გადმომხედე ისე ციდან,
როგორც შენთან ვიყო წმინდა!“

ისევ ისმის გლოვის ზარად:
„დაძიხსენი. ძმაო, ჩქარა,
ვიდრე შუქი ჩამიქრება,
ვიდრე გვიან არ იქნება!“

ძმამ კივილი გაიგონა,
მეგობრები გაიყოლა.
რა გულადი მხედრებია,
გაფრენილებს ედრებიან!

ტევრი შეძრეს გრიალითა,
ზათქითა და ზრიალითა.
აგერ მოჩანს შავი მუხა,
და ძმამ რისხვით დაიქუხა:

„ულინგერო, მორჩა შენი
ჰანგი, ამოდ მოსასმენი!
მსურს ვაცინო შენზე დაო —
ჩამოგვიდო ხეზედაო!“

„ვხედავ დადგა აღსასრული, —
ამბობს შიშით დალდასმული, —
დაე, მოხდეს, რასაც ველი,
ოღონდ მეცვას ტანსაცმელი!“

„ესტუმრება მკვდარი ზეცას,
გინდ ეცვას და გინდ არ ეცვას.
იქ მელორეს დაშვენდება,
აქ კი ფუჭად დასველდება!“

და იმ ტოტის განაპირას
ჩამოჰკიდეს თავდაყირა,
სადაც ყაჩაღს მწვანე ხიდან
ქალწულები დაეკიდო.

ქმამ მოხვია ხელი დასა,
აიყვანა, ცხენზე დასვა,
და შინ მოჰყავს ადრე დილით,
სახარულით დაბნედილი.





ჰამელნელი მუსიკოსი *

ეს ვინ დადის მოსასხამის ფრიალითა,
მოდუშული, მსუსხავ თვალთა ბრიალითა?
შავ სტვირს უკრავს, უსმენს ბავშვი განაბული,
დედის თვალი რატომ არის დანამული? —

„ჰამელნელებს ვირთაგვები შესევიან
და ქალაქში საგანგებო წესებია.
გაჩანაგდა მთელი სარჩო ლამის მათი,
შიშს მოუცავს დაბნეული მაგისტრატი.

აქ გაისმა ხმა ჯადოქრის სალამურის,
დააკენესა რაღაც ჰანგი საამური,

მოზიდა სტვენითა და ზვირთთა ქებით,
გაუძღვა და ვეზერს * მისცა ვირთაგვები

შემდეგ გახსნა მაგისტრატის ფართო კარი,
გასამრჯელოს ითხოვს უცხო ჯადოქარი.
მაგისტრატში გაუყარეს ლამის დანა:
„გასამრჯელო? რა გვიყავი ამისთანა?

გამდიდრება ხომ არ გადაგიწყვეტია?
სტვირს უკრავდი, ქვები ხომ არ გიხვრეტია?
გაგვეცალე, გროშად არ ღირს შენი ჯათა!“ —
და მესტვირემ გაიხურა კარი სწრაფად.

მაშინ ქალაქს ვირთხის ხროვა ჩამოსცილდა,
გაიხარა, აშენდა და აღორძინდა.
ვინც მესტვირეს ღვაწლი აღარ დაუფასა,
მადლსა სწირავს თავის ბედსა და უფალსა.

ღმერთს — დიდება, დიდებს—ლხინი, ბავშვებს—
ლხენა!

მაგრამ ისევ უცხო ჰანგი სწვდება სმენას,
ისევ კვნესის იმ ჯადოქრის სალამური,
მომხიბლავი, მაცთური და საამური.


დღეს მისანი უკეთ უკრავს გაცილებით,
სახლებიდან გამორბიან ყმაწვილები,
უცხო ძალა ჩააქსოვა თავის ხმაში
და ვეზერის ზვირთებს მისცა ყველა ბავშვი.


შეგიძლიათ ხიდზე დადგეთ და უყუროთ,
ველარ ნახავთ დაკარგულენს საუკუნოდ!
უშიძით დედებს, და ძაძები ხუნდებიან —
ღალუბულნი უკან აღარ ბრუნდებიან.

ვაგლახობენ, უძახიან, მაგრამ ტალღა
ბავშვთა გვამებს ათამაშებს აღმა-დაღმა,
შფოთავს წყალი, დუმს ტაძარი ცად აწვდილი,
ო. რა მძიმედ არის ვალი გადახდილი!

!

გაიგონეთ, დაიხსომეთ ყველამ კარგად.
რა ცუდია, სიხარბით რომ შვილსა ვკარგავთ.
სიხარბეა შხამზე მწარე გაცილებით,
მან დალუპა ჰამელნელი ყმაწვილები.





ლორელი *

ვიცი, მენავევ, რაც გელის,
მთვარე ილევა მცხრალი,
რაინის კლდიდან დაგცქერის
ერთი ლამაზი ქალი.

ხან თითქოს ცაში აფრინდა,
ხან თვალს აშტერებს აფრას;
ო, ნაოსანო, გაფრთხილდი,
გელის ზარი და ზაფრა.

დაბლა მდინარე ღმუის და
გლუპავს ისარი თვალთა,

სიმღერა შეგშლის ჭკუიდან,
ბინდი ჩაგიხვევს წყალოა.

მაცდური მზერა გაგწირავს
და ჩაეხვევი მორევს,
თვალი არიდე, ჩაგძირავს,
არ დაუჯერო ლორეს!

თავი არიდე წყეულის
სიმღერასა და ცქერას,
ჩქარა გასცილდი გრძნეულის
ოქროს კავების ჩქერალს!

შენამდეც მრავალ მეთევზეს
წყალი უქცია თალხად;
მღერის პიტალოს ზეთავზე —
ღმუის მაცდური ტალდა.





მწირი და ღვთისნიერი ქალი

ერთხელ წმინდა ადგილებში მიდიოდა ერთი მწირი, ერთ ქალაქში შეისვენა, სათხოვარი ჰქონდა მცირე, და ამღერდა საცოდავად: „მოწყალემა გაიღეთო!“ მაგრამ კარი ჩაგმანულა, სადაც უნდა გაიხედო.

ერთმა ქალმა მოისურვა აუსრულოს დასტურ ნება; უთხრა: „ცოდვად მიმაჩნია შენი ასე გასტუმრება, მაგრამ რა ვქნა, ციხეში ვარ, წასულია ჩემი ქმარი, ჩამკეტა და ჩამიკეტა ყველა სკივრი, ყველა კარი.

მხოლოდ ერთი ლოგინი მაქვს, თვითონ მეფის
შესაშვენი,
შენც ამოდი ჩემთან ჩქარა, აისრულე ნება შენი.
აქ მიიღებ იმ წყალობას. რასაც ქვეყნად ყველა
ელტვის,
იმ წყალობას, რაც ბუნებას მოუყვია თვითონ
ჩემთვის“.

ჩაიკეტნენ... როგორც არის ძველი ადამ-
ჩვეულება...
და დილამდე ინებივრეს ასე გადახვეულებმა.
ქალი ამბობს: „ადე ჩქარა! ხომ მიიღე წყალობაო?
ხედავ, თავზე დაგვათენდა, ისმის ჩიტის გალობაო“.

ქიშკარს აღებს ყარიბი და ეჩხეხება სახლის
პატრონს,
ღირსად ცნობს და ღირსიც არის სალამი და მადლი
ჰკადროს.
„დე, უფალმა მოგივლინოს წყალობა და
სამართალი!“—
პირჯვრის წერით წავიდა და გააყოლა კაცმა თვალი.

„ჰეი, ცოლო! ეს ვინ არის? ღმერთმა აღარ
დაგაცალა!
თავსა ვფიცავ. თეთრი პურით გაგიკითხავს
მაწანწალა!“
„არა. სულ სხვა წვრილმანითა! ვფიცავ. ხელიც
არ უხლია.“

მივეც ის. რაც დედამ მომცა -- არაფერი წაუღია“

„ჰო, რას იზამ, ღმერთმა ბრძანა შებრალება სათნო
მწირთა,
მაგრამ სახლში საშიშია შემოშვება უცხო პირთა.
თუ დღეიდან, ჩემო კარგო, კიდევ ვინმე მოვიდაო,
მოწყალეზაც ამ ფანჯრიდან ჩააწოდე ჯოხითაო“.

„მე არ მომწონს შენი სიტყვა! თითქოს ვისმენ
ლიტანიას.
ქმარო, ის ხომ ნეტარია! ქმარო, ის ხომ წმინდანია!
ხომ იცი, რომ ღმერთმა ბრძანა გადავიხსნათ
მისთვის მკერდი!
ხომ იცი, რომ მაღლისათვის იქ ასმაგად გვიზღავს
ღმერთი“.





ბატონი ფალკენშტაინი *

ფალკენშტაინი მოქროდა,
ხელი ეჭირა ხმალზედა,
გზად შეეყარა გოგონა,
რიღე ეხურა თავზედა.

„საით მიდიხარ, ლამაზო?
კენტად რას დახეტიალობ?
ჩემთან წამოდი, გამართე —
მარტო ვარ. დახე. ტიალო!“

„რას ჩამაცივდით? ვინა ხართ?
დამლუპავთ თქვენი თანხლებით?“
„გრაფი ვარ, ფალკენშტაინი! —
არც ახლა დამეთანხმები?“

„გრაფი ხარ ფალკენშტაინი?
მაშ დამიბრუნე საქმარო!
შენს ციხეშია ჭაბუკი,
დრო არის ტანჯვა აკმარო!“

„ვერ დაგიბრუნებ, ლამაზო,
ვეღარ იხილავ საყვარელს.
იცოდე, შენი ვაჟკაცი
დილეგში ნახავს სამარეს“.

„აჰ, თუ იქ ნახავს სამარეს,
მეც შავი მიწა ჩამიტანს!
ამ სატილო გალავანს
არ მოვცილდები წამითაც“.

ქვითინებს ციხის კარებთან:
„ლამის დავკარგო გონია!
ლამის გავგიჟდე უშენოდ —
რა მრუდე ბედი მქონია.“

მინდა გიარო გარშემო,
არ მიგატოვებ, იცოდე,
თუნდაც გავიდეს წლები და
გული კაეშნით იწვოდეს!

ნეტავი, ხმალი მქონოდა,
ნაფერი ცეცხლის ალშია:
ბატონო ფალკენშტაინო,
გამოგიწვევდი ხმალშია“.

„ხმალში ქალს როგორ გავყვები!
ამას კი ველარ ავიტან!
აჰა, ეს უენი საქმრო და
ჩქარა მომცილდი თავიდან!“

„რისთვის გვიცილებ, რაინდო? —
განა რა ჩაგვიდენია?
ხომ არაფერი მოგპარეთ?
აბა რა თავი გტკენია?“

გვინდა უენსავე მიწაზე
ჭირი და ლხინი გავიყოთ,
და რაც გვეკუთვნის, მზადა ვართ
ულაპარაკოდ წავილოთ!“





ტაუბენჯანიმელი მოძღვრის ასული

უკაცურ ხევში, გადაღმა,
დოლაბი აღარ ბრუნავს,
მწვანე სათიბი გადახმა,
მინდორს ბურუსი ბურავს.

მიდამო შავად შეკრულა,
მე კი ცოცხალი ვრჩები;
აჰ, იქ დავკალი ბედკრულმა
ახალშობილი ჩემი!

მდუმარებს ველი ტიალი,
მდინარე ღმუის რისხვით
და ჩააქვს ზვირთთა ტრიალით
ზღვაში ყმაწვილის სისხლი.

დგას ცაში გულის ცემითა, -
ვარსკვლავთა დასი ხედავს, —
დგას ანგელოზი ჩემი და
საყვედურს მითვლის დედას.

მესმის იმისი კვნესა მე,
ეტირი, გამიკრთა ძილი...
ეზოში ნაჯახს ლესავენ,
კუნძი მომელის დილით.

მაგრამ სიკვდილის წუთებში
დავწყველი სახელს მისას,
ვინაც მიწოდა ნუგეში
და მიაღწია მიზანს...

თუმცა მკიცხავენ ყველანი
და ხელს ჯალათი მავლებს,
შენც ამოგკორტნის ყორანი
მაგ სატიალე თვალებს.





**მწვანე ტყეში დადიოდნენ
მიჯნურები ერთად ***

მწვანე ტყეში დადიოდნენ მიჯნურები ერთად,
მათი ნაზი, ნორჩი გული სიყვარულით ძგერდა.

წყარო ნახეს, ცივი წყარო, გაიღიმა ქალმა:
„დავლევ, იქნებ მომირჩინოს გული წყაროს
წყალმა“.

ვაჟი დაბლა დაიხარა — „აჰა, წყალი წმინდა!
ბროლის ჭიქით მოგაწოდებ, სვი, რამდენიც გინდა“.


„დავლიე და მეტს არ დავლევ, გულს მისერავს
სევდა.
გმადლობ! როცა დაგიძახო, მაშინ მოდი ჩემთან“.

უცდის ვაჟი, ხმა არ ისმის — ალბათ არის შორსა,
მიდის, ეძებს, ვიდრე ნახავს თავის გულის სწორსა,

ნახა, მაგრამ როგორ ნახა! იჯდა ქალი მკედარი:
ხელში ჰყავდა ორი ვაჟი, ანგელოზთა დარი.

მახვილს იძრობს, საფლავს უთხრის, თავის ბედსა
სწყევლის,
და სამარის მიწას ნამავს ღვარი ცხელი ცრემლის.





ქველი მხედრული სიგლერა

იყო სამი მეგობარი,
ლამაზი და ნებიერი,
თათბირობდნენ საიდუმლოდ —
რომელია ბედნიერი,
ვისა ჰყავსო სატრფო ნაზი
და ყველაზე მშვენიერი.

ერთი ამბობს: „დავითანხმე,
რა მაქვს თქვენთან დასაფარი!

დღეს მიბარებს, გეტყვით მერე,
როგორია და სად არი:
ნაძლევსა ვდებ, ვერვინ ნახოთ
ქვეყნად მისი დასადარი“.

ქალიშვილი კედლის მიღმა
დგას, ჩამოსდის ცრემლი ცხელი:
„ღმერთო, ღმერთო, ამარიდე
ეს სირცხვილი ასე მწველი,
მომეც ძალა ავიცილო,
ამ ყმაწვილის უნდო ხელი!“

მოყმე ბნელში ცხენს აჩქარებს,
სატრფოს სადგომს მიმართეო!
კარზე სამჯერ აკაკუნებს:
„მითხარ, ქალო, სიმართლეო —
გძინავს უკვე თუ არ გძინავს,
ჩემო თვალის სინათლეო?“

„მძინავს უკვე თუ არ მძინავს.
ვერ შემოხვალ ვერაგეო,
იქით წადი, საიდანაც
მოგაქროლებს მერანიო,
ხმელი ტოტი ნახე სადმე
და მიაბი ვერანიო“.


„სად წავიდე? რად ჩაკეტე.
ტურფავ, შენი სახლის კარი?“

უკვე ბნელა, სძინავს ყველას,
დაბინდულა მთა და ბარი,
ველზე კიდევ გალაღებით
დანავარდობს ცივი ქარი“.

„ეს არ არის ჩემი საქმე,
გააქროლე ჩქარა ცხენი!
ველზე ერთი ლოდი გდია,
სწორედ შენი შესაშვენი,
ზედ დაწეჲი, დაიძინე
და იპოვე შვება შენი“.

ვინ გვიმღერა ეს სიმღერა?
მხედარია მკლავმაგარი,
ყველგან ასე უმღერია,
მოუვლია მთა და ბარი.
ყველა ქალწულს აარიდოს
ღმერთმა საფრთხე ამდაგვარი!





ვანისგებრელი ქალები *

ვთქვათ სიმლერა სანაქებო,
ძველთაგან რომ ზღაპარს ჰგავდა.
გვაქვს მიზეზიც საგანგებო,
სიმამაცე ვაქოთ ქალთა.
ვუთხრათ ყველას, ვინც კი არჩევს
ერთგულების ძვირფას განცდას,
რომ დიდების ძეგლად დარჩეს,
ააღელვოს გული კაცთა.

ვინსბერგის ურყევ ციხეს
შემოადგა დიდი ჯარი,
არ იქნა და ვერ აიღეს,
ვერ უპოვეს ზღუდეს ბზარი.
მეფე კონრადს ბრაზი შლიდა,
ციხეს რისხვის ნისლად აწვა,
მაგრამ შეხვდა მხნედ და მშვიდად
მას ჰერცოგის რკინის დაცვა.

დღე და ღამე ალყა ადგას,
დღე და ღამე გრგვინავს ომი.
შებრალება კაცმა არ თქვას —
ო, დაღუპავს ველფებს ლომი!
ამისთანა ჭირის დღეში,
ამისთანა ცეცხლის რკალში,
ოღონდ მისცენ მებრძოლს ხელში,
მცირე პატივს დროშად გაშლის.

უჭირს ციხეს — რა გაუძლებს!
იქუფრება ცა გამწყრალი:
ყველა გზები გადაუჭრეს,
არც პურია და არც წყალი.
თვით მამაცი ბჭეთა ბჭენი
ჩანან ერთობ დაღვრემილი:
„აღსასრული დგება ჩვენი,
ამოვწყდებით ძალღებვიით!“

მაგრამ როცა ქმარი ძრწოლით
ელის ბედის დაბინდებას,

ნაღველს გულში იკლავს ცოლი,
ლამობს საფრთხის არიდებას.
ახლაც ხდება სწორედ ასე...
ციხეს ტოვებს რაზმი ქალთა,
მედგრად მიდის რისხვის გზაზე
და სწევს მეფის კარვის კალთას:

„გევედრებით, კაიზერო,
ვიდრე კიდევ წაისვლება,
მკერდი ხმლით არ დაგვისერო,
მოგვეც ქალებს წასვლის ნება!“
მოლბა მეფე, და გაიგეთ,
ქალებს წყენა აპატია;
ბრძანა: „წადით და წაიღეთ,
რაც ძვირფასი გაბადიათ“.

ხედავთ? იმათ თვალებშია
სიყვარულის მძლავრი ზვირთი;
სადაც რისხვის თარეშია,
მხრებით მიაქვთ მძიმე ტვირთი.
განა ოქრო, განა ფქვილი,
განა ის, რაც თვალს ახარებს —
ქმარი, სატრფო, ძმა თუ შვილი
ზურგით მიაქვთ მამაც ქალებს!

„აი საქმე არნახული!“
ჩაქრა რისხვა მეფის ხმაში,
აუჩუყდა კონრადს გული,
აქვითინდა, როგორც ბავშვი.

მოხსნა მეფემ ციხეს წამსვე
ჯარი რისხვად მისეული
და ღირსეულ ქალებს ასე
სცა პატივი ღირსეული.


ო, დევგმირთა მოდგმავ ლალო,
ო, ერთგულნო პირობისა,
სპარტის ხალხო, ტროას ხალხო,
ბურჯნო გმირთა გმირობისა!
დარჩით ქვეყნის საამაყოდ,
თქვენი სიმხნე ზღაპარს ჰგავდა,
მაგრამ როგორ უნდა ვაქოთ
სიმამაცე გამტან ქალთა?

ან არ არის ხოტბის ღირსი
ის მამაცი ქალი განა,
ქმარს რომ თავის მკერდით იხსნის
რისხვის ცეცხლის რკალიდანა?
არ გაურბის მისთვის სიკვდილს,
დაჭრილს სანთლად დაენტება,
დაუამებს ზრუნვით ტკივილს,
ზედ მალამოდ დაედება.

ღვთაებრივი ძღვენის დაჯად
ერთგული და სანუკვარი,
ჩვენთან არის ყველგან მარად
ქალი, ჩვენი მეგობარი!

ის გვიყვარს და გვმატებს ხალისს,
გული ლხენით აღივსება...
დაილოცოს მარად ქალის
სიყვარული და ღირსება!





შვილი შვაბი

შვილი შვაბი მიდიოდა გზაზედა,
ტყის ნაპირას ნახეს ერთი ხერგული,
იოკელმა იკრა ხელი ხმალზედა:
„ძმებო, თავი ხითათში გვაქვს შერგული!“

სძინავს კურდღელს, გადასცქერის ჯაგებსა
და გაქცევას არ აპირებს სრულებით,
ყურებს არხევს, აბრიალებს თვალებსა —
მოდის და ნუ გაგისკდებათ გულები!

შვილი თოფი რომ ჰქონოდათ, ცხადია,
დაიცავდა ყველა შვაბთა ღირსებას,

მაგრამ შეიძინა ხელში ერთი წათია —
ვინ გაბედავს კურდღლის გამოღვიძებას?

ითათბირეს, შეკრეს მტკიცე პირობა,
შორს ისმობდა შეიძინა შეაბის ქადილი:
„ახლა უნდა მოვახდინოთ გმირობა,
გავაღვიძოთ საშინელი ნადირი!“

მწკრივდებიან წინამძღოლის რჩევითა
და უჭირავთ ხელში შუბი შვაბური.
„შენ, იოკელ, უფროსი ხარ ჩვენი და
მხეცს ატაკე შუბი, როგორც შამფური“.

„რაგენორი გაგვიძღვება, ჯობია,
ბოლოდან კი მე ვიქნები პირველი.
მე შუბს გავწევ, თქვენ დაჰკარით ცოფიანს
და მოხდება საქმე გასაკვირველი“.

„არა, ძმაო, დარწმუნდები შენც მალე,
უკან დგომა სულ არ არის ადვილი;
აქ რომ დადგე, მალე მეტყვი: „შემცვალე,
ეს ყოფილა ერთობ ცუდი ადგილი!“

გაეღვიძა კურდღელს აძღენ დავაში,
შეშინდა და სამარცხვინოდ გაიქცა.
უბრძოლველად დარჩათ შვაბებს დავლაში
მისი დროშაც, სახლიცა და კარცა.

დალოცეს და ცხრა მთა გადაიარეს,
რათა მისთვის ოქროს ხიდი გაედოთ:
„ღმა-ღამა დაეძებდნენ მდინარეს,
კაცს ვერ შეხვდნენ, სატკივარი გაენდოთ.

ცალკე კიდევ გასაჭირი.ახალი!
რალაც მარცხად ტბა გამოჩნდა გზაზედა,
ზის ბაყაყი ახოვანი, მალალი
და ყიყინებს ოთხი სულის ხმაზედა.

„ყი-ყი, ყი-ყი, ყი-ყი, ყი-ყი!“ — გასძახის,
შვიდი შვაბი უსმენს ხმათა ტიალთა;
იოკელის გულმა იწყო ცახცახი,
რაგენორის გული გადატრიალდა:

სულის ხმაა! „არ შეჩერდე წამითა!
კი-კი, კი-კი, გადაცურავ ტბასაო!“
შესტოპა და ფსკერისაკენ წავიდა,
შვაბებს უკვირთ: მიეფარა თვალსაო!

აგერ, წყალზე ჩალის ქუდი დაირწა,
ისმის ქება: „რა ყოჩაღად გაცურა!
ნახეთ! შაბაშ, ჩვენებურო! დაიცა!
ქუდამდეა, წყალს მიარღვევს კაცურად“.

და ბაყაყიც გაიძახის: „კი, კი, კი!“
„არ მოგველის, ძმებო, ალბათ, ზიანი,

გავიაროთ ეს საგმირო ბილიკი,
რაგენორი გვიხმობს დავლათიანი.

ახლა ბჭობაც აღარ არის საჭირო,
გადავეშვათ, გზაც არის და კვალიცა, —
თქვა უფროსმა, — ყველამ თავი გაწიროს!“—
და შეიკრა მალე ზვირთთა რკალიცა.

ამ ერთ ბაყაყს ვერ გაექცა ვერსაით
თუმც კურდღელი სძლია უფლის კურთხევით,
ო, იმ დღიდან შვაბებს ჭირის დღესავით
ეჯავრებათ ბაყაყი და კურდღელი.





უ გ უ ლ ო დ ა

სიღეზიაში ცხოვრობდა
ორი ღვიძლი და ძველად,
ერთი ხარობდა, მეორეს
თავი გაჰქონდა ძნელად.

ურჩიეს, დასთან წავიდეს,
შვილებს შიმშილით ნუ კლავს:
„შეძლებულია შენი და,
არ დაგიკავებს ლუკმას“.

აიღო ძველი კალათი,
წავიდა მდიდარ დასთან:

სიკეთით სავსე სახლი აქვს,
ფული უწყვია დასტად.

„სალამი, დაო ძვირფასო!
შინ ექვსი შვილი მიცდის,
ნამცეცი პური არა მაქვს,
ხელსაც არავინ მიწვდის“.

„რა გიყო?—უთხრა. — ვერ მოგცემ,
თუმცა გულითა მსურსო.
ღმერთი დიდია, და მე კი
ექვსად ვერ გავჭრი პურსო“.

ხელცარიელი დაბრუნდა,
როგორც ყოფილა წინათ,
წევს მისი ექვსი ობოლი,
მძიმე ძილითა სძინავთ.

მაგრამ უწყალო დის ქმარი
ცოლს აშტერდება რისხვით:
მის ხელში პური ქვავედება,
დანა შესვრილა სისხლით.

„ვის დაუკავე პური და
ვინ გაგიგდია გარეთ?“
„დას დავუკავე ბედშავმა!“ —
ქალმა შესძახა მწარედ.

აილო პურის ნატეხი
და ღარიბ დასთან მიდის.
ძაძა აწვევა ქერივის ქოხს
შიმშილისა და ბინდის.

„სალამი, დაო ძვირფასო!
ჩქარა გამიღე კარი.
პურის ნატეხი მოგართვი,
ბავშვებს დაუდგათ ღარი!“

„გამწორდი! პური რად მინდა,
ნაღვლით ამევესო მკერდი
წადი, ქვა ჭამე, რა მიშავს —
აკი დიდია ღმერთი“.





მშვენიერი ლილოფეა *

ველურ ზღვის კაცს მოეწყინა წყალში წოლა,
ნახა მეფის სასახლე და მიწა-წყალი,
გადასწყვიტა წაეყვანა ზღვაში ცოლად
ლილოფეა, მშვენიერი მეფის ქალი.

ზღვიდან მთამდე ოქროს ხიდი ააშენა,
პაემანზე დაიბარა ქვეყნის თვალი,
შეიტყუა, შეირთო და დაამშვენა
ლილოფეა, მშვენიერი მეფის ქალი.

წყალქვეშ დაჰყო მშვენიერმა შვიდი წელი,
ღრმა სასახლეს აწვებოდა ქვეყნის წყალი,
შვიდი ვაჟი მისცა ქმარს და ბევრი ცრემლი—
მზეს ნატრობდა ლილოფეა, მეფის ქალი.

ზის აკვანთან, ნატრობს ნათელ ზეცის კარებს
ღრმა ზღვის ფსკერზე მიკარგული,
ფერმიმკრთალი,
და ყურს უგდებს ანგელოზთა ქვეყნის ზარებს
ლილოფეა, მშვენიერი მეფის ქალი.

„აჰ, ზღვის კაცო, საყვარელო ჩემო ქმარო,
მეტად ღრმაა ჩემთვის შენი ქვეყნის წყალი.
რა იქნება ერთხელ ხმელეთს გამაკარო
მე საბრალო, ახალგაზრდა მეფის ქალი?“

„შენ ხმელეთზე მზით რომ გათბე და
გაბრუვდე,
ზღვიდან მთამდე მობიბინე გზები განვლო,
შეიძლება მერე უკან არ დაბრუნდე,
ლილოფეა, მშვენიერო მეფის ქალი“.

„მე რომ უკან არ დავბრუნდე, ვინაფარდო,
ზღვიდან მთამდე ვერსად ნახო ჩემი კვალიც.
მერე ჩემი შვიდი შვილი ვინ გაზარდოს.
მე საბრალო ლილოფეას, მეფის ქალის?“

ბალახმა თქვა: „სიხარული მომეახლა:
დამიბრუნდა უცხო ზღვიდან ქვეყნის თვალი!“
ყლორტიც დაბლა იხრებოდა, რომ ენახა
ლილოფეა, მშვენიერი მეფის ქალი.

როცა შედგა ზღვათა რძალმა ფეხი ტაძრად,
ქედს იხრიდა სასახლე და მთების რკალი,
გრაფმა კრძალვით დიდებულთა დასი დაძრა,
რომ მიეღოთ ლილოფეა, მეფის ქალი.

ტაძრიდან რომ გამოვიდა, თვალწინ ისევ
ატორტმანდა თითქოს მთელი ქვეყნის წყალი;
ნახა ტლანქი წყლის კაცი და შედგა მყისვე
ლილოფეა, მშვენიერი მეფის ქალი.

ეუბნება თითქოს ბნელი საფლავიდან:
„ხომ არ გინდა მოიხადო დედის ვალი?
შვიდი შვილი ტირის დაბლა: სად წავიდა
ლილოფეა, მშვენიერი მეფის ქალი?“

„შენმა ხელმა ბროლის კოშკი ამიშენა,
შაგრამ უფრო ლამაზია მთების რკალი;“


ოთხი შვილი მე მყავდეს და სამი შენა“,
ამბობს ტურფა ლილოფეა, მეფის ქალი.

„ჩემმა ხელმა ბროლის კოშკი აგიშენა,
და თუ მაინც აღარ გინდა შემეწყალო,
სწორად გავყოთ: სამი მე და სამი შენა,
მეშვიდე კი შუა გავჭრათ, მეფის ქალო!

თავი თავად გავიყოთ და ტანი — ტანად,
თითო ხელი გვერგება და თითო თვალი...
რაზე შეკრთი? შიშმა რატომ აგიტანა,
ლილოფეა, მშვენიერი მეფის ქალი?“

„როგორ, რატომ! მიჯობს ისევ გაიწიროს
ჩემი მზე და საყვარელი მიწა-წყალი!
ბავშვის გაჭრას — ისევ წყალში ჩაიძიროს
ლილოფეა, მშვენიერი მეფის ქალი!“





ოთხი სიზმარი

იმპერატორი კარლოსი
ტყეში დასცილდა ამაღას;
ყაჩაღთა ბუნაგს მიაღვა, —
ეშმაკიც ვერსად დამალავს!

„შინ გვესტუმრაო სიკეთე!“ —
გაუხარიათ ყაჩაღებს,
სიზმრების ახსნას იტყვიან,
ოთხივე თამაშს აჩაღებს.

ერთმა თქვა: „ვნახე სიზმარი,
თავს არ ვიკლავდით დავითა:

ვითომ ამ ძუძუმწოვარას
ქუდი მოვხადეთ თავიდან“.

ერთმა თქვა: „ვნახე სიზმარი,
თუ სტუმარს არ ეწყინება:
ვითომ ძვირფასი ქულაჯის
ჩვენთვის ჩუქება ინება“.

ერთმა თქვა: „ვნახე სიზმარი:
თვითონ რომ ველარ უვლიდა,
დაჯდა, გაიძრო შარვალი,
გვაჩუქა სავსე გულითა“.

ერთმა თქვა: „ვნახე სიზმარი,
ვითომ სამძიმო ტვირთია,
და ჩვენ გვაჩუქა ფლეიტა,
ოქროს ძეწკვით რომ ჰკილია“.

მეფემ თქვა: „ვიდრე საჩუქრებს
ვინმე სადგომში შეიტანს,
ნახეთ, რა დიდი ძალა აქვს
ამ ჩემს პატარა ფლეიტას“.

და კაიზერმა კარლოსმა
ჩაჰბერა მთელი ძალითა,
ხოლო როდესაც ვეზირი
მოვარდა მცველთა ჯარითა,

თქვა: „ახლა ჩემი ჯერია,
ვშიშობ არ ახდეს თქვენზედა:
მესიზმრა, ვითომ ოთხივე
აქვე დაგკიდეთ ხეზედა“.

ტოტსაც უმძიმდა გვამები
კაცთა სარბევად დაძრულთა,
და ოთხი სიზმრის ამოხსნაც
ამჯერად ამით დასრულდა.





არნიმი და ბრენტანო

„ყმანვილის ჯადოსნური ბუკი“

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი *

ტანჰოიზერი ვადილოთ,
მისი მფარველი კალთა,
რა საოცარი ამბავი
შეხვდა ვენერა ქალთან.

ეს იყო ქველი რაინდი,
ჰქონდა იმედი მკლავთა,
ვენერას მღვიმეს ესტუმრა,
მისი სურვილი კლავდა.

„ტანჰოიზერო, მიყვარხართ,
გახსოვთ, ფიცია თქმული!
ხომ არ მღალატობთ, ბატონო,
საით მიგიწევთ გული?“

„ო, ქალბატონო ვენერა,
მეც რამ სიტყვა მაქვს ერთი:
რომელი ფიცია? სწორ გზაზე
ძიხმობს უფალი ღმერთი“.

„ტანჰოიზერო, ბატონო,
მე თუ არა ვარ ტოლი,
ჩემს დობილებში მონახეთ
კანონიერი ცოლი“.

„მე თუ სხვა ქალი ვითხოვო,
ჩემი რჩეულის გარდა,
დავიწვა, გადამეფაროს,
დე. ჯოჯოხეთის კალთა“.

„ხშირად ახსენებთ ჯოჯოხეთს,
მთაში არის თუ ბარად?“

გახსოვდეთ ძოწის ტუჩები,
გალიმებული მარად“.

„რას მარგებს თქვენი ტუჩები,
შვიდი წელია, კმარა!
ნება მომეცით წავიდე,
რაც შეიძლება ჩქარა!“

„ტანჰოიზერო, ბატონო,
ვერ მოგცემთ ამის ნებას,
დარჩით, მიანდეთ სიცოცხლე
ჩემს დაუშრეტელ ვნებას“.

„ჩემი სიცოცხლე დაშვრა და
არ შემიძლია მეტი.
ავად ვარ, ქალო, გამიშვი,
არ მაწყევლინო ბედი“.

„ასე ნუ ამბობთ, ბატონო,
მგონი გონებას კარგავთ;
ჩქარა ოთახში შევიდეთ
და ვითამაშოთ კარგად“.

„მომწყინდა თქვენი თამაში
და მაქვს უნარი განსჯის;
ჰოი, ვენუსო, ყოფილხართ
ქალი კი არა, ქაჯი“.

„აჰ, ეს რა მესმის, ბატონო?
ხმარობთ სალანძღავ სიტყვას?
თუ აქ დარჩებით, განანებთ,
უნდა მართალი ითქვას.

და თუ არ იშლით, ბატონო,
წადით, დამირთავს ნება:
სადაც მიხვიდეთ, გახსოვდეთ
ჩემი ძალა და ვნება“.

ტანპოიზერი წავიდა,
რომში ეწვევა ურბანს,
მოწყალე პაპი გაუგებს
სინანულსა და ურვას.

შორს არის წმინდა ქალაქი,
მაგრამ დიდია ღმერთი,
პაპმა ურბანმა დაიხსნას
იქნებ ცოდვილი ერთი.

„ბატონო პაპო, მამაო“,
მაქვს შეცოდება ცოტა;
ისმინე ჩემი ამბავი,
რომ მომიტევო ცოდვა.

მე შვიდი წელი ვატარე
მთაში, ვენერა-ქალთან;

დღეს მინდა გადამეფაროს
მოწყალე უფლის კალთა“.

პაპს თეთრი კვერთხი ეჭირა,
რისხვით ასწია ხელი:
„შეგინდობ, როცა ეს ჯოხი
შეიფოთლება ხმელი“.

„ბატონო პაპო, მეცოცხლა
სულ ერთი წელი, ერთი,
ოღონდ კი ასე უწყალო
არ ყოფილიყო ღმერთი“.

შეჭირვებული გაბრუნდა,
განვლო ქვეყანა ფართო:
„დედაო ღვთისავ, ქალწულო,
უნდა დაგტოვო მარტო.“

მივდივარ ისევ მღვიმეში,
ვასრულებ უფლის ნებას:
სამარადისოდ ვენდობი
ტურფა ვენერას ვნებას“.

„ვაშად მოხვედი, რაინდო!
ტანჰოიზერი მოდის!
მე კი გელოდი, ძვირფასო,
ბოლო არ ჰქონდა ლოდინს“.

სამი დღის შემდეგ ყლორტები
რყარა პაპის კვერთხმა.
— ძებნეს და ვერსად ვნახეთო, —
ურბანს აუწყეს ერთხმად.

ტანჰოიზერის ცოდვებსაც
პაპი ურბანი ზღვევდეს!
ვენერას ქვაბში დარჩება
გმირი განკითხვის დღემდე.

არ ვარგა, როცა მოძღვარი
იმედებს აქცევს ნაცრად,
ურიგო გზაზე გვაყენებს,
ნუგეშისცემის ნაცვლად.





სიყვარულის გამოცდა

ღრმა ხეობას მწვანე ცაცხვი გადასცქერის,
და მიჯნურთა გული ლალად ანაძგერი
მის ქვეშ ისე ანთებულა სიყვარულით,
განშორების ზაფრას ფარავს სიხარული.

„საყვარელო, გულს მისერავს სევდა მწველი,
უცხო მხარეს წასვლა მიწევს შვიდი წელი“.
„ჰოდა, ვზიდოთ საზიაროდ მაშ ეს ბედი,
ვფიცავ, კაცი არ ვინდომო სხვა შენს მეტი“.

დრო გავიდა, მიიწურა შვიდი წელი,
ქალს ეგონა, დასრულდაო ტანჯვა ძნელი,
გადის ბაღში, ელოდება გულდამწვარი —
აღბათ მოვა სანატრელი, სადაც არი.

მწვანე ხესთან დადგა ალვის ღეროსავით,
გავიხედოთ, მოდის კოხტა ცხენოსანი:
„სალამს გიძღვნი, მშვენიერო ქალიშვილო,
აქ ვის ელი? ხომ არ არის ქმარი შინო?“

რა დაშავდა? ხომ არ გაწყრა დედაშენი?
ხომ არა გყავს სახლში ქმარი შესაშვენი“?
„არც ვინ გაწყრა, არც ოდესმე მყავდა ქმარი,
და არც რამე დავაშავე ამდაგვარი.

შვიდი წელი და შვიდი დღე გახდა გუშინ,
რაც ვატარებ საქმროს სახეს წმინდად გულში“.
„გუშინ ვნახე ერთ ქალაქში საქმრო შენი,
ქორწილს იხდის და ჰყავს სარძლო შესაშვენი.

მეც მის ქორწილს ვესწრებოდი, კარგად ვიცი;
რას უსურვებ, რომ გატეხა წმინდა ფიცი“?
„იმდენ შვებას, რამდენიც კი ფართო ზღვაში
იყოს ქვიშა, და ვარსკვლავი—ნათელ ცაში“

ოქროს ბეჭედს იხსნის ქალი ბროლის ხელით,
რომ კალთაში დაადვაროს ცრემლი ცხელი.

ტირის, ტირის და იფარებს თვალზე რიდეს,
ისე ტირის, რომ ბეჭედი დნება ჭიდევ.

ეფინება კოხტა მხედრის სახეს სხივი.

ამოიღო ცხვირსახოცი გარეცხილი:

„შეიმშრალე, შეიმშრალე თვალში ცრემლი,
ამ წუთიდან სამუდამოდ გახდი ჩემი.

ვერ მიცანი? გამოგცადე, ჩემო ყველავე,
და რომ შენგან გამეგონა მხოლოდ წყევლა,
როგორც ნერგი, უცხო მხარეს გადარგული,
ვიქნებოდი სამუდამოდ დაკარგული“.



დაიკო

— მითხარ, სახლში როდის წავალთ,
საყვარელო დაიკო?

— მამლები რომ იყივლებენ,
ვითომ ახლა რა იყო!

სწორედ მაშინ წავალთ სახლში,
საყვარელო ძამიკო.

— მითხარ, სახლში როდის წავალთ,
საყვარელო დაიკო?

— როცა დილა გათენდება,
ვითომ ახლა რა იყო?

როცა ღვინო გათავდება,

სიმღერა და ხმაური,
მაშინ წავალთ, ძამიკო.

— ახლა დროა, შინ წავიდეთ,
საყვარელო დაიკო.

— ჩემი სატრფო ცეკვავს ჩემთან,
მისი გული გაიყო —
რომ წავიდე, სხვას გაიწვევს,
საყვარელო ძამიკო.


— ფერწასული მეჩვენები,
საყვარელო დაიკო!

— ღამის თევის მიზეზია,
გათენებამ რა მიყო:
ლაწვზე ნამი დამეკიდა,
საყვარელო ძამიკო.

— წელში ველარ იმართები,
საყვარელო დაიკო!

— იქნებ კარი მომინახო
და ლოგინიც დამიგო,
ყვავილებში დავწვე მინდა,
საყვარელო ძამიკო.





დაგვიანებული მოსავალი

„დედიკო, მშია! ველარა ვდგები,
მომეცი პური, შიმშილით ვკვდები“.

„დამაცა, შვილო, არ ვიცი განა? —
ხვალ დილით უნდა დავთესოთ ყანა“.

დათესეს, მომკეს, მოზიდეს სახლში,
და ძველებურად იძახის ბავშვი:

„დედიკო, ფეხზე ველარა ვდგები!
მომეცი პური, შიმშილით ვკვდები“.

„დამაცა, შვილო, არ ვიცი განა? —
კალოზე ძნები ზვინებად ღვანან“.

გალეწეს პური, მოზიდეს სახლში,
და ისევ ისე იძახის ბავშვი:

„დედიკო, ფეხზე ველარა ვდგები,
მომეცი პური, შიმშილით ვკვდები“.

„მაცალე, შვილო, უსმინე ნათქვამს:
დილას წისქვილში წავიღებ საფქვეას“.


დაბოლოს დაფქვეს მარცვალი, მაგრამ
ბავშვის თვალებში იმედი ჩაქრა:

„დედიკო, ფეხზე ველარა ვდგები,
მომეცი პური, შიმშილით ვკვდები“.

მაცალე, შვილო, — ამშვიდებს მტირალს, —
ფუნთუშა პურებს დაგიცხობ დილას“.

გამოცხვა პური, ყვავილის დარი
დაბლა ესვენა ყმაწვილი მკვდარი.





ბავარიელი ჰიჯელი *

„ჰაი, თრეზელ, საყვარელო,
სახე დაგიმშვენდა!
არ გამაგდო, მინდა ღამე
გავათიო უენტან“.

„ჰაი, მათე ბავარელო,
გაათიე ღამე,
გაიხადე, ჩამოჭეჭი,
დაგიმზადო რამე“.

„ჰაი, თრეზელ, საყვარელო,
ყელამდე ვარ სავსე,
დაღლილი ვარ, დამაწვინე,
დამახურე თავზე“.

„რამ დაგღალა? რად მოღიხარ
ასე შორი გზიდან“?

„ენადირობდი, და მომიხდა
სამი ირმის ზიდვა“.

„ხომ არ გშია და გწყურია?
აი, შენი სახლი“!

„მას დიღამდე უდარაჯებს,
თრეზელ, ჩემი ძაღლი“.

„ჰაი, მათე ბავარელო,
გაიხადე ფეხზე,
დაწეჭი და დაისვენე,
ხოლო მე კი მესხენ“.

„ჰაი, თრეზელ, საყვარელო,
ლოგინია ფართო,
მინდა დავწვე შენთან ერთად,
არ იქნება მარტო“!

„რძეს მოვწველი, დავწურავ და
მოგიწვები გვერდით
ჩემი სავსე გულითა და
ჩემი სავსე მკერდით“.

ძროხას წველის, რძეს გაწურავს,
დაბლა წვება წამსვე;
ნებივრობენ, ვიდრე დილა
ათენდებათ თავზე.

„ჰაი, თრეზელ, ადე, ძილი
გაატანე ქარსა:
აქ თორმეტი მონადირე
მოგდგომია კარსა“.

„აჰ, თორმეტო მონადირეც,
ვერ გაგიღებთ კარსა:
მარტო ვარ და მეშინია
მარტოხელა ქალსა“.

„ჰაი, თრეზელ, ნუ გვატყუებ,
ადე, საქმე წახდა!
ბავარიელ მათიეზელს
შენთან სძინავს ნაღდად“.

„ჰე, ცბიერო მათიეზელ,
თავს რა კედელს ახლი?
დგას თორმეტი მონადირე,
სამი დიდი ძაღლი“.

„ჰაი, თრეზელ, საყვარელო,
თუ ღირს ხელის გასვრა,
შემოუშვი, თორემ კარში
მეზარება გასვლა“.

„ჰე, ჩაიცვი, მათიეზელ,
გელის დიდი ჯაფა;
გრაფტილანდის კოშკში უნდა
წამოხვიდე სწრაფად“.

„ვაჟკაცებო, რა ხანია,
ეს სურვილი მკლავდა,
ოლონდ მინდა ჯერ სიმაგრე
გამოვცადო მკლავთა.“

დაე, მერე წამიყვანოს
ვისაც საით სურდეს:
მე თუ წავხდი, თქვენ მიიღებთ
ორმოცდაათ გულდენს“.

„ჩვენ ორმოცდაათი ოქრო
არ გვაწყენდა მართლა!
ნეტავ, იმდენს ვიპოვიდეთ,
ვერც კი შევძლოთ დათვლა“.

„ჰაი, ბრძანეთ, მამაცებო,
თუ ცოცხალი დავრჩი,
ხომ არ მოვკლა სახვალისოდ
ერთი კოხტა არჩვი?“

ახლა მოდით, გულადებო,
ნულარ კარგავთ წამსა,
არ გეწყინოთ, ერთად თუ არ
მოგვიხდება წასვლა“.

ექვსი კაცი შინ შემოდის,
ექვსი გარეთ ღვება;
ექვსი ისრით განგმირა და
ექვსი შიშით კვდება.

ძალი იჭერს გაქცეულებს,
ყველა მუხლებს იყრის.
„შეიწყალე, ურჩობაზე
ზედმეტია ფიქრიც“!

„ბავარელო მათიეზელ,
გაგვახარე მზითა,
ნუ მოგვკლავ და დაგვაგაღე
მაგ ირმების ზიდვა“.

„ახლა წადით და გახსოვდეთ
ჩემთან შეყრის წუთი:
როჭოს ფრთებით შემკობილი
ჩემი მწვანე ქული“.





ბედშავი შვარტენჰალსი *

გზად შევიარე ღუქანში,
ქალი მკითხავდა: „ვინა ხარ“?
„შვარტენჰალსი ვარ საბრალო,
შემშილით მოვკვდი კინაღამ“.

სამადლოდ ღვინო დამისხეს,
ძარღვებში გამაჟრიალა,

დარდით დამაწყდა ხელი და
დაბლა დავარდა ფიალა.

სუფრაზე დამსვეს, მაჭამეს,
და მექცა ლუკმა მეხადა:
გროში არ მქონდა ქისაში,
რა უნდა გადამეხადა!


ფარდულში თივა დამიგეს,
მე კი ბუმბული მგონია!
რა ვქნათ, ბეჩაო შვარტენჰალს,
ასეთი ბედი გვქონია.

ხან ასე დავწექ, ხან ისე,
რას მიშველიდა ტრიალი:
ლოყებზე ბირკა ამეკრა,
გვერდებში — ნარი ტიალი.

გათენებისას აცივდა,
ჩაცმული შევხვდი დილასა
და გამეცინა გიჟივით
საკუთარ ბედზე მტირალსა.

ავიღე ჩემი მახვილო,
გადავიკიდე მხარზედა
და რაკი ცხენი არ მყავდა,
ფეხით გავედი გზაზედა.

ფართო შარაზე ვიარე,
მახვილმა მასვა, მაჭამა
და სავსე ქისა დამითმო
მინდორში დიდმა ვაჭარმა!





ქუჩისიდან უსწავლელ



იოჰან გოტფრიდ ჰერდერი

ტყის მეფის ქალიშვილი

ბატონ ოლუფს ვერ აჩერებს დამის რიდე თალხი,
ცხენს აჩქარებს, რომ ქორწილში დაპატიჟოს ხალხი.

მწვანე ტყეში ელფებს ცეკვა გაუმართავთ
მისთვის,
და ტყის მეფის ქალიშვილი მისკენ ხელებს იწვდის.

„კეთილი გზა ბატონ ოლუფს! გული შენთვის
ცემდა,
საით ჩქარობ? აქ ჩამოდი და იცეკვე ზემთან“!

„ცეკვა მე არ შემიძლია, ვერ ვიცეკვებ შენთვის:
დილით ჩემი ქორწილია, დროა ცოლის შერთვის“.

„არა, ოლუფ, აქ ჩამოდი, ჩემი გული გელტვის,
ოქროს დეზებს ვინახავდი მე საჩუქრად შენთვის.“

აბრეშუმის პერანგი მაქვს, ათასფერად ღვივის,
დედაჩემმა მთვარის შუქით მისცა ფერი სხივის“.

„ცეკვა მე არ შემიძლია, ვერ ვიცეკვებ შენთვის:
ხვალ ქორწილის დღეა ჩემი, დროა ცოლის
შერთვის“.

„არა, ოლუფ, გამიგონე, ჩემი გული გელტვის,
ოქროს ზვინი დავამზადე მე საჩუქრად შენთვის“.

„ოქროს ზვინი რომ მოგეცა, ავიგებდი სახლად,
მაგრამ შენთან ვერ ვიცეკვებ, ვერ ვიცეკვებ ახლა“.

„ოლუფ, რაკი არ გქონია ჩემთან ცეკვის ნება,
თანამგზავრად აგყოლოდეს მაშ ჭირი და სნება!“—

ეს უთხრა და მოყმეს გულზე დაჰკრა ხელი
მძაფრად.
ოლუფს ჯერ არ დასწოლია ასე მძიმე ზაფრა.

შემდეგ შესვა და შესძახა: „გააქროლე ცხენი!
წადი, ნახე საყვარელი საპატარძლო შენი“.



როცა მოყმე შინ დაბრუნდა, თავის სახლის კართან არავინ არ დახვედრია, ბედშავ დედის გარდა.

„შვილო ჩემო, დედას შენსას დაუდგება თვალი რად ხარ ასე ფერწასული, რად ხარ ასე მკრთალი“?

„მკრთალი ვარ და ფერწასული ასე, როგორც მხედავ:
მე ტყის მეფის სამეფოში მოვხვდი, ჩემო დედავ!“

„შვილო ჩემო, შენს ლოდინში რარიგ დავიქანცე! შენს საყვარელ საპატარძლოს რა პასუხი გავცე“?

„უთხარი, რომ ერთი წუთით მივატოვე სახლი, რათა ტყეში გამოვცადო მერანი და ძაღლი“.

ადრე დილით, როცა ტყეში გაიფანტა ნისლი, გამოცხადდა პატარძალი და მაყარი მისი.

მოიტანეს ბლომად თაფლი, მოიტანეს ღვინო. ქალმა ჰკითხა: „ ჩემი საქმრო ხომ არ არის შინო“?

„არა, შვილო, შენმა საქმრომ მიატოვა სახლი, რათა ტყეში გამოსცადოს მერანი და ძაღლი“.

პატარძალმა გადასწია რიდე ძოწის დარი: იწვა საქმრო საქორწინო სარეცელში მკვდარი.

სიმღერა ეხვიან ბიჭვამ

ცაში სამი ვარსკვლავია,
ოქროს ნათელს მისდევს ვაჟი:
„სალამს გიძღვნი, ტურთა ქალო,
სად დავაბა ჩემი რაში“?

„შენი რაში გაიყვანე
და მიაბი ხეზე ცხენი,
შემდეგ ჩემთან ჩამოჯექი,
მომენატრა ნახვა შენი“.

„არა, შენთან არ დავჯდები,
რომ დამწვა და დამანელო,
რადგან გული მომიკალი,
ჩემო სანდო საყვარელო“.

ეს რა იძრო ქარქაშიდან?
ერთი ბასრი სატევარი;
სატრფოს ჩასცა მფეთქავ გულში,
მოსკდა სისხლის შადრევანი.

გამოაძრო სისხლით სველი,
დასცქეროდა სხივთა ციმციმს:
„ღმერთო ჩემო, შენ ხომ ხედავ,
ეს სიკვდილი როგორ მიმძიმს“!

აძრობს ბეჭედს, აგდებს წყალში,
და სხივებში ჩახატული
ოქროს ბეჭედს მიაქანებს
მორაკრაკე ნაკადული.

„იციმციმე, ზღვაში ჩადი,
მე სიხარულს აღარ ველი!
დამელუბა გულის სწორი,
აღარა მყავს საყვარელი.

ასე ხდება მუდამ ხოლმე,
თუ ქალს უყვარს ორი ვაჟი;
რაც მე და შენ გამოვცადეთ,
ჩაიტანე გაშლილ ზღვაში“.

სიმღერა ახალგაზრდა ბრაფზე

ვდგავარ ჩემთვის მაღალ მთაზე,
გაშლილ სივრცეს გადავცქერი;
გემზე ფეთქავს სამი გრაფის
გული, ტრფობით ანაძგერი.

სულ უმცროსი სამთაგანა
სატრფოს უმზერს სიამითა,
ვეედრება, შესვას ღვინო
ვენეციურ ფიალითა.

„ნეტავ, რისთვის მაწვდი ღვინოს?
ეგ სასმისი მე რად მინდა?
მსურს წავიდე მონასტერში,
მონაზონი გავხდე წმინდა“.

„მონასტერში თუ მიდიხარ,
მაშ იარე კენტად ასე!
შენისთანა ქალიშვილი
სხვაც ბევრია ქვეყანაზე“!

რომ შეიქნა შუალამე,
იცრემლება გრაფის თვალი:
ესიზმრება, თითქოს მართლა
მონაზონად შედგა ქალი.

მსახურს უხმობს: „ჩქარა ცხენი!
არ შევდგებით წამსაც არსად!
ვივლით დღე და ვივლით ღამე —
სიყვარული ღირს ამ ფასად!“

აგერ ძველი მონასტერი,
უფლის სახლად მონაზომი...
მოდის თეთრად შემოსილი
ახალგაზრდა მონაზონი.

დგას ვაჟი და ვერ ძრავს ენას,
ხმას ვერ იღებს ვერც ასული;
შავი თმა აქვს შეკრეჭილი,
ლალის ბაგე-ფერწასული.

მოყმე დაჯდა დაბლა ქვაზე,
დარდით დამწვარ-გათანგული,
და მღუღარე ცრემლს აფრქვევდა,
ვიდრე ორად გასკდა გული.





გოტფრიდ ავგუსტ ბიურგერი

ლ ე ნ ო რ ე *

ლენორეს მძიმე სიზმარი ზარავს,
იღვიძებს, მაგრამ ვერავის ჰკითხავს:
„ვილჰელმ, მღალატობ თუ მიწა გფარავს?
ნუთუ ლოდინი მომიწევს დიდხანს?“
საბედო ფრიდრიხ დიდის ჯარშია,
პრალას რომ ადგას რისხვის არშიად.
„რად არ მომწერა თუნდაც წერილი“? —
დარდობს ქალწული გულდასერილი.

მოსწყინდათ ომი პრუსთა მბრძანებელს *
და მძლე დედოფალს, სამტროდ დაძრულთა,

შოქანცველ შეხლას თავი ანებეს,
და მძიმე ომი ზავით დასრულდა;
უკან ბრუნდება გუგუნით ჯარი,
დაფით, სიმღერით, ზათქით და ზარით,
მოდის მორთული მწვანე დაფნითა,
აცოცხლებს კერას, მოცულს ზაფრითა.

სოფლად, ქალაქად, მთაში და ბარად
ერთის სიხარულს სხვა იზიარებს,
ქალი თუ კაცი აწყდება ჯარად
და გულში იკრავს თავისიანებს.
ღვივის მრავალი იმედი მკრთალი
და ხარობს ბევრი პატარძლის თვალის.
მხოლოდ ლენორე ამაოდ იცდის,
დაკარგულია სიცოცხლე მისთვის.

ვის არ გაანდო ეჭვი მზარავი,
ვის არ შესჩივლა მძიმე ნალველი,
მაგრამ არ ჩანდა ქვეყნად არავინ
ლენორეს გულის სწორის მნახველი.
ბოლოს, როდესაც წავიდა ჯარი,
საბრალოს გულზე მოაწვა ჯავრი,
ერთი შეჰკივლა, დაეცა დამბლა —
თმებჩამოშლილი დაემხო დაბლა.

შეშფოთებული მივარდა დედა:
„შენ დაგვიფარე, მაღალო ღმერთო!
კეთილო ბავშვო, რა მოგდის, ნეტა?
გაფითრებული სახე გაქვს ერთობ“.

„ო, დედა, დედა, არას მოველი,
დალუპულია ჩემთვის ყოველი...
რალას მიშველის უწყალო ღმერთი!
ავაჰმე, ბედშავს! შემეკრა ბელი!“

„ღმერთო, გვიხსენი! ეშმაკი დაგმე!
ადიდე, შვილო, უფლის სახელი!
უფლის საქმეა კეთილი საქმე,
ღმერთმა გაშოროს იქნებ ნაღველი“!
„ო, დედა, დედა, რას ამბობ, ნეტავ!
სწორედ უფალმა დამლუპა, ვხედავ!
რე საჭიროა ლოცვა-ვედრება,
თუ მისი გული ყინულს ეღრება“?

„ღმერთო, გვიხსენი! ენდე ღვთაებას,
მეტი რწმენა და სიმტკიცე გმართებს.
ილოცე, შვილო! წმინდა სამება
შეგიმსუბუქებს საზარელ დარდებს“.
„ო, დედა, დედა, ამ ჩემს წამებას,
ვერას უშველის წმინდა სამება!
სულს ვერ ჩაჰბერავს სამების მაღლი
მას, ვისაც მუსრავს სამარის მატლი“!

„მისმინე. შვილო! თუ ურცხვმა კაცმა
სადღაც უნგრეთში — დაუდგეს თვალი! —
ფეხქვეშ გათელან რჯული და ჭვარცმა,
კოლად შეირთო ვინმე სხვა ქალი?“

დარჩეს, გახსოვდეს შენ ჩემი .თქმული:
შვებას ვერ ნახავს იმისი გული
სახმილს უმზადებს გატეხვა ფიცის,
სასტიკი მსჯავრი ცისა და მიწის“!

„ო, დედა, დედა, რაც კვდება, კვდება!
რაც დაკარგულა — დაკარგულია!
სიკვდილი გახდა ღღეს ჩემი შვება!
არ გაგეჩინეთ, ნეტავ, სრულიად!
ო, ჩაქრი, ჩაქრი, ნათელო თვალთა!
მიხმობს ღამის და სიკვდილის კალთა!
ვინ დამიბრუნოს ნუგეშის ცემით
აწ დაკარგული სიცოცხლე ჩემი“!

„ღმერთო, შეუნდე! ნუ აპყრობ სმენას
შენი საბრალო მხევალის ბოდვას!
თვითონ არ იცის, რას ამბობს ენა,
თვითონ არ ესმის, რა მიძიმედ ცოდავს!
შვილო, მიწიერ შვებათა ჩრდილსა
სასუფეველი არჩიე ღვთისა,
მაშინ იხარებს იმედით სული,
შეხვდება საქმრო სიკეთით სრული!“

„ო, დედაჩემო, რისი ედემი, .
როცა ქვეყანა ჯოჯოხეთია!
სადაც სატრფოა, არის ედემი,
სადაც არ არის — ჯოჯოხეთია!

ო, ჩაქრი, ჩაქრი, ნათელო თვალთა!
მიხმობს ღამე და სიკვდილის კალთა!
მე ხომ უმისოდ შვება არა მწამს
არც იქ, არც აქა, არსად, არაყამს“!

ასე ბორგავდა, ასე თანგავდა
დარდი ლენორეს ტვინსა და ძარღვებს.
და თვითონ ღმერთთან დავას მართავდა,
რადგანაც ბედი უშლიდა თალხებს,
იტერა, წყევლა ხვედრი თავისი,
იგლოვა, ვიდრე დადგა დაისი,
ოქროს ვარსკვლავთა ნაზი მძივები
ცას დაეკიდნენ აციმციმებით.

ჩუ, ეს რა ისმის? დეზთა ცემითა
თითქოს მერანი მოაჯირითა —
კარზე მოაგდო მოყმემ ცხენი და
წყნარად იძახის მოაჯირიდან.
ჩუ, ყური უგდე! რკინის ჭიშკრის წინ
თითქოს გაუდის ურდულს ძინ-ძინ-ძინ!
ჰა, გადასწია კიდევ ურდული,
ესმის ლენორეს ნელი ჩურჩული:

„მისმინე! ადე, ჩემო პატარავ, •
გძინავს თუ გღვიძავს თვალთა ციმციმით?
მემღური? ბედმა სად არ მატარა!
ტირილით მხვდები შინ თუ სიცილით“?
„აჰ, ვილჰელმი შენა? ამ ბნელ ღამეში?
მღვიძავს, ვიტირე, ცრემლში ჩავეშვი.

ვაი, რა მძიმე უამი დამიდგა!
საით მოსულხარ წყვილიდ ლამითა“?

„ჩვენ წყვილიდ ლამის მხედრები გვქვიან,
ქარი სისინით სახეში მცემდა,
ბოჰემიიდან მოვდივარ გვიან
და მინდა დღესვე ვიხილო ჩემთან“!
„ო, ვილჰელმ! ნუ ხარ ასეთი ჩქარი!
გესმის? ბუჩქებში სისინებს ქარი!
მინდა გაგათბო, ოთახში შემო,
გულში ჩაგიკრა, ერთგულს ჩემო“!

„დე, სისინებდეს ბუჩქებში ქარი,
დე, სისინებდეს, ჩემო პატარავ!
მე აქ ვერ გავძლებ! მერანი ჩქარი
მატარებს, როგორც დღემდე მატარა!
გამოდი ცოცხლად! ისმინე ჩემი,
გვიცდის მერანი ფლოქვების ცემით!
გათენებამდე ვიხილო მინდა
დღეს საქორწინო საწოლი წმინდა“.

„აჰ, საქორწინო საწოლთან მისვლა
ითხოვს დილამდე მერნის ტარებას?
გესმის? ნალველი ჩამოწვა ნისლად,
უკვე თერთმეტი გვამცნეს ზარებმაც“.
„სავსე მთვარეა! გამოდი, კმარა,
ჩვენ და გვამები ვიქცევით ქარად,
გათენებამდე ვიხილოთ მინდა
ჩვენ საქორწინო საწოლი წმინდა“.

..სადა გაქვს სახლი და საფიცარი?
ან სარეცელი? სად გაქვს, სად არა“?
„შორს! ვიწრო, გრილი, თლილი ფიცარი —
ექვსი დღია, ორიც პატარა“!
„მე დავეტევი?“ — „შენცა და მეცა!
ცოცხლად! გელოდი დღეც და ღამეცა!
ჩქარა! ქორწილში მოგველის ჯარი,
ღია დაგვხვდება სენაკის კარი“.

ჭალი გამოდის და აღელვებით
ამხედრებული ვერაფერს ხედავს;
თავის შროშანა, კოხტა ხელებით
ეხვევა წელზე საყვარელ მხედარს.
აჩუ! მერანმა შეჰკრა კამარა
და სოფლის შარა მტვერმა დათარა.
გაჰკვირვებია მთვარეს ფიქრიანს —
მიცვალებულნი სწრაფად მიჰქრიან!

მარჯვნივ თუ მარცხნივ გარბის ჩვენება
რკინის ხიდების, სათიბთა, ველთა,
ბოლო არ უჩანს გიჟურ ჭენებას
და გულს უთანგავს ლენორეს ელდა!
„ხედავ, ძვირფასო, მთვარეს ფიქრიანს?
მიცვალებულნი სწრაფად მიჰქრიან!
მიცვალებულნი...“ — „აჰ. მოასვენე!
მიცვალებულებს რატომ ახსენებ“?

ეს რა საკრავის ხმები გაისმა?
რა აფართხალებო ყორნებს ტიალებს?

სულთა სიმღერას ერთვის ზარის ხმა!
..წუთისოფელი ასე ტრიალებს!“
მოაქვთ კუბო და მიცვალებული,
დათალხულია მიწა ვნებული...
მკვდრები მღერიან, სიმღერა გვამთა
ტბორში ბაყაყთა ყიყინსა ჰგავდა.

..დამარხეთ გვამი კვნესით და ძრწოლით,
ზრინვით, ზრიალით, ზარით და ზათქით.
მე მიმყავს ჩემი ყმაწვილი ცოლი,
გათენებამდე შინ მისვლა დავთქვით!
მნათევ, გვიმღერე ჰიმნი ქორწილის, —
გულმოდგინება გმართებს ორწილი;
მღვდელო, დალოცე სენაკის ბჭენი
და საქორწინო საწოლი ჩვენი!“

გაქრა საკაცე. შეწყდა ზრიალი,
ზათქი, ზარი და სიმთა ჟღერანი.
მაგრამ ანაზღად ატყდა ღვრიალი,
ფლოქვების ცემით მოქრის მერანი,
მიწას, დაბურულს შავი ზაფრითა,
ისრად გაეგლო, გაქრა, გაფრინდა,
გაჰკვირვებია მთვარეს ფიქრიანს —
მიცვალებულნი სწრაფად მიჰქრიან!

როგორ გარბიან მარჯვნივ და მარცხნივ
მთები, ბორცვები, ღრე და ხეები!
გარბიან მარცხნივ, მარჯვნივ და მარცხნივ
დაბა-სოფლები, ტყე და ღრეები!

„ხედავ, ძვირფასო, მთვარეს ფიქრიანს?
მიცვალებულნი სწრაფად მიჰქრიან!
შიშმა შეგიპყრო?“ — „აჰ, მომასვენე!
მიცვალებულებს რატომ ახსენებ?“

პა, სულთა გუნდი გადარეული!
ისმის ბორბალთა გრგვინვა, დგანდგარი .
და მთვარის შუქზე ფერგალეული
როკავს გარშემო სულთა ლაშქარი.
ჰეი! აქ მოდი, გვამთა ლაშქარო!
მოდიოთ, მომყევით, აბა, საჩქაროდ!
თქვენი ფერხულით დამშვენდეს მინდა
დღეს საქორწინო საწოლი წმინდა“!

სულთა ლაშქარი მოვარდა მკვირცხლად,
შმაგი მერანი ახტა თუ არა,
გამხმარ ფოთლებში თხილნარებს ფიცხლავ
ბორბალქარივით გადაუარა.
ახტი! წინ გასწი! წინ გასწი! გასწი!
თვალს ვერ შეასწრებს ამ მხედარს კაცი,
შუბლი შეუკრავს მთვარეს ფიქრიანს,
მიცვალებულნი სწრაფად მიჰქრიან!

როგორ მიფრინავს ზღვა და ხმელეთი,
მთვარის სხივებით განათებული!
როგორ მიფრინავს დაბლა ბნელეთი,
ცაში—ურიცხვი ვარსკვლავთ კრებული!

„ხედავ, ძვირფასო, მთვარეს ფიქრიანს?
მიცვალეზულნი სწრაფად მიჰქრიან!
ცხედართა შიში თუ არ გასვენებს“?
„ვაიმე, ცხედრებს რატომ ახსენებს“?

„გასწი! გაფრინდი! მგონი, თენდება,
ქვიშა თავდება, ყივის მამალი!
წინ! აღმოსავლეთს ცეცხლი ენთება,
დროა დავტოვოთ ტყე და ტრამალი.
მორჩა! მოფრინდა ფრთამალი ცხენი!
ჰა, საქორწინო საწოლიც ჩვენი!
ვაშა! მოვედით შმაგი მხედრები!
სწრაფად მიჰქრიან აკი ცხედრები“!

ასე მოვარდა რკინის მესერთან
მხედარი, სწრაფი, როგორც შურდული,
საკეტებს სახრე დაჰკრა, შეჩერდა,
გახსნა ჭიშკრები, გახსნა ურდული,
საფლავთა შორის გაქრა, გაფრინდა,
დათალხულიყო მიწა ზაფრითა
და მთვარის შუქზე საფლავის ქვეები
თითქოს გარბოდნენ თავდავიწყებით.


ერთი შეხედე! ანაზღეულად
რა საზიზღარი ცვლილება ხდება!
მხედარი ჩონჩხად გადაქცეულა,
მზერა საზარელ ჩვენებას ხვდება:
თავი ქცეულა უხორცო ქალად,
დაუკრეჭია კბილები რკალად;

გაშიშვლებულა მხედრის სხეული,
ფერფლად ქცეული, თეთრი, რღვეული.

შეხტა რაში და შეიჯირითა,
შესძრა სავანე გაუცინართა,
გაუხსნა მიწამ შავი პირი და
ლენორეს თვალწინ გაუჩინარდა.
ახლა ღმუილი ესმა მალლიდან,
მიწა წიოდა სავსე ნაღვლითა,
სიკვდილ-სიცოცხლის სამანთა შორის
ხუთავდა სუნი ხრწნისა და შმორის.

მთვარის სხივებზე ზრინვით, ზრიალით,
ცეკვით სერავდნენ სულეები სივრცეს,
ფერხულს უვლიდნენ გრეხვით, რიალით
და ღრიალებდნენ ამდაგვარ სიბრძნეს:
„ითმინე! თუნდაც გაგისკდეს გული,
გქონდეს განგების იმედი სრული!
თუმცა გაცივდა მეგობრის მკერდი,
სულს არ გასწირავს მოწყალე ღმერთი“!





ღუღვიგ ჰედტი

მომღერალი და მეფის ასული

ვიცი ძველი ამბავი, ხალხში ზღაპრად გასული:
ერთ მომღერალს უყვარდა თურმე მეფის ასული.
ო, საბრალო მგოსანი, არ შეეძლო ღუმილი!

მღეროდნენ და კვნესოდნენ მისი ნაზი სიმები,
შექნაროდა, ხიბლავდა თვალთა აციმციმებით.
ო, საბრალო მგოსანი, არ შეეძლო ღუმილი!

ქალი დაჰყვა ნებასა, ვაჟმაც გულის ნუგეში
ჩაიკონა, ჩაკოცნა სურნელოვან ტუჩებში. —
ო, საბრალო მგოსანი, არ შეეძლო ღუმილი!

ასიხინდა მეშურნე, ხმა გავარდა უხეში:
„მომღერალმა მეფის ქალს აკოცაო ტუჩებში“.—
ო, საბრალო მგოსანი, არ შეეძლო დუმილი!

მთვარე დადგა უკუღმა, გლოვის ზარი გაისმა
და ჯალათის ნაჯახსაც ბანს აძლევდა ქარის ხმა.—
ო, საბრალო მგოსანი, არ შეეძლო დუმილი!





იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ტყის მეფე*

ვინ აჩქარებს ტყეში მერანს ღამესა და ქარში?—
მშობელ მამას ხელთ უჭირავს საყვარელი ბავშვი.
უნდა შვილი გაარიდოს ტყე-ღრესა და ხევსა,
საიმედოდ იკრავს გულში, ზრუნვით უჭერს ხელსა.

„შვილო ჩემო, რა გაშინებს, რისთვის მალავ
სახეს?“

„ნახე, მამა, ტყის მეფეა, დგას და ტოტებს არხევს!“

გვირგვინს აქნევს, კუდსა კლაკნის და ძახილიც
ისმის“.

„შვილო ჩემო, იფანტება ტყეში ქულა ნისლის“.

„ჩემთან წამო, საყვარელო, ჩემო ციდა ბავშვო!
მთელი ღამე შენთან ერთად მინდა ვითამაშო;
მრავალ ტურფა ყვავილს ნახავ, მეფის შესაშვენსა,
ბევრი ოქროს სამოსი აქვს შენთვის დედაჩემსა“.

„მამაჩემო, მამაჩემო, რას ჩამძახის ყურში!
გესმის, რა თქვა, რას დამპირდა, რა ჰქონია
გულში“?

„მშვიდად, შვილო, მშვიდად, შვილო, გახსენ
გულის კარი!
გამხმარ ფოთლებს აშრიალებს შემოდგომის ქარი“.

„ხომ არ გინდა, ჩემო კარგო, ჩემო ციდა ბავშვო,
ჩემს ასულებს ეახლო და მათთან ითამაშო?
ესეთ ფერხულს დაუვლიან, არ ნახულა ზღაპრად,
გამღერებენ, გაცეკვებენ, გადაგივლის ზაფრა“.

„მამაჩემო, მამაჩემო, ვერა ხედავ განა?
ტყის ხელმწიფის ასულებიც ორწოხებში დგანან“!
„ვხედავ, შვილო, ვხედავ, შვილო, ტყის ასულებს
არ ჰგავს;
მოციმციმე ვარსკვლავების შუქი ველებს ქარგავს“.

„შემიყვარდა შენი სახე, ნათელი რომ ბადრავს,
წამომყევი, თორემ ძალით ავისროლებ ნატვრას“.

„მამაჩემო, მამაჩემო, აგერ ხელსა მკიდებს!
მატკინა და სადაც არის გამიტაცებს კიდევ!“!

კვნესის ჭავჭავი, ჩქარობს მამა, ზარავს შიშის ელდა
და უჭირავს ასე შვილი საიმედოდ ხელთა...
აგერ ეზო, აგერ სახლი, ნისლი ჩადგა თვალში,
და ესვენა მხედრის ხელზე მისი მკვდარი ბავშვი.





ფრიდრიხ შილერი

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ზის სამხეცის წინ ხალისით სავსე
სვებედნიერთა გვირგვინით თავზე
ხელმწიფე ფრანცი;
ლომ-ვეფხვთა ბრძოლის დაწყებას ელის
წარჩინებულთა კრებული მთელი,
მშვენებით სავსე ქალი და კაცი.

აგერ, შეირხა ხელმწიფე ქველი,
აივნის თავზე აღმართა ხელი,

იღება კარი, მეფური წყრომით
შემოდის ლომი.

ვერანდას აპყრობს დიდებულ მზერას,
გარემოს ზვერავს,
ამთქნარებს დიდხანს,
კიდურებს ირთხამს,
ალარა წყრება
და წყნარად წვება.

მეფემ მარჯვენა ასწია ისევ,
ახლა სხვა კარი გაიღო მყისვე
მქისე გრიალით,
და გამოვარდა მრისხანე ვეფხვი
თვალთა ბრიალით.
შეხედა ლომს და ომახიანად
დაიდრიალა.

შეატრიალა ძალუმი კუდი,
შეჰკრა კამარა ლალი და მრუდი,
შეინავარდა, გამოჰყო ენა,
გამეხებულმა დაიწყო ღრენა,
ღმუის და უვლის გარშემო ლომსა,
ვეღარ უბედავს პირისპირ ომსა,
მშვიდდება, ცხრება, ალარა წყრება
და წყნარად წვება.

მეფემ ხელახლა ასწია ხელი...
დაუნდობელი და სისხლისმღვრელი



გადმოაფრქვია ცეცხლად ანაზღად
რკინის გალიამ ორი ავაზა,
წინ შეეფეთათ ვეფხვი ვეება,
შეხვდა, შეება,
დაჰკრა ძალუმად, დაზარა, დასცა,
მაშინ წამოდგა ლომი ღრიალით,
ანაზღად შეწყდა მხეცთა რიალი,
დამალეს მყისვე
კლანჭები მქისე —
ლომმა ინება წესრიგის დაცვა.

ადგა ასული მშვენებით სავესე,
ასწია ხელი ვერანდის თავზე
და ხელთათმანი, ნასროლი შორით,
დაბლა დავარდა, ლომ-ვეფხვთა შორის.

იჯდა დელორეი, მოყმე ძლიერი,
ესმა მიჯნურის სიტყვა ცბიერი:
„თუ მართლა ჩემთვის, ჩემო რაინდო,
მზადა ხარ თავზე ცეცხლი დაინთო,
ის ხელთათმანი მომართვი, გელი!“

ადგა უსიტყვოდ ჰაბუკი ქველი,
სწრაფი ნაბიჯით ჩამოდის ქვევით,
აგერ გალია,
შედის, გარშემო მხეცთა რკალია,
იღებს ხელთათმანს უდრეკი ხელით...
უმზერენ შიშით და აღტაცებით
სეფექალები, კარისკაცები.

მოდის, თათმანი უჭირავს ხელთა,
ადიდებს ყველა, განქარდა ელდა;
შეკავშირდება, ჩანს, გული გულთან:
სახემცინარი დგას კუნიგუნდა...
არ ეძებს მოყმე სიტყვათა მწველთა,
ესვრის სახეში, შორდება წყენით:

„არა მჭირდება წყალობა თქვენი“!



იოჰან ფრიდრიხ ჰაუგი

სამი რაინდი

სვამდა სამი რაინდი და მოეკიდათ ღვინო ძველი
გადომა თქვა: „ვაჟკაცებო! რომ დავიდოთ გულ'
ხელი,
რომელ ჩვენგანს განუცდია სიყვარული სხვაზე
მწველი?

მაშინ, როცა ვალად მედო ზიდვა გრაფის
საჭურველის,
შემიყვარდა მისი ქალი, მდიდარი და სასურველ
მითხრა: „თუ გსურს ჩემი თავი, სძლიე მტერი
საძულველ

გადავწყვიტე, იარაღით მომეხვეჭა ქალის ნდობა,
წინ მიმქონდა ძლევის დროშა — მტერი როგორ
დაინდობა!
ვაუკაცობა მომიწონეს და მიბოძეს რაინდობა.

ახლა უკან ვბრუნდები და სიყვარულით ტოკავს
გული,
მომაქვს დაფნა, მომაქვს დავლა და ჭრილობა
რაინდული...
ის რომ არა, დღეს ჩემი მზე იქნებოდა
დაბინდული“.

„ჰო, რაინდო! — თქვა მეორემ,—დიდ სიყვარულს
უჭრის ხმალი,
მაგრამ სხვაა ჩემი გრძნობა!.. როდი გახლავთ
გრაფის ქალი
ის ლამაზი, რომლის ეშხმაც ამირია გზა და კვალი.

სასახლე მაქვს, მისი ცქერით ვერ გაძლება კაცის
თვალი!
არ მაკლია ოქრო-ვერცხლი, ციხე-კოშკი, მიწა-
წყალი,
და ჰერცოგთა შთამომავალს შემეყვარდა მწყემსი
ქალი!“

„ჰე, რაინდო! — თქვა რობერტმა. — მჯერა, დიდი
გრძნობით იწვით,

მაგრამ ჩემი სიყვარული ჭარბობს თქვენსას,
გეტყვით ფიცით;
კლდეს გავხვრეტ და მუხას მოვდრეკ, თუ გაჭირდა,
კარგად იცით...

მაგრამ სატრფომ მილალატა, შინ ველოდი გულის
ცემით—
წავიდა და მონაზონად აღიკვეცა სატრფო ჩემი,
მაინც მიყვარს, მაინც ვეტრფი, მაინც ისე მტკიცე
ვრჩები“.

გადომ აკვინს გადახედა—დიდებულთა გვარებია —
ხელს ართმევენ: „თავი თქვენთვის ტყულად
შეგვიდარებია!
გიყვართ, როგორც არასოდეს გერმანელს არ
ჰყვარებია!“





ღუღვოგ ტიკო

ზიგფრიდის ყრმობა

ადგა მამაცი ზიგფრიდი,
ოინბაზი და ლალი,
დაუდეგარმა, პატარამ
დატოვა მამის სახლი.

იარა, იხეტიალა
დიდხანს მთასა და ბარში,

უსიერ ტყეში სამკედლოს
წაადგა ბოლოს ბავშვი.

აქა ცხოვრობდა მიმერი,
ლალი მკედლები ჰყავდა,
მისი ნაჰედი ზარადი
გოლიათისას ჰგავდა.

ჰედდა ხმალთა და აბჯართა
მიმერი ოფლის ღვრითა...
კარს ადგნენ მეფე-მთავრები
ქვეყნის ყოველი მხრიდან.

დევემირს მიადგა ყმაწვილიც,
გზა მოუვლია შორი:
„მასწავლე, როგორ გავჰედო
მუზარადი და თორი“.

მაგრამ შეგირდმა შმაგი ზნე
გამოავლინა მალე,
შუბლი შეიკრა მჰედელმა
და უბრიალებს თვალებს.

კვირა დღე არის და ლამის
ცა რისხვით დაიბუროს,
გაშმაგებული შეგირდი
მოიქნევს თავის უროს.

დაჰკრა და გრდემლი დაღეწა,
ზღაპრად არ იყო თქმული!
შიშით გარბიან მჭედლები,
პატრონს უსკდება გული.

და ეპარებათ კოჭებში
სული მხიარულ მჭედლებს:
„დრო არის რამე ვიღონოთ,
ვიდრე მიგვახლის კედლებს“!

...იმხანად ტყეში სადგომი
ჰქონდა შხამიან დრაკონს.
დაე, თავხედმა ყმაწვილმა
მასთან პასუხი აგოს!

რა უწყალოა მიმერი,
ეს რა მოსვლია თავში!
ფარულად გზავნის დრაკონთან,
უნდა დაღუპოს ბავშვი!

ადგა, აჩქარდა ზიგფრიდი,
ბრძოლის წყურვილი კლავდა:
უიარაღოდ წავიდა,
ჰქონდა იმედი მკლავთა.

გაცოფდა მხეცი, გაცოფდა,
მთასავით დაიჭუხა,

მაგრამ მოგლიჯა ზიგფრიდმა
ძირფესვიანად მუხა;

დაჰკრა და მოკლა დრაკონი,
სისხლი წავიდა მქისე,
უსიერ ტყეში ყმაწვილმა
ცეცხლი დაანთო მყისვე,

და დაიზილა სხეული
დრაკონის შავი სისხლით,
ტანში რვალივით გამაგრდა,
თვალანთებული რისხვით.

ჩადო ურჩხულის თავი და
გადაიკიდა ჩანთა,
კარზე მიადგა მჭედელსა,
გაჯავრებული ჩანდა.

შეშფოთდა დასტა მჭედელთა,
ქედმაღალი და ლადი:
ზიგფრიდს დრაკონი მოუკლავს,
ცოცხალია და სადი.

მიმერს თავზარი დაეცა,
თქვა: „მოგიხდია ვალი!
მადლობის ნიშნად ინებე
ჩემი რჩეული ხმალი“.

გაჯავრებულმა ზიგტრიდმა
რისხვით შეხედა მჭედელს,
ურჩხულის თავი ესროლა
და შეაღწა კედელს.

აილო ბასრი მახვილი,
მარდად მოახტა მერანს,
და გაჰყვა გრიგალს იქ, სადაც
ბედი დიდებას ჰკვერავს.





კლემენს ბრენტანო

ლორე ლაი

ბახარახში იყო ქალი
გრძნეული და თვალწარმტაცი;
ვისაც მოხვდა მისი თვალი,
წყალს მიჰქონდა ყველა კაცი.

გასცქეროდა მღორე რაინს,
სიყვარულით კლავდა ყველას;
ვინც ნახვდა ლორე ლაის,
არა ჰქონდა ხსნა და შველა.

მღვდელმთავარმა დაიბარა,
დასჯა სურდა იმისი და
დასჯის ნაცვლად დაიფარა
შებოქილმა თილისმითა.

„შე საბრალო ლორე ლაი,
სილამაზით რომ ხარ სავსე,
ვინ გაცთუნა ნატვრის თვალი,
დაგაყენა ბოროტ გზაზე“?

„ო, უბრძანეთ მოგკლან ცემით,
მე სიცოცხლე არად მინდა;
ვინც იხილა სახე ჩემი,
წყალში ხტება ქარაფიდან.

ეს ცეცხლია ორსავ თვალში,
ეს ხელია მისნის კვერთხი —
ო, ჩამაგდეთ ცეცხლის აღში
ო, დალეწეთ მისნის კვერთხი“!

„ვერ შეგრისხავთ უფლის ნებით,
ვერ მოხდება შენი თქმული,
რადგან შენი მძლავრი ვნებით
იწვის თვითონ ჩემი გული!

ვერ ვუბრძანებ მოგკლან ცემით,
ვერ ჩაგაგდებ ცეცხლის რკალში!

ხელთან ერთად გული ჩემი
დაიმსხვრევა სწორედ მაშინ“!

„მე ისედაც ბელი მლუპავს,
ნუ დამცინით ბედშავს ასე,
დამეხმაროს, სთხოვეთ უფალს,
დამაყენოს წმინდა გზაზე!“

სიცოცხლესთან მინდა გაყრა,
არვინ მიყვარს ქვეყნად მეტი —
აქ ველოდი სიკვდილს, მაგრამ
ვერ ვიპოვე ვერსად ბელი!

სატრფომ ფიცი გამიტეხა,
შემაჩვია სიმწუხარეს.
ტყვილად შარი ამიტეხა,
მიაშურა უცხო მხარეს.

ორივ თვალი ცეცხლის მსგავსი,
სიტყვა თაფლად გადმოსული,
ორი ლოყა თეთრი, ნაზი —
ჰა, ჩემი წრე ჯადოსნური.

მეც ამ წრეში დავეცემი,
მეუბნება გული ასე;
რომ მენახა სახე ჩემი,
მოკვდებოდი ცოდვით სავსე.

ღამაცალეთ, ნუღარ მიცავთ,
მოვკვდე, როგორც ქრისტიანი;
სარეცელიც მექცეს მიწად,
რადგან არ ჩანს ის ტიალი“.

„აგისრულებ წადილს სწორედ! —
იხმო მყისვე რაინდები: —
მონასტერში წადი, ლორე,
წმინდა სანთლად დაინთები.

იყავ თეთრი მონაზონი,
დათმე ფიქრი ბიწიერი...
შენთვის არის მონაზოპი
ეს სიკვდილი მიწიერი“.

მონასტერი მოჩანს შორით,
მიჰყვებიან მდორე რაინს,
გულდამწვარი სამთა შორის
მიდის ტურფა ლორე ლაიც.

„რაინდებო, ხელს ნუ მკიდებთ,
არ დავიშლი არაფრითა:
მინდა ვნახო ერთხელ კიდევ
სატრფოს ციხე ქარაფიდან.

ხოპ ისმინა თქვენი რჩევა! —
მაშ დახედოს მდორე რაინს,

მონასტერში ვიდრე შევა
მონა ღვთისა ლორე ლაი“!

ფრიალოზე ადის მალლა,
კლდიდან კლდეზე გადაფრინდა,
არ ეტყობა მისანს დაღლა,
მხედრებს უმზერს ქარაფიდან.

რაინდებმა გზა დაკეტეს,
გაფრენილებს ედრებიან,
მიჰყვებიან მალლა კედელს
კლდოვანსა და ბრეკებიანს.

ლორე ამბობს: „ციცქნა გემი
მისდევს დაბლა მდორე რაინს;
იმ გემში დგას სატრფო ჩემი,
ის წაიყვანს ლორე ლაის!

ჩემმა გულმა გაიხარა,
მე ის მიყვარს“! — თქვა და მარდად
შეტრიალდა, დაიხარა
და რაინში გადავარდა.

რაინდების გზა დასრულდა,
სამი ქვრივიც იარება...
არ ეღირსათ დანავსულთა
სამარე და ზიარება.

ასე მღერის ნაოსანი,
აღმა მისდევს მღორე რაინს
და ხმაც ესმის საოცარი,
თითქოს ეთქვას სწორედ რაინდს:
 ლორე ლაი!
 ლორე ლაი!
 ლორე ლაი! —
სამ ქვას უსმენს ზღვაოსანი.

რ ა ი ნ ზ ე

ზის მეთევზე გულდამწვარი,
ნავი შეუჩერებია;
მოკვდა მისი გულის სწორი —
ვერვის შეუჭერებია.

ვიდრე ჩავა ბადრი მთვარე
და ვარსკვლავი დარდობს ცაზე,
ღრმა რაინზე აღმა-დაღმა
ასეირნებს სატრფოს ასე.

აგერ ახლაც მოფარფატებს,
მუხლებს იყრის ნავში ნელი,
ცალფა კაბით შემოსილა
ფერგამკრთალი, საშინელი.

ირწევინან ზვირთებს შორის,
დიდხანს ასე მშვიდად დგანან;
ვაჟი ამბობს: „რად ცახცახებ?
საყვარელო, გცივა განა?“

ქარი კაბას გიფრიალებს,
ნავს აჩქარებს, სტვენს და წივის:
აგერ, ჩემი მოსასხამი,
თორემ ღამე დადგა ცივი“!

ქალი უწვდის ბროლის ხელებს,
სალამს უთვლის არემარეს,
თვალს აყოლებს ღრუბლის ქულას
და უღიმის სავსე მთვარეს.

სალამს უთვლის ციხე-კოშკებს,
ლამის ქაფში ჩაიძიროს:
სუსტი ხელით ცდილობს წყალში
ვარსკვლავები დაიჭიროს.

„ო, ნუ ცელქობ, საყვარელო,
ლამის ტალღამ ჩაგინვიოს,
ქარი კაბას გიფრიალებს,
ლამის აფრა დაგეინიოს“!

მიფრინავენ ქალაქები,
ნავიც ისე დასრიალებს,
და იმ ზღაპრულ ქალაქებში
ვიღაც ზარებს აზრიალებს.

უცბად გულხელდაკრეფილი
მუხლებს იყრის ნავში ქალი,

და ედება მის შავ თვალებს
მოგიზგიზე ცეცხლის ალი.

„საყვარელო, ცოტა მშვიდად,
ლოცვა უნდა ნავში ნელი,
თორემ ლამის გადაბრუნდეს,
მორევია საშინელი“!

გალობს ქალთა მონასტერში
მონაზონთა გუნდი წყნარად,
საყდრის სარკმელს სანთლის შუქი
ეფინება მინანქარად.

გალობს ქალი, გალობს ნაზად,
ისმის ნავში მწუხრის ლოცვა,
უმზერს ყმაწვილს ცრემლთა ფრქვევით,
ახლოვდება გაყრის დროცა.

გალობს ვაჟიც ნაღვლიანად,
გალობს მწუხრის საგალობელს
და შესცქერის გულდამწვარი
სატრფოს სათნოს, საწყალობელს.

წყალი წითლად იქარგება,
გალობს ქალი სევდიანად,
ფერი მისდის, გული მისდის,
გათოშილა ერთიანად.

მთვარე ჩადის, ვარსკვლავებიც
თითქოს მისი მაყრებია,
და თვალებიც ქალწულისა
სადაც არის ჩაქრებიან.

..თეთრი დილა, საყვარელო!
სახე მესხვაფერებაო! —
ახლა რატომ გეძინება,
როცა დილა თენდებაო?“

კოშკებს ვერცხლავს მზის ნათელი,
მღერის მწყემსი მხიარული,
მწვანე ტყეში დგას ჩიტების
ჯადოსნური ყრიამული.

ქაბუკს უნდა გააღვიძოს,
გაახაროს ნატვრისთვალი,
მობრუნდა და რასა ხედავს —
აღარ არის ნავში ქალი!


მოსრიალდა მერცხალი და
მკერდზე წყალი მიასხურა;
რას გაიგებ, სად გაფრინდა,
რომელ მხარეს მიაშურა!

ეგდო ნავში ნიჩბები და
იჭდა დაბლა საწყლად ვაჟი,

წყალს მიჰქონდა დაღმა-დაღმა,
ვიდრე მოხვდა გაშლილ ზღვაში.

მეც ხომალდით მოვცურავდი,
ზღვა მხვდებოდა ზვირთთა ცემით,
სიცოცხლის და სიყვარულის
განცდით ძგერდა მკერდი ჩემი.

შესცქეროდა მერცხალს მოყმე,
ელეოდა ნავში გული
და მღეროდა ამ სიმღერას,
თითქოს იყო ჩემზე თქმული.





ადელბერტ შამისო

ლომის სარძლო

ტვიის ტოტით და საქორწინო კაბით მორთული,
ქორფა ვარდივით გაფურჩქნილი, წელგამართული—
მწვრთნელის ასული გალიაში ლომთან შევიდა,
ნადირთა მეფე ქალის ფერხთით დაწვა შვებითა.

უწინ სასტიკმა რაოდენი მსხვერპლი დაფლითა!
დღეს კი ქალბატონს უშფოთველად უმზერს
დაბლიდან:

ნაზი ქალწული ხელებს უსვამს ფაფრიან თავზე,
დიდებულ ნადირს ეფერება და ფიქრობს ასე:

„ერთ დროს, რომელიც არ დადგება არასდროს
მეტად,
მე და შენ ასე გვიხაროდა თამაში ერთად,
უერთმანეთოდ ვერა ვძლებდით ერთი წამითაც,
მაგრამ ბავშვობა რა ხანია გაქრა, წავიდა.

არ შეგვიღალავს მეგობრობა ბავშვური დავით,
მალლა გეჭირა ფაფრიანი, მეფური თავი;
მეც ვიზრდებოდი, მეგობარო, მალლა და მალლა,
და როგორც ხედავ, უკვე ბავშვი აღარ ვარ ახლა.

ო, როგორ მინდა აქ დარჩენა! ლამის მატრო,
ჩემო ერთგულო, თვინიერო, მძლავრო ნადირო!
მაგრამ მე უკვე დანიშნული ქალი ვარ ახლა
და სხვისი სახლი მომიჩინეს საკუთარ სახლად.

ერთ უცხო მოყმეს მოეწონა ქალი ლამაზი, —
და ლაპარაკი არის ახლა გვიან ამაზე...
ხედავ, მამშვენებს საქორწინო გვირგვინი თავზე
და მაქვს თვალები, მეგობარო, ცრემლებით სავსე.

გამიგე განა? რად მიცქერი მრისხანე სახით?
მე ხომ მშვიდად ვარ, შენც დამშვიდდი, იყავი
ლალი!
მოდის ის, ვისაც უნდა გავყვე უცხო მხარეში,
უკანასკნელად მსურს გაცოცო მეფურ თვალებში!“

ბაგით შეეხო ლომის სახეს — ეს რა ქალია!
მაგრამ უეცრად შეზანზარდა ლომის გალია.
გარეთ დამდგარი საქმროს სახე ნახე თუ არა,
ქალს თითქოს თავზე ელდის ქარმა გადაუარა.

წამოხტა ლომი, დაჰკრა კუდი მიწაზე მძაფრად,
კარებთან დადგა და ღრიალით გაფანტა ზაფრა.
ქუხს და ბობოქრობს, სისასტიკის ქანდაკს ედრება,
ნირსაც არ იშლის, აღარ ესმის ქალის ვედრება.

ხალხი შექუჩდა, შეჩოჩქოლდა, შეშფოთდა სიძე,
„ჩქარა მომეცი თ იარაღი!“ — შესძახა მტკიცედ.
იქით ჭაბუკი იმუქრება კარებთან მდგომი,
აქეთ კი ბრდღვინავს და ცოფსა ჰყრის სასტიკი
ლომი.

გზას ითხოვს ქალი, დარჩენილი ბედის ამარა!
ანაზღად ლომმა შავბედითი შეკრა კამარა
და ვიდრე ხალხი მოასწრებდა თვალის შევლებას,
მტვერში დაეცა დაფლეთილი ტურფა მშვენება.

როცა ქალწულის წმინდა სისხლი წავიდა ღვარად,
გულდახურული ლომი გვამთან ჩამოწვა წყნარად;
ასე ვარამით შეპყრობილი იწვა პირქუში,
ვიდრე არ მოხვდა ცხელი ტყვია პირდაპირ გულში.

არჩვეზუე მონადირე და მწყემსი ქალი

„ზეითარე მონადირე,
თუ ხარ სათნო მწყემსი ქალი!
არჩვმა მთაში გამიტყუა,
ამერია გზა და კვალი.

უცხო მთებში დამალამდა,
სახეში მცემს ცივი ქარი,
ასე მკაცრად არ ჩაკეტო,
ტურფავ, შენი კარვის კარი“.

„მე რომ კარი არ ჩავკეტო,
შიშმა როგორ დამაძინოს?
ვიწრო ქოხში უცხო კაცი
სადღა უნდა დავაწვინო“?

„ტურფავ, ლოგინს ნუ გამიშლი,
ნუ გაშინებს სიმარტოვე;
მზე მყინვარებს რომ შევერცხლავს,
მეც შენს კარავს მივატოვებ“.

„აბა როგორ შემოგიშვა?
მონადირევ, ნუ ხარ ბავშვი!
ნუ დამატებ კაცთა წყრომას,
ნუ ჩამაგდებ ქვეყნის ყბაში!“

„მშვიდი ვარ და მეტად წყნარი,
რომ დავლუპო ვარდი შლილი;
სიტყვას გაძლევ, ჩემს აქ ყოფნას
ვერ გაიგებს კაციშვილი“.

„თუ წყნარი ხარ და არ ფარავ
მართლაც ბოროტ წადილს გულში,
კარს გაგიღებ, რადგან ცივა,
იქუფრება ცა პირქუში“.

ქალი წყნარად ალებს კარებს,
ესმის მოყმის გულის ძგერა;
ცეცხლის შუქზე ქვას გახვრეტდა
განცვიფრებულ კაცის ცქერა.

კარვის ჰერმა აიწია,
ძწყემსი ქალი დაბნედილა...
შეუმჩნევლად გადის ღამე,
ათენდებათ თავზე დილა.

„ვაი, რისთვის შემოგიშვი,
რა შემემთხვა, ეგზომ ბედშავს!“

მზე მყინვარებს ღებავს წითლად
და სირცხვილი — ლოყებს ჩემსას.

ო, ძვირფასო მონადირე,
როგორ სწრაფად დადგა დილა!
ადექი და წადი ჩქარა,
ვიდრე მწყემსსა სძინავს ტკბილად“!

„წავალ, მაგრამ არ გამკიცხო,
და ნუ გინდა მწველი ცრემლი.
აჰა, ოქროს ბეჭედი და
საიმედო სიტყვა ჩემი.

განძი ჩემი — თოფი, სახლი
და ფეხმარდი არჩევბია;
მწყემსები რომ გამიცნობენ,
კმაყოფილი დარჩებიან.

სულ ნადირის ხორციტ გარჩენ,
გიერთგულებ, ვფიცავ, მარად,
და მთას თოვლი რომ დაბარდნის,
გავაჩაღებთ ქორწილს ბარად“.

ღამე ნავში

მწუხრის ცაა ძოწისფერი
და ფრთებსა შლის უკვე ქარი;
სასეირნოდ იწვევს ნავში
ქალწულს მოყმე უღეგარი.

„აღარც მე მაქვს სხვა სურვილი,
შენთან ზღვაზე გასვლის გარდა.
მაშ ქარს ანდე იალქნები,
მე კი—შენი ნავის მართვა“!

„ქალიშვილო, ნიჩბებს უსვამ
მეტისმეტად გაბედულად;
შავ ზვირთებზე ნავით მისვლა
უნდა უფრო დახედულად“.

„ნავს არ ვენდო? მერე, რატომ?
ზღვის ზვირთები ყალყზე დგანან?
იმ შავ ღრეში მე შენს გულსაც
არ მივენდე ასე განა?“

„უგუნურო, მოაბრუნე,
ჩამოუშვი იალქანი!
ღმუის ტალღა და ზვირთებში
გვათამაშებს ნიავექარი“.

„დე, ღმუოდეს შმაგი ტალღა,
ქარი ატყდეს უფრო მძაფრად!
ნიჩაბს ხელი! აღთქმულ მიზანს
აღწევს ჩემი თეთრი აფრა.

შენც ხომ ასე გამიტყუე
და დამღუპე თამაშითა!
მაშ ილოცე! ხანჯალია
აზიდული ქარქაშიდან!

ფლიდო, ხანჯლის დანახვაზე
რა ცახცახმა აგიტანა?
ღალატი ხომ გულებს სერავს
უკეთ, ვიდრე ბასრი დანა?

სხვა თუ წყნარად იღუპება,
მძიმე დარდით დაღდასმული;
მე სიცოცხლეს ძვირად ვყიდი —
დადგა ჩვენი აღსასრული“!

იჭდა ვაჟი განწირული,
ახლა იგრძნო, რა ქნა გუშინ;



ქალმა მკერდში ჩასცა რკინა
და დაიცა მფეთქავ გულში.

ზღვის მოქცევას მოჰყვა ნაგი,
იდგა თეთრი გარიჟრაჟი,
ფსკერზე ეგდო ორი გვამი
საკუთარი სისხლის ტბაში.

ჩრდილოეთის მეფე

ჩრდილოეთში იყო მეფე მაღალი,
უძლეველი, ზვიადი და მზარავი;
არც ყოფილა ქვეყნად მისი ბადალი,
არც იქნება მისი ტოლი არავინ.

როს სიკვდილის შავი ლანდი შეება,
დაჭდა მეფე უსასრულო ზღვაზედა,
დათვი, მგელი, ჭოტი მემკვიდრეებად
გამოცხადდნენ მომაკვდავის ხმაზედა.

დათვს ეტყოდა მბრძანებელი ქარიშხლის:
„შენი იყოს უკაცური ტყეები;
მონადირე მეფობას ვერ დაგიშლის,
უდარდელად განვლე შენი დღეები“.

ჭოტს ეტყოდა მბრძანებელი ქარიშხლის:
„გაძლევ ღამეს, ბურჯებსა და ქალაქებს,

უფეშქაშე შენს უთვალავ ქალიშვილს,
თუმცა ჯერ მათ კაცთა გვარი განაგებს“.

მგელს ეტყოდა მბრძანებელი ქარიშხლის:
„მომიცია გვამით სავსე ველები“.
მართლაც, დღემდე მგელი მგლობას არ იშლის
და ჩონჩხებში სისინებენ გველები.

გასცა მეფემ სამემკვიდრო. თუ არა,
დარჩა თავის ცივი ტახტის ამარა;
ქარიშხალმა თავზე გადაუარა
და მბრძანებლის სახე თოშით დაფარა.

ბუმბერაზების სათამაშო

ნიდესის ციხე ელზასში დასაბამიდან განთქმული
ბუმბერაზების სავანე, კლდეზე გვირგვინად
დადგმული,
დღეს დაქცეულა, დაშლილა, ბურჯი ქცეულა
პარტახად,--
თუ ბუმბერაზებს იკითხავთ, დღეს ბუმბერაზებს
სად ნახავთ!

ოდესღაც ერთი გოგონა, ბუმბერაზების ასული,
ძმობლების დაუკითხავად გალავანს გაღმა გასული,
ამბობენ, ხევში ჩაცოცდა, მოუნდა ქვეყნის
დავლათ,
რადგან უნდოდა გაეგო, აბა რა ხდება დაბლათ!

არც გაუჭირდა ტყის გავლა, არცა რა დააგვიანდა,
ჰასლახთან ნახა პირველად სავანე ადამიანთა.
ქალაქ-სოფლები, ხნულები გადაშლილიყო
ყველგანა,
თვალსა სტაცებდა უცხო და თავშესაქცევი
ქვეყანა.

უცხო ნიავი მოქროდა ჰასლახის უცხო მხარიდან,
ანაზღად ნახა გლეხკაცი, ხნავდა უღელი ხარითა.
„რა უცნაურად დაცოცავს ეს პაწაწინა
ქმნილება“,—
აოცებს გუთნის კრიალი და კაცის გულმოდგინება.

„რა სათამაშო ვიღოვე! მოდი, ჩემს სახლში
ავიტან“,—
თქვა, დაიხარა, მოიხსნა თეთრი მანდილი თავიდან,
ფრთხილად გახვია გლეხკაცი ხარიან-სახნისიანად,
შეკრა და სიმაგრისაკენ გასწია ხალისიანად.

რა სათამაშო იშოვა! რა სიხარულით ატარებს!
მიხტის, შორიდან იძახის, როგორც ჩვევიათ
პატარებს:
„მამი! ძვირფასო მამიკო! რა მაქვს, როგორა
გგონია?
ასე ლამაზი თოჯინა ჯერ არასოდეს მქონია!“

კოშკში შევარდა გოგონა, ჭარმაგ მამასთან მივიდა,
სუფრასთან იჯდა მოხუცი, ყელს ისველებდა
ღვინითა.

ჰკითხა: „რა ხტუნავს თავშალში, გადაჰყვე ლამის
თანაო!

ერთი გახსენი, მაჩვენე, რა ნახე ამისთანაო“?

დადგა გოგონამ ნაპოვნი, შემოაცალა მანდილი:
კაცი, ხარი და გუთანი—თავშესაქცევი ნამდვილი—
რა კობტად დგანან სუფრაზე! რა სიხარულით
ატარებს!

შეხტა და შემოტრიალდა, როგორც ჩვევიათ
პატარებს.

მოხუცმა შუბლი შეიკრა, სიმთვრალემ გადაუარა:
„რა საქმე ჩაგიდენია, იცი, სულელო, თუ არა?
ახლავე უკან წაიღე! — ასულს უბრძანა
მკაცრადა.—

გლეს სათამაშოს ეძახი, ეს რა მოგსვლია აზრად!

გასწი და სადაც იპოვე. იქავე დასვი კრძალვითა,
ქვეყნად რომ გლესი არ იყოს, პურს ვერ ნახავდი
თვალითა.

დასაბამია გლესკაცი ბუმბერაზების გვარისა,
ეს სათამაშო კი არა, ბურჯია მთის და ბარისა“!

ნიდესის ციხე ელზასში, განთქმული მთად და
ბარადა,
ბუმბერაზების სიმაგრე, თეთრი ნისლი რომ
ფარავდა,
მიწასთან გასწორებულა, ზღუდე ქცეულა
პარტახად;
თუ ბუმბერაზებს იკითხავთ, დღეს ბუმბერაზებს
სად ნახავთ!

ცხოველი მზე ნათელს მოჰფენს ყოველივეს

სუფრას უზის ნიკოლასი ადრე დილით,
მასთან — მისი ცოლი ნორჩი და კეთილი,
ღვინოს უსხამს და სთავაზობს ნაზი ხმითა,
სავსე სუფრას ეფინება ბადე სხივთა. —

ცხოველი მზე ნათელს მოჰფენს ყოველივეს.

ცხოველი მზე მოლივლივე სხივს არ კარგავს
და კედელზე სავსე ჭიქის სახეს ქარგავს,
თვალში ჩადგა, ჩაუმწარა შვება სრული
და დუდუნებს ნიკოლასი ფერწასული:

„ვერაფერსაც შენ ვერ მოჰფენ ნათელსაო!“

„რას ვერ მოჰფენს? ვინ ვერ მოჰფენს? — დელავს
ცოლი! —
ფერს რად კარგავ? რად მიყურებ ასე ძრწოლით?“
ნიკოლასი ქალს ამშვიდებს: „იყავ წყნარად!
არას ვიტყვი! რაც გითხარი, ისიც კმარა:
მზე ვერ მოჰფენს ნათელს ახლა ვერაფერსა“.

მაგრამ ქალმა გასაქანი აღარ მისცა,
ჩააცივდა, დააფიცა ცა და მიწა,
ხან ვედრებით, ხან რისხვით და წვალებითა
ჰკითხავდა და ცრემლსა ღვრიდა თვალებიდან:
„რას ვერ მოჰფენს ცხოველი მზე ნათელსაო?“

„არას გეტყვი!“ — „ღიან-მეთქი!“ — „არასოდეს!“ —
„მეტყვი-მეთქი!“ — „ვინც თქვას, ბედიც
დანავსოდეს!“

ქალმა ყელში გაუყარა ლამის დანა,
დაასუსტა და თავისი გაიტანა. —
ცხოველი მზე ნათელს მოჰფენს ყოველივეს.

„მაშ მისმინე: აგერ, გადის ოცი წელი,
რაც მაშფოთებს ცხოველი მზის სახე მწველი;
მოვდიოდი ფეხშიშველა უცხო მხრიდან,
მშიერ-მწყურვალს სილატაკე წელში მხრიდა. —
ცხოველი მზე წყრომას ნათელს არა ჰფენდა.

გზად ებრაელს შევეყარე, ჰქონდა ჩანთა,
გარეშემო კაციშვილი არა ჩანდა.
„ჩქარა ქისა, ვარ შიმშილით დაღდასმული,
თორემ დადგა, ძაღლო, შენი აღსასრული!“ —
ცხოველი მზე ველარ მოჰფენს ამას ნათელს.

ასე მითხრა: „არ გასწირო ბერიკაცი!
რვა პფენიგი — აი, მთელი ჩემი განძი!“
„ტყუი-მეთქი“, — ვკარი ხელი, წავაქციე
და მოხუცი კაცის სისხლი დავაქციე. —
ცხოველი მზე შუქს ვერ მოჰფენს ვერაფერსა.

ის ებრძოდა სიკვდილს ტანჯვა-წვალებითა
და სდიოდა სისხლის ცრემლი თვალებიდან:
ახლაც მახსოვს, ვით აღმართა ცაში ხელი
და ჩამძახა ყურში სიტყვა საშინელი:
„ცხოველი მზე ნათელს მოჰფენს ყოველივეს!“

ჩავაჩუმე, რადგან გული მქონდა ქვისა,
ყველა ჯიბე გადავქექე, ვნახე ქისა:
რვა პფენიგი იყო მთელი მისი ფული...
დავმარხე და დავიმშვიდე ამით გული —
ცხოველი მზე შუქს ვერ მოჰფენს ვერასოდეს.

გზა განვაგრძე, ვიარე და შინ ვარ ახლა,
ჩემს სახლში ვარ და ჩემი მზე არის მაღლა.


თუ არ გინდა გაგიცოდეს კერა თბილი,
არ გამცე და დააჭირე ენას კბილი,
ცხოველი მზე შუქს ვერ მოჰფენს საიდუმლოს.

კაშკაშებს და მესმის მე მზის განზრახული,
კარგად ვიცი, რაც აქვს მიზნად დასახული;
გინდ ეცადოს, მხნედ იყავი და გახსოვდეს —
თვალი მზეს არ გაუსწორო არასოდეს:
ცხოველი მზე შუქს ვერ მოჰფენს საიდუმლოს“!

ცხოველმა მზემ ამოიდგა მაინც ენა:
ქალის ენამ ქვეყნად როდის დაისვენა:
„ნათლიდედა! დამიმოწმეთ წმინდა ფიცით,
რომ დარჩება ჩვენ ორს შორის, რაც ჩვენ ვიცი“!
ცხოველი მზე ნათელს მოჰფენს ყოველივეს.

მოედანზე შავ ყორანთა გუნდებია,
ნადიმობენ და ყრანტალით ბრუნდებიან:
ვინ დასაჯეს? რად გაკვეთეს ოთხად კაცი?
ვინ გახსნაო დაფარული საქმის კვანძი? —
ცხოველი მზე ნათელსა ჰფენს ყოველივეს!





აღლის ვიღჭედმი

გრძნეული ტბა

შორს, მაღლა მთაში, ნაძვებში
შავი ტბა არის ერთი,
და იმ შავ ტბაში დაცურავს
ვარდი. თოვლივით თეთრი.

მოვიდა მწყემსი ბიჭუნა,
ცნობისმოყვარე, მარდი:
„რა ლამაზია! დილილმე!
უნდა მოვწყვიტო ვარდი“!

დადგა ნაპირთან, ვერ მისწვდა,
ჯოხი მოსტეხა ხმელი,

ანაზღად ტბიდან ვილაცამ
ამოჰყო თეთრი ხელი.


ვარდს წაეტანა, დასწია,
თქვა უცნაურის ხმითა:
— ჩემთან წამოდი, ბიჭუნავ,
თუ ყვავილები გინდა.

ფსკერზე იზრდება ის ვარდი,
შენი გული რომ ელტვის,
თუ გამომყვები, მალხაზო,
მინდა მოვწყვიტო შენთვის. —

შეშინდა ბავშვი, გაიქცა,
გულზე აწვება დარდი,
ალარ ასვენებს იმ დღიდან
ის თოვლისფერი ვარდი.

დადის და დაეხეტება
ობლად მთასა და ბარში,
კაცმა არ იცის, სად ათევს
ლამეს საბრალო ბავშვი.





თეოდორ კერნერი

ა მ ზ ი ა რ ა ო ს ი *

შვიდჭიშკრიანი ძველი თებე მძიმედ ამთქნარებს,
არგოსელები მოსდგომიან დიდებულ თებეს,
ძმებზე მახვილი აღუმართავს შვიდსავე მეფეს,
ფიცი შეუკრავთ, სამესისხლო ზრახვით ამდგარებს.
სპილენძის აბჯარს ალაპლაპებს შუქი თაკარა,
ზვაობენ, თითქოს განეზრახოთ ქვეყნის დაპყრობა,
ყველა ოცნებობს დაგვირგვინდეს ძლევით
ლაშქრობა,
მხოლოდ მენცარი ამფიარა ფიქრობს სხვაგვარად.

ის მარადიულ ვარსკვლავებზე კითხულობს
სწორედ,
ხვალ დილით ვისი მზე იქნება დაბინდებული,
მზის წინამძღოლის ვაჟი მძლავრი და დიდებული
მომავლის გზაზე ნათლად ხედავს დანისლულ
შორეთს.

იცის, შავი სვე რას უმზადებს აქ ყოველ მათგანს,
ხედავს, ავბედით სათამაშო ქვებს რომ ისვრიან,
ხედავს უწყალო მოირების კლანჭებს სისხლიანს!
მაგრამ გმირები ქარს ატანენ მენცარის ნათქვამს.

ნახა, სიკვდილი იცავს თავად უძლეველ თებეს,
ნახა, პარკებმა როგორ დართეს შავბნელი კვანძი—
და მაინც მიდის ამ დამლუპველ ბრძოლაში კაცი,
რადგან უმუხტლა თვითონ ცოლმა არგოსის მეფეს.
ამაყი სული ამფიარას ცისკენ უწევდა,
აგიზგიზებდა მის არსებას შუქი დიადი,
აპოლოიდმა თავს უწოდა თვითონ ზვიადი,
რადგანაც მკერდში ღვთაებრივი გული უცემდა.

„როგორ?—მე, მეფე, ვის გვერდითაც ღმერთები
მჯდარან,
რომლის გარშემოც დაფართატებს სიბრძნის ნიავეი—
მე უნდა გავხდე მსხვერპლი უბირ კაცთა სიავის,
ჰერიკლიმენის ხელით უნდა დავეცე განა?
საკუთარ ძალით ჯობს დავლუპო თავი ზვიადმა,
შთამომავლობას ესმას მგოსნის წმინდა პირიდან,

რა მამაცურად დაიღუპა გმირთა გმირი და
ჩარიგად შთანთქა მარადიულ ღამის წყვდიადმა“.

გაჩაღდა ბრძოლა სისხლიანი, ფიცხელი, მძაფრი,
და როს გაისმა ბრძოლის ველზე კვნესა, ვაება,
თქვა: „ახლოვდება, რაც მაუწყა ბედის ღვთაებამ--
სადაც იქნება გაიჭრება მოირას ძაფი!

ღმერთების სისხლი ბორგავს ჩემი გულის
ძარღვებში—

სიკვდილიც მერგოს საკადრისი ოლიმპის
ღმერთთა!“

ყოფნა-არყოფნის სასტიკ ზღვარზე რაშებთან
ერთად
ის გადაეშვა სასტიკ წყალთა მღვრიე ტალღებში.

მიფრინავს ეტლი და ფრუტუნე გააქვთ ტაიქებს,
ამ გზაზე თითქოს ცეცხლის ცხენმა გაიარაო,
ტორების ცემა სიმხნეს ჰმატებს ამფიარაოსს,
და გეგონება თვით გაქცეულ დრო-ყამს დაიჭერს.
თითქოს ცის შუქი გაიტაცა, გაქრა, გაფრინდა,
თითქოს სადგომად აირჩია ქარიშხლის კალთა;
შეკრთნენ, შეშფოთდნენ თვით ღმერთები მდინარე
წყალთა,
ხუჭუჭი თმები წამოსწიეს ზვირთთა ქაფიდან.

მაგრამ ანაზღად ცის განგებით საბოლოოთა
შუქი გამოკრთა, გაიკლაცნა ელვა საზარი,

გაჩნდა ნაპრაღი უნაპირო, უზარმაზარი,
და მაშინა თქვა მოზეიმე აპოლოიდმა:

„გმაღლობ, მეუფევე! აღარ მაკრობს ბედის
ტრიალი!

შენი მეხია უკვდავების ჩემის სათავე!
მოვდივარ, ზევსო,“—თქვა, შეეხო ისევ სადავეს
და შავ ქვესკნელში შეაქროლა ეტლი გრიალით.





„ფხიზლად, გრაფო! და გაფრთხილდი,
იქონიე მეფის რიდი!

შენს სიმაგრეს ამ ბნელ ღამეს ემუქრება საფრთხე
დიდი“.

„აჰა, ვხედავ,—ფიქრობს გრაფი, — შენს მოწყალე
მამის წადილს:

საცეკვაო სალამოზეც მიხმო სწორედ ამისათვის!“

ცხენს ითხოვს და მიჰქრის გრაფი

და ამაღლა, ქარზე სწრაფი.

შორით მოჩანს ციხე-კოშკი, და გადასდის მერნებს
ქაფი.

ავი საქმე განუზრახავს იმპერატორს ღალატთან:

ციხის თხრილზე კავებიტა და თოკებით გადადიან!

გრაფი მოდგა ღირსებითა,

მიესალმა ისრებითა,

დაჰკრა ხმალი და თხრილებში გადაყარა

ნისლებიდან.

დილით მოდის კაიზერი დიდებულთა თანხლებითა,

და ჰგონია გრაფის ხალხი შემოსილა თალხებითა.

მაგრამ ეს რა ჩაღებია?

ცეკვა გაუჩაღებიათ!

ხმიანობენ და ჰიქაზე ჰიქა დაუჯახებიათ!

„კაიზერო, ხომ არ გნებავთ ბუკი სხვა დროს
ამქუხაროთ?
ცეკვის ყადრი ხმალზე კარგად გეუწყებათ,
სამწუხაროდ!

კარგად ცეკვავს თქვენი ქალი,
დაქრის, როგორც ალისქარი,
და მერწმუნეთ, ღირსიც არის, რომ გავულო სახლის
კარი“!

გრაფის კოშკში ზეიშია, ჩანს ურიცხვი ჩირაღდანია,
მღერთან და ბანს აძლევენ თვითონ ძალნი
წიაღთანია.

გრაფიც ცეკვავს ხალისითა,
ძთვრალი ხმათა ქარიშხლითა,
ცეკვავს გრაფი კაიზერის სწორუბოვარ
ქალიშვილთან.

და ცეკვით რომ დააქროლებს შემოჯარულს ყველა
მხრიდან,
გრაფი ეკვრის მეფის ასულს და ჩასძახის წყნარი
ხმითა:

„ფხიზლად, ქალო! გამიფრთხილდი!
იქონიე გრაფის რიდი!
შენს სიმაგრეს ამ ბნელ ღამეს ემუქრება საფრთხე
დიდი“!

სამი სიმღერა

„ხომ არ მიმღერებს სალალობო ლექსებსო
სკალდი“?—
ასეთი კითხვით მიუბრუნდა მგოსანს ოსვალდი.
ესმის მომღერალს უძლეველი მეფის ძახილი,
მოდის და შვენის ხელში ქნარი, წელზე—მახვილი.

„სამი სიმღერა ვიცი, მეფევ, მძლავრი, ქებული:
ერთი — ძველია, შენგან უკვე დავიწყებული.
შენ შეთხზე ტყეში, გულში სისხლის დამაშრობელი,
სიმღერას ჰქვია: შენ მომიკალ მამა მშობელი.“

არის მეორე, ზარდამცემი: უცხო მხარეში
შემითხზავს იგი ქარიშხლიან და ბნელ ღამეში,
ვმღერი და ბორგავს შურისგება სიმღერის ხმაში,
სიმღერას ჰქვია: გამისწორდი, გამოდი ხმაღში!“

გასტყორცნა ქნარი და იშიშველა ბასრი მახვილი,
აენტო სახე და შეება მძაფრი ძახილით.
აქლერდა რკინა, გასჭრა ზუჩი, ფარი დაღეწა,
თავგაჩეხილი ოსვალდ მეფე დაბლა დაეცა.

„ახლა გაისმას სიამითა და გულის ცემით
უკანასკნელი ვაჟკაცური სიმღერა ჩემი,
მარად იქუხებს სიყვარულით მგოსანი ქველი,
სიმღერას ჰქვია: „მტვერში გდია ვერაგი მკვლელი“.

შ უ რ ი ს ვ ე ვ ა

მსახურმა ქველი რაინდი განგმირა ბასრის დაშნითა,
თვით რაინდობა ენება—სხვისი სიცოცხლე
დაშრიტა.

უსიერ ტყეში განგმირა მსახურმა ქველი რაინდი,
ბატონს სამარედ ურჩია ღრმა და მქუხარე რაინი.

ჩაიცვა მისი აბჯარი, მისი ჩაფხუტი დაიდგა,
მისსავე მერანს მოახტა—რაა, სახელი გაითქვას!

ხილზე რომ შეიჭირითა, ყალყზე დაუდგა მერანი,
მხედარს სადავე წაართვა და უკუჟკცა ვერანი.

ოქროს დეზები შეახო—შეხტა და შეინავარდა,
წოწყდა მსახური უნაგირს, წყალში ბურთივით
ჩავარდა.

ცურვას უშლიდა აბჯარი, ღმუოდა მღვრიე რაინი,
და ფსკერისაკენ წავიდა ხელდაუსხმელი რაინდი.

დიასახლისის ქალიშვილი

სამი მოყმე მიჰყვებოდა მამა რაინს აღმა,
ნაცნობ ქალთან შეუხვიეს: „ლამის ყელი გახმა!

ქალბატონო! თუ გაქვთ ლუდი, თუ გაქვთ ღვინო
ძველი?
და სად არის მშვენიერი ქალიშვილი თქვენი“?

„ჩემი ლუდი ახალია, ჩემი ღვინო ბრწყინავს,
ჩემს ასულს კი სასიკვდილო სარეცელში სძინავს“.

რომ შევიდნენ ოთახში და მიმოავლეს თვალი,
შავ კუბოში მშვიდად იწვა მშვენიერი ქალი.

ერთმა რიდე გადახადა, თითქოს სუნთქავს ჯერაც!
დაიხარა და მიაპყრო სევდიანი მზერა:

„აჰ! ლამაზო, რომ გეცოცხლა, ვით ცოცხლობდი
გუშინ!
მე ამ დღიდან შენს სიყვარულს ჩავიდებდი
გულში“!

მეორემ კი ასულს ისევ დააფარა რიდე,
ატირდა და გამობრუნდა: „უნდა ცრემლსა
ვღვრიდე!“

აჰ, რა მძიმედ დაგიმარხავს ჩემი გრძნობა მწველი!
სიყვარული მქონდა შენი, ო, რამდენი წელი“!

აქ მესამემ ძაძა ისევ გადახადა უცებ,
გულმოკლული დააქქერდა მის გაცრეცილ ტუჩებს;

დაეკონა, აკოცა და ჩასჩურჩულა წყნარად:
„მე მიყვარდი, მიყვარხარ და მეყვარები მარად“.

ბიდასოას ხილი*

ბიდასოას ხილზე თურმე წმინდანი დგას,
ქარი არხევს მის ჭალარა თმებს,
მარცხნივ ლოცავს საფრანგეთის წმინდა მიწას,
მარჯვნივ ლოცავს ესპანეთის მთებს;
ეს ადგილი საჭიროებს სწორედ ძალზე
ზეცის ნუგეშს, მფარველსა და მცველს,
რადგან ბევრი უიმედოდ დაკარგული
სამშობლოდან მოშორებით წევს.

ბიდასოას ხილზე ჩანსო რალაც სახე,
და მის თამაშს კაცი ვერა ხსნის;
სადაც ერთი მის ჯადოსნურ ჩრდილსა ხედავს,
სხვა იქ ხედავს თურმე ოქროს სხივს.

და იქ, სადაც ერთს ვარდები უღიმიან,
სხვა უყურებს მშრალი ქვიშის ზვინს,
ზოგს თვალსა სჭრის დაბინდული სიმარტოვე,
ზოგს — ნათელი მშობლიური მზის.

დაბლა მშვიდად მიდუღუნებს ბიდასოა,
და მიჰყვება ცხვარი ზარის ხმას,
მაგრამ მთაში სროლა ისმის დღიდან დღემდე,
მეომარი ისევ ფერავს ხმალს.
გაცრეცილი დროშით ხელში მდინარისკენ
მიდის რაზმი ყოველ მწუხრის ჟამს,
აღარ არის მტკიცე მათი ნაბიჯები,
სისხლი ნამავს მათ საგმირო გზას,

ბიდასოას ხიდზე თოფებს აყუდებენ,
თავის რიგებს შეავლებენ თვალს,
და სისხლიან ჭრილობებს რომ შეიხვევენ,
დაიწყებენ დარჩენილთა თვლას.
არ იზრდება მუჭა გმირთა მცირე რაზმი,
დარჩენილი დაღუპულებს წუხს,
დაიქუხებს ისევ ბუკი საომარი
და მოხუცი მეომარიც ქუხს:

„მაშ გაშალეთ ბაირადი, რაც ყოველთვის
იყო დროშა თავისუფლების!
მისი რაზმი აქ პირველად კი არ მიდის,
ნათელ მიზანს აისრულებს ის;

პირველად კი არ დაეძებს ამ საზღვარზე
თავისუფალ ადგილსა და მზეს,
დიდებისკენ იგი მარტო კი არ მიდის —
კეთილ ვარსკვლავს ვანდობთ იმის სვეს.

შენ, ვინც უწინ ჩვენზე მძიმედ იჭრებოდი,
ვერ გიწყვეტდით, გმირო, სისხლის ღვარს,
დღეს, ყველანი რომ ვიცლებით სისხლისაგან,
ჩვენო მინა, უვნებელი ხარ!

მთელია და უვნებელი ჩვენი მხსნელი,

კვლავ დაიცავს ესპანეთის ბედს;

ჩვენ კვლავ მოვალთ! ვიდრე მკერდში გული

გვიცემს,

არასოდეს არ მოვიხრით ქედს“!

ქვაზე მჯდარი მინა ზეზე აიჭრება,

მღუმარე და დაღვრემილი დგას,

ერთხელ კიდევ თვალს შეავლებს მაღალ ქედებს,

ჩამავალი მზე დასცქერის ქვას.

დაუმძიმდა ხელი მკერდზე მიდებული,

მეტად სისხლის შეკავება ჭირს:

შადრევანი მოსკდა ძველი ჭრილობიდან

და ეცემა მოკვეთილი ძირს.

ჩაძირული გვირგვინი

აი, იმ მაღალ ბეჭობზე
გლახკაცის ქოხი დგას,
ტყე და ტრიალი მინდორი
მას ევლებიან გარს.

ზის გლახი აივანზედა,
გადაყრდნობია ძელს,
მადლობას სწირავს უფალსა
და მშვიდად ლესავს ცელს.

ტრიალ მინდორში ტბაა და
ფსკერზე გვირგვინი ძევს;
წყალში ციმციმებს მარად ჟამს
და ეჭიშპება მზეს.

ძევს უხსოვარი დროიდან,
მთვარე დასცქერის განძს,
და არაფერი იმასთან
არ ესაქმება კაცს.





იოსებ ფრაჭერ ფონ აიხენდორფი

ლორელი

„უკვე ბნელა, უკვე ცივა, ნისლი სუდრავს
თვალთა ხედვას,
რას დახვალ და გულს რა სევდა გიტრიალებს
ტურფა მხედარს?
ტყე დიდია, შენ მარტო ხარ, დუმილია ზარდამცემი,
მშვენიერო პატარძალო! დაამშვენე სახლი ჩემი“!

..დიდი არის მამაკაცთა მზაკვრობა და ცბიერება,
სეუდამ დასცა და გატეხა ჩემი გულის ძლიერება.

ფუჭად მიხმობს შენი ბუკი, არა მჯერა შენი ფიცი!
ო, ვაჟკაცო, გამეცალე! მე ვინა ვარ, შენ არ იცი“!

„მხიბლავს შენი ნორჩი ტანი, თითქოს ზეცით
ჩამოსული,
დარახტული მერანი და სილამაზე ჯადოსნური;
გიცან—ღმერთო, შემეწიე, დღე მომელის სწორედ
ავა!
მშვენიერო, შენ ხარ სწორედ ჯადოქარი
ლორელაი“.

„მართალს ამბობ, ქარაფზეა აზიდული კოშკი ჩემი,
და ეხლება ღრმა რაინი ციხის ფუძეს ზვირთთა
ცემით.
უკვე ბნელა, უკვე ცივა, ქარმა თავი აიწყვიტა,
ვერასოდეს ველარ გახვალ მეტად შენ ამ შავი
ტყიდან“!

დაღუპული

ბნელ ღამეში თეთრი აფრა მზისფერია,
ზის ბრაგებზე, თმებს ივარცხნის ზღვის ფერია.
მღერის ქალი, ბრაგა თეთრად იქარგება,
და სიმღერის ხმა ზვირთებში იკარგება.

ალარა ჩანს ბრაგა ზღვაზე ადრე დილით,
არც გემი და არც ფერია დაბნედილი:
დაფლეთილა დაღუპული იალქანი
და ზვირთებში დანავარდობს ნიავექარი.

ღამსხვრეული გეჟედი

ამ წისქვილში ფრთების ცემით
ბედის ჩარხი ტრიალებდა...
რა ვიცოდი, სატრფო ჩემი
ასე გამატიალებდა!

მომცა ფიცი და ბეჭედი,
მაგრამ მოკვდა — გაწყრა ღმერთი,
გატყდა მისი ნიშანიცა,
გამიშავდა ბედშავს ბედი.

მსურს ავიღო ხელში ჩანგი
და გავიდე სოფლის გზაზე,

დავამღერო მწუხრის ჰანგი.
და ვიარო ქვეყნად ასე.

მსურს შევირტყა ხმალი წელზე, —
ვიდრე მტერი არ გამგმირავს,
ბნელ ღამეში ბრძოლის ველზე
ვიძინებდე ცეცხლის პირას.

ეს სოფელი მიდის, მოდის,
დავალ ასე გზაშეკრული,
სიხარულით მოვკვდებოდი —
დაცხრებოდა მაშინ გული!

ა ლ ს ა ს რ უ ლ ზ

მზეს უმღერის ნაზი ქნარი,
ფერხულს უვლის, ვითა ქარი
ვიღაც თეთრი უცხო კაცი:
აციმციმდა რაღაც ძვალი,
გაიტაცა პატარძალი,
გაუწყვიტა ცეკვით ქანცი.

სურს ჩაიკრას აგზნებითა,
მყიფე, ცივი სახსრებითა,
და ეცემა ქალწულს ელდა:
„ო, შენ სწავლი გიჩხრიალებს“.
„მალე შენიც იჭრიალებს:
სცანი ძალა ჩონჩხის ხელთა!“

და იშლება, ვითა ხრეში,
მოჭეიფეც თასით ხელში .
თუ მგოსანი ხელში ქნართ
უნდა გაჰყვეს, მაღლით სავსე:
დაფნის გვირგვინს მოხდის თავზე
და გაფანტავს უნდო ქარი.

ბნელ დარბაზში ჟღერს ებანი,
ღუმან კაცთა ღირსებანი,
ყრუ ღამე და პატარძალი;
ო, რა მძაფრი ტკივილია!
უკვე მამლის ყივილია,
და იფშვნება მყიფე ძვალი.

ასე ღყო და შენება,
საჭიროა დაფიქრება;
დარდი რომ არ გაგვიხშირო, Ⴖ
როცა გესმის ქნარის ხმები
და ცეკვავენ ქარიშხლები,
თავს უფრთხილდი, ქალიშვილო!





მისაედ ბერი

იმპერატორ კარლოსის მიმოსვლა

შუალამისას ახენში
თავის სამეფო სამოსით
ტაძრის აკლდამას ტოვებსო
იმპერატორი კარლოსი.

როტბარტის სანთელს აიღებს,
დადის, გაუწყდა ჭანციო, —

მეფის საჭურჭლეს დაეძებს,
ესაკლისება განძიო.

შვიდსავე მეფეს იკითხავს,
ვერვინ ასწავლა აზრითაც,
თავს აქნევს იმპერატორი,
უსიტყვოდ გადის ტაძრიდან.

მიდის, მიჰყვება რაინსა,
აგერ კელნამდე ჩავიდა,
პრუსთა გუშაგი გასწორდა —
მეფე გაუშვა კრძალვითა.

თავისი ტახტიც იკითხა,
სადაც იყო და იპრა;
მოსახლე აქნევს ქვის თავსა
და ვერა გაუგია რა.

მაინცი, ვორმსი, ბამბერგი —
შეხვდა ქვეყანა მას უხვი;
ტახტი, სამეფო იკითხა —
ვერავინ გასცა პასუხი.

თითქოს დაყრუვდა ქვეყანა,
და თითქოს თვალში აკლდა მას...
აგერ, ცისკრისა დარეკეს, —
ხედავს ახენის აკლდამას.

„ჩემს გერმანიას ვეძებდი,
ვბედავ, ნისლებმა დაფარეს“, —
იტყვის, მოსასხამს მოიხსნის
და უბრუნდება სამარეს.





ერნსტ მორიც არნდტი

ზვილმანის ვაჟი *

როცა ვიყავი პატარა ბავშვი,
ჯერაც აკვანში ვიწექი მაშინ.
შემდეგ, როდესაც წამოვიზარდე,
ქნარი ავიღე, გავედი გზაში.

შემომეყარა მეფის ასული,
მოდის, მეფური ღიმილი შეენის:
„ჩემთან შემოდი, მგოსნის ბიჭუნავ,
ღსურს მოვისმინო სიმღერა შენი!“

იღება კარი, შემოდის მეფე —
რა ვქნა, სიმღერა ველარა ვმალე!
„ქურდო, მზაკვარო, მგოსნის ბიჭუნავ,
სახრჩობელაზე გიხილავ მალე“!

ძელზე შემიდგეს მაღალი კიბე,
როცა გათენდა მესამე დილა:
„ახლა მომეციოთ საკრავი ჩემი,
უკანასკნელად ვიმღერო ტკბილად“.

გავკარი მარჯვნივ, გავკარი მარცხნივ,
და წყაროსავით ჰანგები ჩქეფენ;
ესმა სიკვდილის სიმღერა მძიმე
და იწყო ნელი ქვითინი მეფემ:

„ჩამოდი დაბლა, მგოსნის ბიჭუნავ,
ყოფილხარ ჩემი ასულის ღირსი.
ავსტრიის მხარეს ციხე მაქვს ერთი,
დღესვე ბატონი გახდები მისი“!






ავგუსტ ფონ პლატენი

სამბარე ბუზენტოზი * - ა

თურმე ღამით ბუზენტოზე ყრუ სიმღერა ისმის
ნელი,
მოსჩქეფს წყალთა წიალიდან და ბანს აძლევს
სივრცე ბნელი.

მხნე გოტები მიჰყევიან ნაკადს კლდოვან
ნაპირიანს,
და აღარისხ, ხალხის რჩეულ მიცვალებულს,
დასტირიან.

ჯერ ნაპირზე დადგა თურმე მწკრივად რაზმი
გოტებისა,
რომ მდინარე გადაეგდოთ, ნაცვლად ურვა-
გოდებისა.



ჰაინრიხ ჰაინე

ორი ბრენაღერი *

საფრანგეთისკენ გაუწევიათ,
გადარჩენილან რუსთა ტყვეობას,
გერმანიაში ჩაულწევიათ —
საით გამქრალა მათი მხნეობა!

დაღონდნენ, დარდით აღარ არიან,
მრუდე ყოფილა ბედის სასწორი:
დაუმსხვრევიათ დიდი არმია,
ტყვედ ჩავარდნილა იმპერატორი!

სწორი გამოდგა არაკად თქმული! —
მოსკდა ორთავეს ცრემლები მწველი,
ერთმა შესძახა: „მელევა გული,
ო, როგორ მეწვის ჭრილობა ძველი“!

მეორემ: „მორჩა სიმღერა ჩემი!
და მე ამქვეყნად რა მინდა მეტი?
მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი ვრჩები,
რადგან მაწუხებს ცოლ-შვილის ბედი“.

„რომელი შვილი, რომელი ცოლი,
დე, იმათხოვრონ! რა დროს შვილია!
იმპერატორი, ღმერთების სწორი
იმპერატორი შეპყრობილია!

მისმინე, ძმაო, თხოვნა მაქვს ერთი:
თუ დღეს შევინგრევე ამ გულისფიცარს,
შინ წამასვენე, იწამე ღმერთი,
და მიმაბარე სამშობლო მიწას.

წითელი ლენტით შემიმკე მკერდი,
ზედაც ორდენი დადე ზვიადად,
წელზე ფრანგული შემარტყი ერთი,
ხელში მომეცი ჩემი სიათა.

ასე მეფაროს სუღარა მწუხრის,
გუშაგის თოფი მეჭიროს ხელთა,

ვიდრე მოვისმენ ქვემეხთა ქუხილს,
სამარეს შესძრავს ჳიხვინი ცხენთა.

მაშინ დაიძვრის სამარის კალთა
ზათქით, ჳანზარით, მახვილთა ცემით,
და მეც ამოვალ მიწიდან, რათა
იმპერატორი დავიცვა ჩემი“.

კევლარს წასვლა სალოცავად

1

ლოგინში წევს ვაჟიშვილი,
ფანჯარასთან ნაღვლობს დედა.
„შვილო ვილჰელმ, არ ადგები?
პროცესია ახლოვდება“.

„ოჰ, მე ისე ავადა ვარ,
არც მესმის და არცა ვხედავ;
გრეტხენი რომ მაგონდება,
მეკუმშება გული, დედავ“.

„ადე, შვილო, კევლარს წავალთ,
აგერ წიგნი და ვარდები,

დედა ღვთისა გულს მოგირჩენს,
თუ მის ფერხთით დავარდები“.

დროშებს არხევს, გალობს ხალხი,
დგას კეველარის ეკლესია;
კელნის გზაზე დინჯად მიდის
რაინელთა პროცესია.

მიჰყვებიან დედა-შვილი...
თან ერევათ მძაფრი სევდა,
თან გალობენ ხმაშეწყობით:
„ღვთისმშობელო, მადლი შენდა“!

2

ფარჩის კაბით იმოსება
კეველარ-წმიდის ღვთისმშობელი,
დღეს მას საქმე ყელამდე აქვს,
მოდის ბევრი მიმლოცველი.

რომ განკურნოს ღვთისმშობელმა
მათი სნება საშინელი,
ზოგმა სანთლის ფეხი უძღვნა,
ზოგმა კიდევ — სანთლის ხელი.

ვინც მას სანთლის ფეხს უბოძებს,
ფეხს მოუჩინებს ღვთისმშობელი;

ვინც მას სანთლის ხელს უბოძებს,
მოურჩება თითქოს ხელი.

თოჯზე ცეკვავს, ვინც კევლარში
ჩამოვიდა ყავარჯნებით;
ვისაც ხელის დამბლა ჰქონდა,
საკრავს უკრავს გატაცებით.

ხელთ აიღო დედამ ცვილი,
გამოძერწა მისგან გული;
„ეს მიართვი დედა ღვთისას,
რომ განკურნოს შენი წყლული“.

გამოართვა ოხვრით გული,
ხატთან დადგა გაბადრული,
ლოცვა მოწყდა ბავშვის ბაგეს,
თვალეზს — ცრემლის ნაკადული:

„ო, ქალწულო მოწყალეო,
დედოფალო ცათა შინა,
შენ გაგანდობ ჩემს სატკივარს,
ზაფრას, მე რომ დამაშინა.

მე და დედა კელნში ვცხოვრობთ,
ამ ქალაქში, სადაც არი
უთვალავი ეკლესია,
სამლოცველო და ტაძარი.

გვერდით გრეტხენს ჰქონდა ბინა.
მოკვდა, დავრჩი მარტოსული;
გულის წყლული განმიკურნე —
სანთლის გულით ვარ მოსული.

გული მტკივა, მისაშველე,
იქნებ ზაფრა დამიამო —
ვილოცებ და გიგალობებ:
„მადლი შენდა, მარიამო“!

3

სნეულ ჭაბუკს ჩაეძინა,
იქვე დედაც თვლემდა მშვიდად,
და სენაკში დედა ღვთისა
ფეხაკრებით შემოვიდა.

ავადმყოფის სასთუმალთან
მან დახარა თავი წყნარად.
გულზე ხელი დაასვენა,
შესცინა და გაიპარა.

დედა ძილში ხედავს ამას,
იღვიძებს და მეტსაც ხედავს...
ძაღლის ყეფა შავ ღლის მოსვლას
აუწყებდა ბედშავ დედას.

იწვა მკვდარი, ცისკრის შუქი
დასცქეროდა უხმოდ ციდან.
გარიჟრაჟის სხივთა სვეტი
ფერმკრთალ სახეს უკოცნიდა.

დადგა გულხელდაკრეფილი —
ვინ გაზომოს დედის სევდა!
გალობს კდემით, გალობს ნელა:
„ღვთისმშობელო, მადლი შენდა“!

ფრაუ მებე

(დანიურიდან)

პეტერსა და ბენდერს სუფრა გაუშლიათ,
და ბენდერი ნაძლევს უდებს ბატონ პეტერს:
„შენ სიმღერით მთელ ქვეყანას ხიბლავ, მაგრამ
ვერასოდეს ვერ მოხიბლავ ფრაუ მეტეს“.

პეტერმა თქვა: „მე ცხენსა ვთმობ სანაძლეოდ,
შენ კი შენი მეძებრები გაიმეტე.
შუალამე რომ დადგება, მე სიმღერით
ჩემს ეზოში შევიტყუებ ფრაუ მეტეს“.

მართლაც გახდა შუალამე და პეტერი
მღერის ლალად, შარაგზაზე გამოსული;

მწიფე ყანებს, უღრან ტყეს და გაშლილ ველებს
ეფინება ჰანგი ტკბილი, ჯადოსნური.

უკვირთ, უკვირთ ყურდაცქვეტილ ნაძვის ხეებს
და ტალღები მორიდებით წყნარდებიან;
ცერზე დგება მოცახცახე მცხრალი მთვარე
და ჰკვიანი ვარსკვლავები ქვავდებიან.

ელვიძება ფრაუ მეტეს და კითხულობს:
„ჩემს სარკმელთან ვინა მღერის ასე ტკბილად“?
იცვამს ტანზე, იცვამს ფეხზე, გადის გარეთ.
რა იცის, რომ დაუდგება შავი დილა!

მიდის, მიდის უცხო ძალით ატანილი
გაიარა ტყე, მდინარე, ველი, ყანა, —
ჰერ პეტერმა უსაშველო, მძლე სიმღერით
დაიმონა, თავის სახლში შეიყვანა.

დილით მოდის და კარებში ხედავს ბენდერს.
უცნაურად მოღუშულა მისი ქმარი.
„ფრაუ მეტე, სად ყოფილხარ მთელი ღამე?
შენ სამოსელს დასცემია ცივი ცვარი“.

„მთელი ღამე ვიყავ ალთა მდინარეზე,
მომაბეზრეს თავი ჰკუის სწავლებითა;
ზვირთებში რომ ჰყუმპლაობდნენ ფერიები,
დამცინეს და დამასველეს ჰავლებითა“.



„ნაზი ქვიშა არის ალთა მდინარეზე,
და იქ არსად შემინიშნავს ქაცვებიცა:
შენ კი აგერ დაჭრილი გაქვს ფეხები და
დასერილან შენი თეთრი ლაწვებიცა“.

„მთელი ღამე გავატარე ელფთა ტყეში —
ელფთა ცეკვა იყო ღირსი შექებისა,
მაგრამ ნაძვის ტოტებით და ნარ-ეკლებით
დავისერე სახეცა და ფეხებიცა“.

„ელფთა ცეკვა გაზაფხულზე გამიგია,
ყვავილებს რომ უმზერს სახე სავსე მთვარის,
დღეს კი ცივმა შემოდგომამ ფრთა გაშალა
და ღმუილით დანავარდობს ტყეში ქარი“.

„მე სტუმარი ვიყავ პეტერ ნილსენისა,
გავიარე ტყე, მდინარე, ველი, ყანა:
მღეროდა და უსაშველო გრძნების ძალით
მოხიბლული თავის სახლში შემიყვანა.

სიკვდილივით ძლიერია მისი ჰანგი,
და ვარ მისგან დაღუპული, დაღდასმული.
გულს ედება ცეცხლად მისი მწველი ყდერა,
და ვიცი, რომ დადგა ჩემი აღსასრული“.

ტაძრის კარი შაგებშია, გუნდი გალობს,
და რა ისმის? სწორედ გლოვის ზარებია!

მლოცველები დასტირიან ფრაუ მეტეს —
საბრალოსთვის ძაძა დაუფარებიათ.

ბატონ ბენდერს გვამთან გული ეკუმშება,
ლამის დარდით დაეშალოს ძარღვებიცა.
ოხვრით ამბობს: „დამეკარგა ტურფა ცოლი,
მასთან ხროვა საყვარელი ძაღლებისა“!



ორი ტემა

დგას სიმაგრე მაღლა მთაზე,
ფარავს ლამის ნისლის რიდე,
მაგრამ აღწევს ხმალთა ხმა და
ელვარება კიდით კიდე.

არის ძმების ორთაბრძოლა,
კვესავს ხმალი სისხლისმღვრელი.
მითხარ, ძმები რამ წაჰკიდა,
რისთვის იკრეს ხმალზე ხელი?

გრაფის ქალის თვალთა ელვას
აუნთია ძმათა გული,
და ბედსა სცდის ორი მოყმე.
სიყვარულით გათანგული.

ქალი რომელს ამჯობინებს?
გადასწყვეტდა დავას თვითონ...
მაგრამ ბჭობა ზედმეტია,
დაე, ხმლებმა გადასწყვიტონ!

და იბრძვიან მამაცურად,
არ იშლიან ხმალთა ტრიალს.
ფრთხილად, ძმებო! გიჟი ხმლები
ხიფათს რასმე გადაგყრიან!

ვაი, ძმებო! სისხლიანი
ხევი იძრა ძახილითა!
ძირს დაეცა ორი მოყმე,
განგმირული მახვილითა.

გადის ბევრი საუკუნე,
ბევრი მოდგმა გადაშენდა,
დგას პირქუში ციხე მთაზე,
არვინ იცის, რად აშენდა.

მაგრამ ხევში თურმე ღამით
მოსწყინდებათ ერთად წოლა,
თორმეტს დაჰკრავს, და იწყება
ღვიძლი ძმების ორთაბრძოლა.



პფალცგრაფის ქალი ჯუტა

რაინის ტალღებს მიაჩვენებდა პფალცგრაფის
ქალი,—
მთვარის სხივებზე ნავს არხევდა რაინის წყალი.
მხევალი გოგო მსუბუქ ნიჩბებს წყნარად არხევდა,
ჯუტა ამბობდა: „შენ იმ შვიდ გვამს განა არ ხედავ?
აი, ჩვენს ქვემოთ, ტალღიდან ტალღას
ამოჰყვებიან დაბლიდან მაღლა...
რა ნაღვლიანად მიცურავენ მიცვალებულნი!

პფალცის საგრაფო ამაყოფდა ამ რაინდებით,
როცა ჩემს მკერდზე ეშვებოდნენ თავდავიწყებით;
თავს შეგწირავთო, ფიცს მაძლევდნენ, მაგრამ ვინ
იცის! —
და რომ ერთგულსი ყოფილიყვნენ მარად იმ ფიცის,
მე შევიპყარი მყისვე ყველანი,
რაინს მივანდე მათი ვნებანი —
რა ნაღვლიანად მიცურავენ მიცვალებულნი“!

ჩქარობს მხევალი, და იცინის პფალცგრაფის ქალი,
ისმენს ამ სიცილს მოლივლივე რაინის წყალი.
ლამეა წყნარი. გვამებს ფარავს წელამდე ტალღა,
წინ გამოცურეს, აღუპყრიათ თითები მალღა,
თითქოს ფიცს დებენ—თავების ქნევით,
თავისი ცივი, ჭიქური მზერით —
რა ნაღვლიანად მიცურავენ მიცვალებულნი!

მეფე ჰარალდ ჰარვაგარი

ზის დაბლა, ზღვაში, მეფე ჰარალდი,
უმზერს სამეფოს მარად ბინდიანს,
წყნარად უმღერის ტურთა ფერია,
წლები მოდიან, წლები მიდიან...

გრძნებით შეკრული ვერცა კვდება და
ველარცა რჩება, ეს არის ცუდი!
უკვე ორასი წელიწადია,
გრძელდება მისი დაღუპვის წუთი.

კალთაში უღევს ხელმწიფეს თავი,
ოღონდ არ იცის, ვისია კალთა,
ხშირად ახედავს ბანოვანს, მაგრამ
სუსტია შუქი დაბინდულ თვალთა.

თმა ვერცხლისფერად შესთეთრებია,
გაჰყვითლებია ყბა მოგრეხილი,

გაფითრებულა აჩრდილის მსგავსად
ტანში დაშლილი და მოტეხილი.


ზოგჯერ სიზმარში შეაყრიალებს,
ქალწულის სახე ჩაჰყვება ნაღვლად:
მაშინ ზვირთები მორთავენ ტორტმანს
და ბროლის ციხე ციმციმებს მალლა.

ხანდახან თითქოს ქარიშხლის ხმაში
ნორნანთა ხმები ესმოდეს ისევ;
მაშინ მარჯვენას აღმართავს მალლა,
მაგრამ წუხილით ეშვება მყისვე.

ზოგჯერაც თითქოს ბურანში ლანდავს
აფრაგაშლილი გემების წყებას,
და ზღვაოსნები მღერიან მალლა
მეფე ჰარალდის ქებათა ქებას.

ქვითინებს მეფე, ტირის და გმინავს,
ღმუის და გოდებს ასე მძინარი,
სწრაფად იხრება დაბლა ფერია,
ტუჩებში ჰკოცნის სახემცინარი.





ავგუსტ კოპიში

თაგვეზის კოზაკი

თაგვეზის კოშკში, როცა ირგვლივ არ ისმის ჩქამი,
ეპისკოპოსის ჰატოს სული იღვიძებს ღამით,
და ქონგურებზე ჯოჯოხეთში მიმავალ ჯალათს
უკან მისდევენ ცეცხლისკბილა თაგვეზი ჯარად.

მშივრებს დასცინე და შეუნთე, ჰატო, ხანძარი,
წრიპინა თაგვეზს ადარებდი—გეცა თავზარი:
ყველა მარცვალი თაგვად იქცა, და მერე რატომ?—
რადგან სარდაფში დასწვა ხალხი პირშავმა ჰატომ!

კუნძულის ციხეს აფარებდი რაინზე თავსა,
თაგვეზის ურდოც დაგედევნა ქარიშხლის მსგავსად.
კოშკში შეხვედი, გადარაზე სპილენძის კარი;
გახვრიტეს რკინა, დაგესია თაგვეზის გვარი.

შესანსლეს სუფრა, სანოვაგე, სამოსი შენი,
დახრეს მაგიდა, ვერ მოიკლეს შიმშილის სენი,
შეგსანსლეს თვითონ, უკეთური, ავის მზრახველი.
ამოღრღნეს ყველგან საძულველი შენი სახელი.

შორს იჭერს საჭეს ნაოსანი, — ცუდად დაცდილი
ციხის ქონგურებს რომ მიჰყვება ჰატოს აჩრდილი:
და ბნელ ღამეში ჯოჯოხეთში მიმავალ ჯალათს
უკან მისდევენ ცეცხლისკბილა თაგვები ჯარად.





ნიკოლოზ ღენაუ

მინისტრის სამარეში

მიგაქროლებდა ფორტუნა,
გართობდა ხალხის ვაება!
იტყოდნენ: რარიგ მორთულა
ეს მიწიერი ღვთაება!

ხალხი გარბოდა, გწყევლიდა
უპატრონო და ტიალი,
დამფრთხალი ოქროს ეტლითა
და შენი შოლტის ტრიალით.

შენი ლატაკი მამული
შხამავდა შენსა სმენასა.

ხელებს გიშვერდა ტანჯული,
გევედრებოდა შველასა.

ხალხი ობლობას ჩიოდა,
კვნესოდა შენი ქვეყანა, —
და შენი შოლტი წიოდა,
რომ ჯავრი ცხენზე გეყარა.

„შესდექ“! — შესძახა ვილაცამ
დაბურულ ტყეში მკვახედა,
ხელი ნაჯახზე იტაცა —
სიკვდილმა ცხენებს გახედა.

გასჭრა სადავე ადრიან,
ალაგმა შენი თარეში,
გულგახეთქილი გათრია
უგზო, უკაცურ მხარეში.

ლეში დამარხეს წყევლითა:
დადგა უნისლო მაისი;
ხალხს აღარა სდის ცრემლი და
ყველგან სიცილი გაისმის.





იუდიუს მოზენი

წყლის მეფე

ჩრდილოეთის ზღვაზე ხდება
სასწაული ათასგვარი;
ზის ნაპირზე წყალთა მეფე,
ხელთ უჭირავს მუდამ ქნარი.

თევზები და ყვავილები
ცეკვით ნაპირს აწყდებიან,
და ზვირთები ისე ხტიან,
თითქოს თეთრი ბატკნებია.

ტურფა ქალი მიდის გზაზე,
ეუბნება დაფიქრებით:
„ო, წყლის კაცო, ბედნიერი
არასოდეს არ იქნები!

საცოდავო, ბედნიერი
არ იქნები არასოდეს“!
შეერთა მეფე, შეცახცახდა,
თითქოს ბედი დანავსოდეს.

თეთრი ხელი დაჰკრა ზვირთებს,
აქვითინდა, იქცა ქაფად —
ატირდა და გადაეშვა
აქოთებულ ზღვაში სწრაფად.





ედუარდ მიორიკე

ცეცხლის მხედარი

•
ხედავთ ფანჯრიდან, ირხევა თითქოს
აღმა და დაღმა წითელი ქუდი?
კეთილი სული არ უნდა იყოს,
სავალი გზებიც ექნება მრუდი.
რისი უუქია, ცისა თუ მიწის?
შეხედეთ! ხილთან ირევა ჯარი,
ჩუ! ცეცხლოვანი მოგვიხმობს ზარი
გაღმა,
მთის გაღმა
წისქვილი იწვის!

შეხედეთ! მიჰქრის ცეცხლის მხედარი,
გაცოფებული გასცილდა ჭიშკარს,
ნუთუ ჯაგლაგზე მჯდარი ცხედარი
შეეგებება სხივნათელ ცისკარს!
ველი გადასჭრა! სახესაც იცვლის,
ასდევნებია ცეცხლი და კვამლი,
ბუკის ხმა ისმის, არა ჩანს კვალი:
გაღმა,
მთის გაღმა
წისქვილი იწვის!



ვინც წითელი მამლის სუნნი
ხშირად იგრძნო ცხრა მთის გაღმა,
დაიმოყვრა ავი სული,
ნავარდობდა აღმა-დაღმა,
გამტეხელი წმინდა ფიცის —
სულს ავედრებს ახლა ზეცას,
დგას და ხედავს ქაჯთა ღმეჭას!
მთის გადაღმა,
მთის გადაღმა,
ის წისქვილში დგას და იწვის!

დასწვა წისქვილი, გაქრა ცხედარი,
ჩაქრა ხანძარი გულთა მზარავი,
მაგრამ თავხედი ცეცხლის მხედარი
აღარ უხილავს მეტად არავის.

დაბრუნდა ყველა, ველი გადახმა,
დაბინდულ გულებს სერავდა ბზარი,
და ისევ ისე ზრინავდა ზარი:
იწვის!
რა იწვის
მთების გადაღმა?

* * *

მეწისქვილემ ნახა გვიან
საკუჭნაო ძვლებით სავსე:
ცხენი—ერთი ჯაგლაგია,
მხედარს ქუდი ეწვის თავზე,
და კედელი გარს ევლება.
ჩონჩხი წელში გაიმართა,
ნაცრად იქცა, გაიფანტა;
დაისვენე,
დაისვენე,
მტვერს არ უნდა გასვენება!

საბედისწერო კურთხევა

მსურს ამბავი გითხრათ მეფე მილესინტის,
ბავშვს არ ინდობს, შურიტა და ღვარძლით საესე!
ამ მუხთალში ვერ იპოვით მცირე სინდისს:
ძმისშვილსა კლავს, თავად იღვამს გვირგვინს
თავზე.

სასახლეში დიდებულებს უხმობს წამსვე,
ტახტზე ჯდება საზეიმო ბუკის ხმაზე. —
ირლანდია! ნუთუ გეკრა რიდე ბინდის?

ღამეს ებრძვის სანთლის შუქი მოცახცახე,
მარმარილოს დარბაზს უმზერს მეფის თვალი,
ოქროს ტახტზე კმაყოფილი მოჩანს სახე,
შვილს მიმართავს შეშლილი და შვებით მთვრალი:
„მე შევბოჭავ ირლანდიას კილით კიდე!
მაშ გვირგვინი მომაწოდე ერთხელ კიდევე,
და სასახლის კარს ვინ აღებს, გადი, ნახე!“

წყრება ღმერთი და იღება მართლაც კარი,
ფერხულს უვლის უთვალავი ჩონჩხი მძიმედ,

'შემოდინან აჩრდილები ათასგვარი,
ზოგს გვირგვინი მოაქვს შავი, მოციმციმე,
რკინის ჭიშკარს აჭრიალებს დანარჩენი,
ესმის მეფეს ჩურჩულის ხმა ზარდამცემი,
და პირშავის ოქროს სიზმარს ფანტავს ქარი.

შავ ლანდებში ბავშვი ვარსკვლავს ედარება,
სისხლი ჟონავს ჯერაც მისი იარიდან,
ტანჯვის დალი აზის ბავშვის ნეტარებას,
და ღიმილით, ანგელოზთა ზიარითა,
მიდის, აძლევს მეფეს გვირგვინს ბარბაცითა,
შემდეგ ქრება სულთა დასი დარბაზიდან,
ხოლო მეფეს სული ფრჩხილში ეპარება.

თენდებოდა, თხელდებოდა რიდე ღამის,
ციმციმებდა სანთლის შუქი ჯადოსნური,
სასახლეში არ ისმოდა უკვე ჩქამი,
ყურსა ცქვეტდა მთვარე დაბლა ჩამოსული;
წავარდობდა ცისკრის სიო ფრთაგაშლილი,
მეხდაკრული დასცქეროდა მამას შვილი —
და ხელმწიფის ტახტზე უკვე იჯდა გვამი!





კარლ-ფერდინანდ დრეჰსლერ-მანფრედი

ა რ ა ბ ე ლ ა

იმ ქალებში, გოდებით რომ
შეძრეს ციხე კომპოსტელა,
სხვაზე მეტად დაისრული
იყო ტურფა არაბელა.

დაუბრუნდა საქმრო ყველას,
ახმაურდა კომპოსტელა,
უპატრონოდ დარჩენილა
მარტო ერთი არაბელა.

ჰკოცნის ყველას დანიშნული,
ხარობს ციხე კომპოსტელა;

ღა სარკმელთან დაისრული
ტირის ტურფა არაბელა.


რა იქნება მისი გმირიც
დაუბრუნდეს კომპოსტელას,
ცხენი შემოაჯირითოს,
მოეხვიოს არაბელას!

რა იქნება ვინმე მწირი
კარს მოადგეს კომპოსტელას,
და ამბავი მოუტანოს,
გაახაროს არაბელა!

მაგრამ კუბო მოაყენეს,
შავებშია კომპოსტელა,
და მას შემდეგ კოშკის სარკმელს
ჩამოსცილდა არაბელა.

დაილოცა ერთგულება,
რამაც შეკრა კომპოსტელა;
ყველას შეხვდეს დანიშნული,
როგორც ტურფა არაბელა!





ფერდინანდ ფრაიდიგრათი

ჯანგების მეფე

I

პალმის ტყიდან მოიყვანა ნახშირით შავი ქარი,
სისხლისფერი რიღე აქვს და ბეჭემოთის ტყავის
ფარი.

ზის მქუხარე სუფრის თავში ლომის
ყვითელტყაოსანი,
ზეიმს მართავს ბელადი და ტომის საქმის თაოსანი.

ველზე მავრი მეომრები შავ ტერმიტებს ედრებიან,
მათი მეფე შავ ხელს ავლებს. სატრფოს ოქროს
ბეჭდებიანს:

..ბი ჩემი საჩუქრები! გეჩვენება ზღაპრულ ქვებად.
უფრო კოხტად გამოეწყვე—სტუმრებს თვალი
დაუდგებათ.

მარგალიტი მოვიტანე, ტურფავ, შენი დავალებით,
დაიმშვენე თითები და დაიმშვენე დალალები.
სულ სპარსეთის ყურის ფსკერზე ეწყო, მაგრამ
სათითაოდ
ამოზიდეს მყვინთავებმა დიდი ცდით და ჯათითაო.

ესეც ფრთები სირაქლემის, თეთრი დლით და
ლაშითაო,
შენი შავი შუბლი მინდა დავამშვენო ამითაო.
ახლა იხმე სტუმრები და მომღერალთა დასებით,
ჭრელ ნოხებზე დაალაგე ჩვენი ბროლის თასებით“!

შემდეგ, როგორც ქუფრი მთვარე მოციმციმე
ნისლებიდან,
თეთრი კარვის კალთებს გასწევს, მოდის სავესე
ღირსებითა,
მოდის მძიმედ აღჭურვილი მავრი დინჯი,
დიდებული.
და ამშვენებს ლომის ტყავი, მხარზე
გადაკიდებული.

საომარი შეძახილით ესალმება ბელადს ხალხი,
ფერად თეთრი ცხენებია და მხედრები — ფერად
თალხი.

ეს ჯარები მისთვის თავის დასადებად მზად არიან
და ნიგერი მისთვის გრაგნის თავის ტალღებს
ნადავლიანს.

„გაგვიძეხი! შენთან გვინდა სიკვდილი და
გამარჯვება!
შენ გადიდებს, ვინც თეთრებთან სასტიკ შეხლას
გადარჩება“.
იბრძვის დღე და იბრძვის ღამე უდაბნოში, ქარში,
მზეში
და მხნეობას ნერგავს გულში დაფზე დაკვრით
სპილოს ეშვი.

დაფი დაუმშვენებია თეთრი თავის ქალებითა,
ლომებს აფრთხობს, გველებს ფანტავს და ცეცხლს
აფრქვევს თვალებიდან,
გაღეწილა მტრების კალო, ბევრის გული დაისერა,
და ყვითელი ქვიშა ფეხქვეშ შეღებილა ალისფერად.

პალმის ტყეში იმართება შემდეგ ომი საზარელი,
შინ კი, თეთრი კარვის კართან უცდის ცოლი
საყვარელი.
პალმის წვენი აუვსია შავ დედოფალს ფიალები,
ყვავილების გვირგვინს უწნავს, იწვის მზით და
ტრფიალებით.

ლიანების ყვავილწუნულებს ატრიალებს გამალებით,
ზღვის სიღრმეთა მარგალიტით შეუმკია დალალები,

კრელი ქვების დასტანგებით აქვს მორთული
მკლავები და
სირაქლემას თეთრი ფრთები ჩანან გიშრის
კავებიდან.

კარვის კარზე ზის და ელის, არას ამბობს, არას
ითხოვს,
და მის სმენას შორი მხრიდან ნაღარის ხმა სწვდება
თითქოს.

შუადღეა, მზე აცხუნებს, ირუჯება ველი მქისე,
ყვავილები ჭკნებიან და ის კი ელის ისევ ისე.

მზე ჩადის და მწუხრის სიო ბალახს ავსებს სიამითა,
ფრენენ ციციანათელები ოქროს სხივთა ციალითა,
აგერ, ორად იხლიჩება მღვრიე წყალთა ზვირთი
შავი,
და გამოჩნდა შლამიანი, შეჯავშნული ხვითქის თავი.

სანადიროდ გასულ ლომებს ეფარება რიდე ბინდის,
ბეჭემოთი ტბასა სტოვებს, სპილოს ჯოგი ტბაზე
მიდის,

ჰა, ყირაფიც, სადგომს ეძებს გაშლილ ველთა
დედოფალი,
მიმოზებს და დაღლილ ქალსაც ეხუჭებათ უკვე
თვალი.

მავრის ცოლი სიზმარშია, ეუფლება მძიმე ფიქრი.
მოდის ზანგი დაჭრილი და კარვის კართან მუხლებს
იყრის:

„წახდა საქმე, დედოფალო, არის ბრძოლა
წაგებული,
ჩვენი მეფე ტყვექმნილია, მისი დროშა —
წაღებული.“

თეთრი ხალხის სარდლის თვალწინ თავი მძიმედ
დაუხრია,
დასავლეთში გარეკავენ და ბორკილებს გაუყრიან“.
ქალი კივის, კავენს იგლეჯს, ძირს ეცემა
მოკვეთილი,
და ცახცახებს მისი მკლავი, ძვირფას ქვებით
მოჭედილი.

2

აგერ, ცირკის შესასვლელი, უველა უხმობს
თავისიანს.
წარმოდგენის დასაწყისი ამცნეს ბაზარს ხალისიანს.
„აქეთ! აქეთ!“—მიმორბიან შიკრიკები აჩქარებით.
ბუკს და ტიმბანს აგუგუნებს დასი ტაკიმასხარების.

თურქულ დოღზე ჯოხებსა სცემს ერთი ზანგი
ცირკის კართან,
კოპებშეკრულს აგონდება თავის თეთრი კარვის
კალთა,

მაშინ დაჰკრავს გამეტებით, გულდამწვარი,
დაჩაგრული.
და გრიალებს ლომის ტყავი, მძიმე დოღზე
გადაკრული.

ბაზრის კართან მონავარდე თურქულ ცხენებს
აღარც ხედავს,
ველარ ამჩნევს თავის თვალწინ მოჯირითე მამაც
მხედარს,
დაბინდულა, დაღვრემილა, დაუხრია დაბლა თავი
და ნიშანში აუღია მოგუგუნე ლომის ტყავი.

აგონდება ლომთან შეხლა, და მშობელი ნიგერია.
სად იბრძოლა, ვისა სძლია, ვინ იძმო და იგერია,
აგონდება დამარცხება, დამცირება ცირკის კართან,
სამუდამოდ დაკარგული იმ სამეფო კარვის კალთა.

აგონდება შავი სატრფო—სირაქლემას თეთრი
ფრთებით.
მოციმციმე მარგალიტით მოკაზმული მისი თმები...
თვალი ცრმელით დაუსველდა, დაიბურა მეფის
თავი,
დაჰკრა ისე გაშმაგებით, რომ გახეთქა დაფის
ტყავი.

ლიევე მრე

ესპანელთა ქვეშეხები
გმირულ ქალაქს ემიზნება,
და ზერიკზე თუმცა გმინავს *,
არ სრულდება მტრების ნება.

„ჩვენ მაშველი ძალა გვინდა!
ამ სრუტეს ვინ გადაცურავთ,
რომ ორანელს ჩაუტანოთ *
ეს წერილი მამაცურად“?

წინ წამოდგა ორი მოყმე:
„ჩვენ!“ — გაისმა სიტყვა მათი.
ერთს ლიევე ერე ერქვა
და მეორეს — იან შავთი.

მყისვე ტყავის გულისპირში
ჩაიკერეს ბარათები
და შესცურეს... მაგრამ გემზე
ფხიზლად დგანან ქალათები.

ჰა, ნავები ესპანელთა!
დადგა საფრთხე საზარელი,
იან შაგთი მტერს დანებდა
და სიკვდილი აღარ ელის.

ფრინავს შუბი და ქამანდი
გველის ენის დასადარი,
ხედავს ერე: მოდის მტერი
და საშველი არსად არი.

სად წაუვა ესპანელებს!
აქვთ ჯალათთა მათ იერი!
მობრუნდა და უნდო მტარვალს
სტყორცნა მზერა კადნიერი.

„ხომ ჩვენი ხარ, სულ ერთია!
ახლა სცადე თავის დაცვა“!
აქ ჩაყვინთა ერემ სწრაფად
და ბარათიც გაიტაცა.

ცივ ზვირთებში ჩაიძირა
წერილი და გული ცხელი;
სცადეთ ფურცლის გადაკითხვა,
თუ მიგიწვდათ ფსკერზე ხელი!



გეორგ ჭერვეგი

გ უ ტ ე ნ ბ ე რ გ ი

ქვეყნად სიკეთის მთაა დიადი,
ვუტენბერგია სახელი მისი * ,
იმასთან ძალას კარგავს წყევლიადი,
ის არის ქება-დიდების ღირსი.


გასამდიდრებლად იქ არ მიდიან,
არ ინახება ღვინო და განძი,
მაგრამ ის ყველა მთაზე დიდია,
და მას შეხარის ყოველი კაცი.

ქვეყნად სიკეთის მთაა დიადი,
რაინს გასცქერის კეთილ ზრახვითა,
ცას უსწორდება შუბლი ზვიადი,
მიწას დახარის თეთრი სახითა.

ქარი ვერ აკრთობს, ზღვა ვერ აჩერებს,
მისი ფუძეა მიწა მაინცის,
ქვეყნებს აუწყებს ამ ჩვენს ნაწერებს
და არ დადლილა ერთხელ მაინც ის.

დიდხანს ქუფრობდა კიფჰაიზერი,
დიდხანს ეხურა ციხეს წყვდიადი,
გრძნობდა მღვიმეში თვით კაიზერი,
დადგაო მთაზე შუქი დიადი.

ქვეყნად სინათლე არის მთავარი,
ყორნებს დაეთმო ძველი წყვდიადი,
და გუტენბერგის თეთრი მთა არი
თვით კაიზერის მთაზე დიადი.





ადოღუ გღასბრენერი

მ ე ლ ო ლ ე

ქვეყნად ცხოვრობდა ჰერცოგი მკაცი,
წყველას უთვლიდა ქალი და კაცი,
ტანჯავდა ყველას და ყველას სძულდა,
მსგავსად ეშმაკთა და ბოროტ სულთა.

მაგრამ ისმინა გოდება კაცთა
და სასახლეში მედოლე გაჩნდა;
აჩრდილს დაფდაფი უჭირავს ხელთა,
ვისაც შეხედავს — ეცემა ელდა.

და თითქოს დაფზე დაეკრას ლახტი,
შესძრა სასახლე, შეირყა ტახტი,
დაჰკრა, დაიწყო მიწამ ზანზარი!
„რევოლუცია! ჯანყი! ხანძარი!“

საბრალო ჰერცოგს ესმა გრიალი,
გულგახეთქილმა მორთო ღრიალი,
ყური დაიცო, დაკარგა ძალა,
და იმ მედოლის გაგდება ბრძანა.

ის კი ეშმაკის ნარისხვალა,
გუგუნებს, თითქოს ქარიშხალა.
უკრავს და მიწას გააქვს ზანზარი:
„რევოლუცია! ჯანყი! ხანძარი!“

მორბის ჯალათი, კუნძი მზად არის,
მაგრამ ვინ უკრავს? არ ჩანს, სად არის?
დარბიან სუსტნი და უბადონი:
ხომ არ შეშლილა ჩვენი ბატონი?

მედოლე—თითქოს ქარიშხალა,
უკრავს, ეშმაკის ნარისხვალა!
უკრავს, ეცემა ჰერცოგს თავზარი:
„რევოლუცია! ჯანყი! ხანძარი!“

მოხუცს ექცევა სიცოცხლის თასი,
და სულთათანას უმღერის დასი.

წელში მოხრილა სუსტი, სნეული,
ბორგავს, ცახცახებს ბებრის სხეული.

სოლო მედოლე—ქარიშხალია,
თითქოს ეშმაკის ნარისხვალია,
ქუხს და ირყევა ტახტი, ტაძარი:
„რევოლუცია! ჯანყი! ხანძარი“!

ქ უ რ დ ე ბ ი

იყო ქვეყნად ერთი ნემსის ქურდი,
წლობით ედო საწყალს ფეხზე ხუნდი,
ალოდინა ცოლი უბედური,
ვიდრე გზები ექნებოდა ხსნილი,
რადგან ერთხელ გაახარა შვილი, —
ბავშვისათვის მოიპარა პური.

არც მეორეს უღიმოდა ბედი:
ძუნწს მოჰპარა ოქროს ზოდი ერთი,
რადგან საწყალს გაუჭირდა ძალზე;
არ გასულა ნახევარი წელი,
ადასრულეს განაჩენი მწველი,
ჩამოჰკიდეს სახრჩობელას ძელზე.

მესამე კი იყო დიდი ქურდი,
მოიპარა დედამიწის ბურთი,
ღირსება და სამართალი კაცთა,

ქალაქები, ქვეყნები და ზღვები,
ზოგი მოსპო, იმსახურა სხვები;
და მისი ხმა ყველა მხარეს გაწვდა.

აღარ ვიცი, ამიხსენით ერთი,
როგორ ბრუნავს წუთისოფლის ეტლი:
ღმერთმა ქნას, რომ სულაც გადაბრუნდეს!
მე რომ მკითხონ, მესამე ქურდს ახლა
დავკიდებდი ბევრად უფრო მაღლა,
ვიდრე იმ ორს, იმ პატარა ქურდებს!

ნ ა ნ გ რ ე ვ ე ბ ი

„აჰ, რა უცხო და პოეტურია
ნანგრევთა წყება დიდებულ მთაზე“!
ჰო, ქალიშვილო, თვალსა სწყურია —
იხილოს ციხე მშვენებით სავსე.

მალღა მიუწევს თვალი ქალიშვილს,
ღელავს, უკვირს და გაჰკვირვებია,
ბულდოგს ხელს უსვამს, ქებას არ იშლის:
„რა პოეტური ადგილებია!

მწველმა სიცოცხლემ შუქი ჩაღვარა,
მწვანე ტყემ ცასთან კავშირი შეკრა,
ფეთქავს კოკობი, და ქვა ჭალარა
დგას გარდასული დიდების ძეგლად!..“

ვხედავ, ლამაზო, ნანგრევთა წყება
მწვანე ქათიბში ჩაძირულია,

ძველი დილეგი გუშაგად დგება
და ტყე ჩურჩულებს ალილუიას!

სულო წმიდაო, წმიდა სამებაჲ,
გულთამხილავო, მადლობა შენდა!
მთათა მწვერვალზე შეწყდა ვაება,
და მხოლოდ ბარად შემორჩა ჩვენთან.

ისმის ჩხავილი ყვავთა ტიალთა,
სხვა მხრივ ბატონობს სიმშვიდე სრული,
დამარხულია ძვლები ტირანთა,
თავისუფლებას ეღირსა სული!

ციხეებს ელტვის თვალთა ისარი,
მწვანე მთები რომ გარს ევლებიან,
ულამაზესი მაინც ის არი,
რომ ღღეს ისინი ნანგრევებია.





დუღვიგ პფაუ

ფ ე ი შ ა რ ი

უზის დაზგას ფეიქარი; ფერმკრთალი და ხმელი,
ატრიალებს მასრას მისი ფერწასული ხელი —
ფეხს ვერა სწევს მაშვრალი და მუხლი სტკივა
ერთობ:

—ლოცვის თავი აღარა მაქვს, ო, უფალო ღმერთო!

ქსოვე, ქსოვე, ატრიალე ხელში მასრა სწრაფი!
დაე, წყევლა-კრულვად იქცეს აქ ყოველი ძაფი!

ქსოვს მაშვრალი, ქსოვს ბედშავი, რას გახდება
წოლით?

წევს ისედაც იატაკზე მომაკვდავი ცოლი.

გაჭირვება სასთუმალთან ზის და ზრუნავს მისთვის,
და შიმშილიც სნეულისკენ ლოცვით ხელებს
იწვდის.

ქსოვე, ქსოვე, ატრიალე მასრა ქარზე სწრაფი!
დაე, წყევლა-კრულვად იქცეს აქ ყოველი ძაფი!

პირველ წყევლას გავუგზავნი ბატონს გაშლილ
ზღვაში!
ვაშა როგორ აფეთქდება მისი გემი მაშინ!

დალოცვილი ვერცხლის ქურჭელს სუფრაზე ვერ
დადგამს,
თუ მშვირები არ ვუსხედვართ ჩვენ ამ საქსოვ
დაზვას.

ქსოვე, ქსოვე, ატრიალე მასრა ქარზე სწრაფი!
დაე, წყევლა-კრულვად იქცეს აქ ყოველი ძაფი!

ერთსაც ჩვენი მოძღვრისათვის ვაქსოვ დაზვის
ხმაში,
სასუფეველს რომ გვპირდება ვარსკვლავიან ცაში.

უნდა მოვკვდეთ, დავიღუპოთ, ვინანებდეთ
ცოდვებს,
და ვაწამოთ თურმე ხორცი, რათა სული ცხოვდეს.

ქსოვე, ქსოვე, ატრიალე მასრა ასე სწრაფი!
დაე, წყევლა-კრულვად იქცეს აქ ყოველი ძაფი!

ეს ქსოვილი მისია და მასვე ექცეს ნაცრად,
ვინც ტყვიას და რკინას გვაწვდის ხელში პურის
ნაცვლად.

ბატონია ღვთის წყალობით, მიწიერი ღმერთი,
ჩაექსოვე, სუსტო ძაფო, დაუმშვენე მკერდი!

ქსოვე, ქსოვე, ატრიალე მასრა, ასე სწრაფი!
დაე, წყევლა-კრულვად იქცეს აქ ყოველი ძაფი!

ლამპის შუქი შეცახცახდა, ეს რა მოხდა, ნეტავ?
მადლი უფალს, ჩემო ცოლო, უკვე მოკვდი,
ვხედავ!

ჩვენს ცხოვრებას დასდევს ლანდი სიკვდილის და
სევდის,
რადგან აკი თვითონვე ვქსოვთ ჩვენ სუდარას
ჩვენთვის.

ო, შემეძლოს, მე მოვქსოვდი ისეთ ქსოვილს
მარტო,
რომ სუდარიო დამეფარა მიწის პირი ფართო!





ანასტაზიუს გრიუნი

მოხერხებული მაცნე

შინ ბრუნდებოდა დოლიდან გრაფი,
წინ შეეფეთა მსახური სწრაფი.

—საით, მსახურო, მითხარი ჩქარა,
რას დაყიალობ კარიდან კარად?

—რა ვქნა, ბატონო, არა მაქვს ჭერი,
ამიტომ ველად გამოვიჭერი.

— რაო? მითხარი სიტყვა გზიანი!
შინ ხომ არ არის რამე ზიანი?

— არა! წუხილი ჩავიკლათ გულში:
ის თქვენი ძალი მოგვიკვდა გუშინ.

— ჰოი, საბრალო! ამავესე ნაღვლით!
რამ მოკლა ჩემი საბრალო ძალი?

— თქვენმა მერანმა გათელა მაშინ,
კისრისტეხით რომ გადახტა ტბაში.

— ჩემო მერანო! საწყენად კმარა!
რამ დააფეთა? მითხარი ჩქარა.

— მგონი, ეზოში დაფეთდა მაშინ,
ძირს რომ გადახტა ბატონის ვაჟი.

— ვინ? ჩემი ვაჟი? როგორა ჰბედავ?
მერე, გადარჩა? სად არის დედა?

— თან ახლავს, გრაფო: დაეცა მკედარი,
როცა იხილა ყმაწვილის გვამი.

— და შენ, ვერაგო, დარჩენის ნაცვლად,
ამ დროს გაბედე სახლიდან წასვლა?


— ვისი სახლიდან? გაჩნდა ხანძარი,
სახლი დაიწვა, დარჩა ნაცარი!

როცა ზანძარი სუდარას შლიდა,
იმ განსვენებულს ეძინა მშვიდად.

ქარში ერთბაშად ავარდა ალი,
შთანთქა მსახური კაცი და ქალი.

ღმერთმა ინება დარჩენა ერთის,
რომ კოხტად მეთქვა ამბავი თქვენთვის.





ფრიდრიხ ჰებელი

ხმაწვილი ველზე

ყმაწვილს ესიზმრა, გაგზავნეს მარტო,
უნდა გაეელო მინდორი ფართო,
უნდა წაელო სოფელში ფული, —
და შუა გზაზე გაუპეს გული.

ამ დროს ოსტატმა, სასტიკმა კაცმა,
გამოადვიძა, უბრძანა ჩაცმა.
თუმცა ჯერ კიდევ იღვრება ოფლად,
ფულის წაღება უბრძანეს სოფლად!

„ვაი, ოსტატო, მომკლავენ გზაში,
მზეს სისხლისფერი გადაჰკრავს ცაში“!

„შზეს მეტი საქმე არა ჰქონია!
შენ სიზმარი ხომ არ აგყოლია?“

„ვაი, ოსტატო, სიზმარშიც ვნახე
შენი მზერა და სასტიკი სახე.
ვითომ აიღე“... „ეს ჯოხი განა?
ჰო, რათა სიგრძე მოგექცეს განად“!

„ვაი, ოსტატო, მივდივარ მე და
ფუტოვებ სალამს საყვარელ დედას!
ბილიკს გამოჰყვეს, ნულარა სტირის,
ამბავი ჰკითხოს მტირალა ტირიფს“!

ქალაქს გაშორდა; გზა კი სრულიად
უდაბურია, დანისლულია,
და ცივი ქარი სისინებს ასე:
„იჩქარე, ბავშვო, სიკვდილის გზაზე“!

რა დუმილია, რა შემზარავი!
არ ჩანს სულდგმული, არ ჩანს არავინ.
და თვით სივრცეში მიწყდა, მინელდა
ხმა მოსრიალე მშიერ ფრინველთა.

ბოლოს მივიდა მწყემსების ქოხთან,
განმარტოებით რომ იდგა კოხტად;
სახე რომ ნახა მოხუცი კაცის,
გული მოეცა საბრალო ყმაწვილს.

„მოხუცო მწყემსო, კეთილო კაცო,
ოთხი გროში მაქვს, არ გამომტაცონ:
აგრემც აგივლის ჭირი და სენი,
გამომაყოლე მსახური შენი.

მადლობას ვეტყვი და მივცემ ქირას,
ლუდი დალიოს მომავალ კვირას:
ფული მაქვს სხვისი, ვერავის ვუმხელ,
ამისთვის მომკლეს სიზმარში წუხელ“!

ახმახი მწყემსიც მოვიდა ხვნეშით,
ნედლი კომბალი ეჭირა ხელში,
მოვიდა ტლანქი, უზარმაზარი,
საბრალო ყმაწვილს დასცა თავზარი!

„ბატონო მწყემსო, არ მინდა, არა!
მე თვითონ წავალ, მე ვივლი ჩქარა“!
აქ ისმის მწყემსის ხმა უცნაური:
„არ ემეტება ოთხი შაური“!

„არა, ბატონო! ინებეთ ფული“! —
გარბის და შიშით უსკდება გული.
აგერ, ხელახლა იხილა ველი,
და მხარში მოხვდა უხეში ხელი.

„ჰაი, პატარავ, ნუ ჩქარობ ასე,
ჯერ ყმაწვილი ხარ, მოკვდები გზაზე,
თანაც გამძიმებს ამდენი ფული —
რა იქნებოდა მოგეთქვა სული!

აგერ, ტირიფთან დაჯექი წუთით,
მიტხარ, რა ნახე ასეთი ცუდი?
ხომ არ გვესიზმრა სიზმარი ერთი?
მე ვნახე, ვითომ გამიწყრა ღმერთი“!

ახმახს მორჩილად მიჰყვება ბავშვი,
გაქცევა ფიქრად არ მოსდის თავში;
ცრემლები სცვივა მწუხარე ტირიფს,
და ნაკადულიც რა მწარედ ტირის!

„თქვი, რა გესიზმრა?“ „მოვიდა კაცი...“
„ასე ჩემსავით ავი და მკაცრი?
სწორედ მე ვიყავ! მიტხარი კობტად,
შემდეგ რა იყო და როგორ მოხდა“?

„იშიშვლა დანა“... „ასეთი, განა“?
„ჰო“! „მერე“? „ჩამცა გულში და თანაც“..
„შეატრიალა? რაღას გაწვალე!
სიზმარს აგიხდენ, ცოტა მაცალე“!

შემდეგ რა მოხდა? რა გითხრათ მეტი?
ორ ფრინველს ჰკითხეთ ყმაწვილის ბედი:
შავი ყორანი იჯდა, ხარობდა,
მწუხარე მტრედი წასვლას ჩქარობდა!

ყორანი იტყვის, ურჯუკი ხელით
როგორ გამოსჭრა ჯალათმა ყელი,
მტრედი კი—როგორ ტიროდა ბავშვი,
როგორ აეპყრო ხელები ცაში.

ყმაწვილი ზანთან

ჰაი, ძიძა, ბავშვმა გაიღვიძა!
შენი ძილი ალბათ დიდხანს გასტანს!
მზე იცინის, ხარობს ლალი მიწა,
და ბატკნები თამაშობენ ჭასთან.

ჰაი, ძიძავ, ადგა, მიდის მარტო!
გზა არ იცის, არ ახურავს თავზე.
ქისკენ გარბის, ხიბლავს ველი ფართო.
ბალახით და ყვავილებით სავსე.

ჰაი, ძიძავ, ჭაა ღრმა და ბნელი
შენ კი თითქოს ჩაძირულხარ ტბაში
ყვავილები დაფარულა ველი,
ყვავილებით მოხიბლულა ბავშვი.

გაზაფხულის სურნელებით თვრება
მოჭიკჭიკე ფრინველების ხმაში;
ჰა, მოსწყინდა ყვავილების კრეფა,
მივიდა და ჩაიხედა ჭაში.

ხედავს: დაბლა ბავშვი სახეს არხევს,
ხედავს იმის ნათელ თვალთა ციმციმს;
რა იცის, რომ ხედავს თავის სახეს,
ისმენს იმის სალამსა და სიცილს!

ხელს უქნევს და ავიწყდება დაღლა —
დაბლა იწვევს ლანდი თავის ხელთა;
„იქ რა გინდა, აქ ამოდი მაღლა“!
„აქ ჩამოდი, ვითამაშოთ ერთად“!

ჭის კიდეზე გადახრილა ბავშვი,
ხოლო ძიძას ტკბილად სძინავს ჯერაც!
თაიგული გადაცვივდა ჭაში
და ნისლივით დაეფარა მწერას.

უცბად გაქრა სახე დაბლა მდგარი,
ყვავილებმა ჭა დაფარეს თალხი,
თვალში მოხვდა რაღაც უცხო ქარი,
და ჭას უცბად ჩამოსცილდა ბალღი.

ბ ა ვ უ ვ ი

ისვენებს დედა ყვავილთა ზღვაში,
არავის უსმენს, არავის ხედავს;
იქვე თამაშობს პატარა ბავშვი,
გაკვირვებული უყურებს დედას.

რიცხვი არ უჩანთ ყვავილებს ირგვლივ.
ყვავილი მკერდზე, ყვავილი თმაში...
ხედავს უთვალავ მოცინარ გვირგვინს
და იწვის მათი სურვილით ბავშვი.

თუ ჯერ გარშემო მალვით უვლიდა,
„დედა! — უძახის ახლა ყმაწვილი. —
მომეცი შენი თაიგულიდან,
ჩემო დედიკო, ერთი ყვავილი!“

მეორედ თქმას კი ველარა ჰხედავს,
გულში ჩაიკლა სურვილი წმინდა:

„გამოიძინოს, აცალეთ დედას,
და მაშინ მომცემს, რამდენიც მინდა“.

ბავშვის თვალებში ხალისი ჩაქრა,
ჩუმად გამოდის, კარებსა ჰკეტავს
და უთვალთვალებს გარედან, მაგრამ
არ ეღვიძება საყვარელ დედას!

სე უდაბნოში

დგას უდაბნოში და ფერი მისდის,
დგას ერთადერთი და თითქოს სძინავს.
მზემ დასწვა, მაგრამ არასდროს მისთვის
ჯერ არ მოუკლავს წყურვილი წვიმას.

ტკბილი ნაყოფი ასხია თავზე,
წვენი გადასდის, ელვარებს ცალად;
მას შეაღია სიცოცხლე საესე,
ფესვი და ტვინი, ძარღვი და ძალა.

შორს აღარ არის, ჩანს, ის საათი,
როდესაც უნდა მოწყდეს მაღლიდან,
არავინ მოჰყავს აქლემს ტაატით,
და ხეს ევსება გული ნაღვლითა.

მძინარე ბავშვი

ცხელა და ცხელა, მზერა დაღლილა:
ვისია ხის ქვეშ მძინარე ბავშვი?
არ ეღვიძება, მზე გადახრილა,
სამხრობენ ახლა მთასა და ბარში.

მძიმე ტოტები დახრილან დაბლა,
ფერწასულ სახეს ეხება ვაშლი:
„მოსწყვიტე, ჭამე, შეგერგოს თაფლად“.
ხელს ველარა სწევს პატარა ბავშვი.

დარდობს ნიავი: „ველარა სწვდება“! —
ცხრა მთის გადაღმა ფრთას ნელა გაშლის,
ტოტებს შეარხევს, და ხიდან წყდება
ერთი სისხლივით წითელი ვაშლი.


ცხრათვალა მზე კი დასცქერის ციდან
და სხივი დახტის ქოჩორა თმაში,
ხელზე აჯდება კოლონა ციდა,
რომ გააღვიძოს პატარა ბავშვი.

მთხოვარა გოგო

იღგა კარებთან, ტიროდა მწარედ,
იყინებოდა საბრალო ბავშვი;
ბატონიშვილი გავიდა გარეთ,
თბილი სამოსი დაუგდო გზაში.
არც კი უკითხავს ყმაწვილის ბედი,
და მხოლოდ უთხრა: „რა გინდა მეტი“?

არც კი დაუძრავს გოგონას სიტყვა,
იყინებოდა საბრალო ბავშვი:
გარინდებული უძრავად იღგა,
შემდეგ დასტოვა სამოსი გზაში, —
არ მოუხრია ამაყი ქედი, —
თქვა: „არაფერი არ მინდა მეტი“!





ემანუილ გაიბელი

ოჭროსმაქიეზლები

გადალახეს ზღვა და მხარე შორეული,
გამდიდრების ჟინი ჰქონდათ შორეული,
სამნი იყვნენ—ჭკუით, ღონით თანაბარი,
ერთმანეთზე მამაცი. და მკლავმაგარი.

გაბედულად მიაშურეს უცხო მხარეს,
ქარში, თქეშში, უდაბნოში მიწა თხარეს,
კლდეს არღვევდნენ მათი მძიმე წალკატები,
შიმშილ-წყურვილს გაუმკლავდნენ ალქატები.

აი, ბოლოს, ცხადია თუ ზღაპარია?
ყვითელ ოქროს შავი მიწა აფარია!

ბზინავს გველის თვალეზივით, ძევს და თვითონ
ძიწის ბინდი ველარ ფარავს მაცთურ ლითონს.

ნუთუ ამდენს იმეტებსო ჩვენთვის ბედი? --
და აგიყებთ სიხარული მეტისმეტი!
ასწონეს და ნეტარებით ითვრებიან:
გაეტოლონ. რაც კი ქვეყნად მდიდრებია!

მზად არიან, რომ ველურთა ტომის მსგავსად
ზოდს უარონ რიყრაყამდე როკვით გარსა,
უმღერიან, ხტიან, შვეებით მადღრებია,
და მხურვალე ბავით ლითონს აცხრებიან.

უფროსმა თქვა: „ახლა დროა დავისვენოთ!
ღირსიც ვართ, რომ ცოტა ყელი ჩავისველოთ.
სემ, პურ-ღვინო მოგვიტანე, ამაგდარო,
მინდა ღამე ჭამა-სმაში გავატარო“!

სემი თასებს ადრეც თითქოს ხარბად ცლიდა,
ბილიკს დაჰყვა ცეცებით და ბარბაცითა,
უცნაურად დაუზნელდა თითქოს თვალი,
მძიმე ფიქრებს დაჰყვა დაღმა ვითა მთვრალი.

ორიც იწვა, ცას უსიტყვოდ გასცქეროდა,
ბედის პოვნა სჯეროდათ და არც სჯეროდათ.
ბილი ამბობს: „რალაც არ ვარ კმაყოფილი:
რა დარჩება ზოდი, სამად გაყოფილი“! —

„შენ ფიქრობ, რომ...“, „იქნებოდა უფრო სწორი, თუ ეს ზოდი გაიყოფა ორთა შორის“.

„მაშინ სემი...“, „სემზე გვამრთებს დაფიქრება: სემი სულაც რომ არ იყოს, რა იქნება“?

წვანან მზეში და ლაპლაპი გააქვს ლითონს.

ტომი ამბობს: „რა ფასი აქვს სიტყვას ლიტონს! ამ ხრამს ხედავ“?—„და რად გვინდა მერე ხრამი“?
„სდუმან ხენი და არ ისმის დაბლა ჩქამი“. —

„შენ გინდა თქვა“...—„ხელს არ მოგვცემს სემთან
ხლება,

მე და შენ კი გვმართებს ახლა შეთანხმება...
ხომ გადაწყდა? უცაბედად ხელი ჰკარი,
და ჩვენ მაშინ გაგვეხსნება ზეცის კარი“.

წვანან ჩუმად, დასავლეთი ღვივის რისხვით,
ოქროს ზოდი დაფარულა თითქოს სისხლით.
მოდის სემი და გადასდის ოფლი ღვარად,
მოაქვს ღვინო მათი გულის გასახარად.

სუფრას უშლის, ასმევს სავსე თასებიდან,
არ იღლება სასმისების ავსებიტა.

„ოჰ ეს ღვინო კუჭზე ცეცხლად გვეკიდება.
შენ რად არ სვამ? — ბილი ძმობილს ეკითხება.—

ჩასველება არ გსურს ყელის გამხმარისა“?

„ნუ წუხდებით, გზაში შევსვი საკმარისად.

ძილი მინდა...“ — „ჰოდა, მერე დაიძინე,
ოღონდ მაგრად! — და ბოროტად გაიცინეს. ---

ძილი გინდა, მოსული ხარ ბაზრიდანა“, —
და ბეჭებში გაუყარეს ბასრი დანა.
დაეცა და ცას მიაპყრო სემმა თვალი,
თქვა: „სწორია, ვხედავ, უფლის სამართალი.

ხომ მომკალით, მანაცვალეთ წყეულ ლითონს,
მაგრამ უკვე სიკვდილი ზის თქვენში თვითონ!
აი, ღვინო, თქვენ რომ შესვით, წუხელ ღამით
ფუჭად როდი შევაზავე თურმე შხამით“.

კანიშერის წვერზე

ერთხელ ვაზის ფანჩატურში
ყვავილებით თავზე
იჯდა სამი მეგობარი,
იჯდა ლხენით სავსე.

ერთს ეკიდა წელზე ბუკი
სხვაზე უკეთესი,
ერთის თავზე ფრთა ელავდა.
ერთის ფეხზე—დეზი.

მოციმციმე ჭურჭლით ხელში
ადგათ კაცი თავზე,
სუფრა ჰქონდათ სიკეთით და
გული ლხენით სავსე.

ბევრი შესვეს და იმღერეს,
ბევრი რამეც ითქვა;
ბუკიანმა კაიზერზე
ჩამოაგდო სიტყვა:

„მე მინახავს ბარბაროსა,
როს მაინცის ტაძრად
შესასვლელად წირვისათვის
მეომრები დაძრა.

რა მეფეა! გეფიცებით
წინაპართა ჩემთა,
იმ დალოცვილს წაბლისფერი
წვერი მკერდზე სცემდა“.

მას მეორე ართმევს სიტყვას,
თავზე ფრთა რომ ჰქონდა:
„ჰე, ჭაბუკო, შენს იგავში
შეგეშალა ცოტა.

მე მინახავს მეფეცა და
მისი ციხე ჰარციც:
იქ იდგა და წვერი ჰქონდა
თეთრი, როგორც ცარცი“.

აქ მესამე წამოვარდა,
ღეზიანი კაცი,
მოდავეთა შორის მისი
ხმა გაისმა მკაცრი:


„დაბრმავდით და დაილუპოს
დაე, თქვენი თავი!
კელნში ვნახე კაიზერი —
ჰქონდა წვერი შავი“.


აირია ერთმანეთში
მუქი, შავი, თეთრი...
დავა იყო საშინელი
და შედეგიც მკვეთრი.

დატრიალდა ცოდვის კითხვა,
ხმა გაისმა რისხვის,
იძრეს ხმალი, დადგა ღვარი
ღვინისა და სისხლის.

შემდეგ, როცა დრო მოვიდა
ლაშქრის შემოკრების,
ვერვინ შესძლო შერიგება
ძველი მეგობრების.

ეს იგავი სამწუხარო
რომ არ ახდეს თქვენზე,
ძმებო, სმავში არ იდავოთ
კაიზერის წვერზე!





გოტფრიდ კელერი

პ ი რ ა ს ი რ ი

წვიმდა, ქროდა, ყინავდა და ღამის სუსხი ფრთებსა
შლიდა,
გზაში ჯიხურს დარაჯობდა გამართული წელში
მშვიდად
კობტა, მძიმე, მოციმციმე კირასირი *...

თქვა: „ბატონო, მცივა, მშია! არ მაქვს გროში
გახვრეტილი“.
შევკრთი, შევდეგ, შევცახცახდი, იდგა ბნელში
ასვეტილი
კობტა, მძიმე, მოციმციმე კირასირი.

სარკეს ჰგავდა მისი თორნი და ქულაჯა—ცეცხლის
აღსა,
იღვა ბნელში ასვეტილი, ხელს უჭერდა შიშველ
ხმაღსა
კოხტა, მძიმე, მოციმციმე კირასირი.

ჰოი, არსად არ მინახავს მსგავსი ხალხი და ქვეყანა,
ასე კოხტა გლახა ჰყავდეს მარმარაღოს
კარებთანა!—
მკაცრი, მძიმე, მოციმციმე კირასირი!

მაგრამ ვიდრე მოვიხელთე სამოწყალოდ ჩემი ქისა,
ფლოქვთა ცემამ გააშეშა იქვე, როგორც კერპი
ქვისა
კოხტა, მძიმე, ბუმბერაზი კირასირი.

მიჰქრის ეტლი, უმზერს ცოლი ყოვლის შემძლე
მინისტრისა,
ქალის დამჰკნარ სახეს ფარავს ავარდნილი ნისლი
მტერისა.
იყინება კოხტა, მძიმე, მოციმციმე კირასირი.

შემდეგ ისევ მაცქერდება მისი თვალი ვედრებითა,
გროშებს ვაძლევ, გზას განვაგრძობ ისევ ჩემი
მხედრებითა,
რჩება მძიმე, მოციმციმე კირასირი.

თვითონ სუსხი ვერ ატოკებს გაქვავებულ სახეს
მისას,
დგას სვეტივით, იცავს მეფეს, და ჩემს თვალებს
სევდით ნისლავს
მკაცრი, მძიმე, მოციმციმე კირასირი.

ერთხელ, როცა ჯიხურიდან ლაზარეთში
გადაჰყავდათ,
„მოკვდა მეცხრე ნომერიო,“ — და კუბოშიც
ქანდაკს ჰგავდა
მკაცრი მძიმე, მოციმციმე კირასირი.

რად უწუნებთ ერთგულებას? ჯობდა ცამდე
აგვეყვანა:
ხომ დაეცა, რომ დაეცვა მეფე, ღმერთი და
ქვეყანა —
მკაცრი, მძიმე და მშვიერი კირასირი!

ნ ი კ ო ლ ო ზ I

გადაჭიმულა უზარმაზარი თავბრუდამხვევი
ქათქათა ველი;
ზედ აზიდულა თვალუწვდენელი, უვარსკვლავებო
გუმბათი ბნელი.

სისინებს ქარი დღითა და ღამით, თითქოს გარშემო
ყინვარებია,
და პოლონელთა კრიალა ძვლები თოვლის ნამქერით
იფარებოან.

ჩუ, ეს ვინ მიჰქრის? ამ ბნელ ღამეში გზას სულთა
დასი საით დაიჭერს?
ეტლის კვალდაკვალ მიაგელვებენ შჰაგი მშედრები
უხმოდ ტაიჭებს!

მიწას არყევენ შმაგნი, ველურნი, შუბებს
იქნევენ — რა მხედრებია!
მათი ფრთოსანი მოსასხამები ბურუსში ცეცხლის
აღს ედრებოან.

ქილმა მოიცვა ოსევ მინდორი, აღარ ჩანს თეთრი
კორიანტელი,
და მხოლოდ ციდან დედამიწაზე მიძიმედ ეცემა
თოვლის ფანტელი.

„იმპერატორი! იმპერატორი!“ — ხმაჩახლეჩილი
მოსთქვამს ყორანი,
და ბანს აძლევენ ამ შავი ყორნის შავბედით
ყრანტალს მგელთა ხროვანი.

ქარი სისინებს და იმეორებს ხმა შორეული, ხმა
უკუნეთის:
„დაემხოზაო იმპერატორი, იმპერატორი მთელი
რუსეთის!“

ა რ ო ლ ა ი დ ი

არის ადგილი ვალისში დღესაც,
აროლაიდი ჰქვია სახელად *—
სახელშიც დარჩა დარდი და კენესა
უბედურების გამომსახველად.

ფრიალო კლდეზე მწყემსი ეკიდა,
გარს ევლებოდა სიკვდილის ნისლი,
არწივს ჩაეგდო კისრისტეხითა,
აღარსად იყო საშველი მისი.

ძირს იჯდა მოლზე ბედშავის ცოლი
და მშვიდად იწვა ბალახში ვაჟი,
უმწეო ქალი უსიტყვო ძრწოლით
იციქირებოდა უძრავად ცაში:

მალლა, იქ, სადაც ზვიად მწვერვალებს
მწუხრის ნათელი ცეცხლად ეღებათ,
მთათა გვირგვინი ყვითლად ელვარებს
და შესდგომიან ზეცას სვეტებად.


უცხად აიჭრა, და როგორც მთვრალი,
გზაარეული მწვანეზე დადის,
ღალატობს მუხლი, ღალატობს თვალი
ნიშნად გლოვის და უზომო დარდის.

გაისმა ცემა ძალუმი ფრთების,
ბავშვის წივილიც გაისმა მთაში,
და მოჰყვა გმინვა ბედშავი დედის:
არწივს მიჰქონდა იმისი ბავშვი!

დიდხანს ხედავდა თვალდაწრეტილი,
გაქრა საფენი ბედშავთა ვაჟის,
მაგრამ ჯერ კიდევ ჩანდა წერტილი
ბროლივით წმინდა შორეულ ცაში.

დედამ თეთრებში ჩაკლა ნაღველი,
მაგრამ ცოდვისთვის, რაც დატრიალდა,
აროლაიდი—მძიმე სახელი
დაერქვა იმა მთათა ტიალთა.





თეოდორ ფონტანე

გორმ პირქუში

მეფე გორმი განაგებდა დანias,
განაგებდა ოცდაათი წელი;
ჰკუა უჰკრის მკლავმაგარს და ჯანიანს,
შევერცხლილა მხოლოდ მისი წვერი,
და წარბებიც შევერცხლილან მეფურად,
ბევრი დედა რომ შემოსეს თალხით:
პირქუშ შუბლზე რისხვის ნისლი ებურა,
და გორმ პირქუშს უწოდებდა ხალხი.

იარლები * სხედან გაშლილ მკერდითა,
ზის გორმი და შესცქერიან ძრწოლით.

ზის ძვლის სკამზე დიდი მეფის გვერდითა
დანებოდი თირა, მისი ცოლი.

ჰა, ერთმანეთს წყნარად ხელებს უწვდიან,
ჩვენებაა თუ წყალობა უფლის?

იღიბება, თითქოს სახე უცვლია! —
გორმ პირქუშო, რამ გაგიხსნა შუბლი?

ძირს, დარბაზში, დაქრის მათი ოცნება
ყრმა ჰარალდი — იმედია ტახტის!
ღმერთსა სთხოვდნენ მათი ღლე და მოსწრება,
და ის ახლა ბურთით ხელში დახტის.
თმახუჭუჭა, ტანად — საროტანია,
ძვირფას სამოსს ადგას შუქი მწველი,
ყრმა ჰარალდო, შეგხაროდეს დანია,
შეგისრულდა ღღეს თხუთმეტი წელი.

სიყვარულით შეჰხარინან ორთავე,
მხოლოდ დედას ეკუმშება გული;
მეფეს წითელ მოსასხამით მორთავენ,
მაგრამ ხვდება გულზე მისი თქმული.
დგება გორმი, პორფირს ისხამს ტანადი,
დაუცურდა... ისმის სიტყვა მქისე:
„ვინც მეტყვის, რომ მოკვდა ჩემი ჰარალდი,
ფიცით ვიტყვი, თვით მოკვდება მყისვე“!

გადის დრო და სტუმრად მოდის მაისი,
სამას ხომალდს გაუშლია აფრა,
ყრმა ჰარალდის სიმღერის ხმა გაისმის

და გარშემო იფანტება ზაფრა.
ყრმა ჰარალდის ხმა მიჰყვება ნიავექარს,
და ხომალდი ცისფერ ზვირთებს სერავს;
ნისლი ფარავს უკანასკნელ იალქანს,
ნისლი ფარავს გორმ პირქუშის მზერას.

გადის დრო და შემოდგომაც მოვიდა.
დაღვრემილა ნაპირი და ზუნდი;
მოირწევა სამი გემი შორიდან,
დაქანცულა არწივების გუნდი.
ყოველ გემზე შავი დროშა ფრიალებს,
სისხლში ცურავს მეფისწულის გვამი;
ვინღა დაცლის შხამით სავსე ფიალებს?
ვინ გაბედავს მოკლას გული მამის?

მიდის თირა დანებოდი ნაპირთან,
ნახა შავი ალაში და აფრა;
მე ვეყტვიო მეფეს ამბავს, — დაჰპირდა,
და ჩაიკლა უსაშველო ზაფრა.
სამკაულებს იხსნის თავის დაღებით
და თმებს იშლის, ნიშნად დიდი სევდის,
თეთრებს იხდის, იმოსება თალხებით
და სამეფო დარბაზებში შედის.

დარბაზებში დადის ტანის რხევითა,
ძვირფას ნოხებს აპყრობს თვალთა ხედვას;
შავ ხალიჩებს ჰკიდებს თავის ხელითა
დედოფალი, უბედური დედა.

პირქუშ დარბაზს ისეც ფერი არ აძევს,
ეს კი თორმეტ ფერმკრთალ სანთელს ანთებს,
შავ და მძიმე ძაძით ფარავს სავარძელს,
შავად ფარავს სვეტებს, როგორც ლანდებს.

აი მოდის გორმ პირქუში ბარბაციო,
ველარ ამჩნევს მოციმციმე სანთლებს:
კოშმარვით ხვდება შავი დარბაზი.
მღუმარებენ, სიტყვას ვინა ჰკადრებს!
„მომენატრა, — ამბობს, — ქარი ორპირი,
სულს მიხუთავს აქ ჰაერი ცხელი;
მომაწოდე ჩემი ოქროს პორფირი,
მომაშველე, დედოფალო, ხელი!“

მოახურეს მოსასხამი მზარავი,
არც წითელი, არცთუ ოქროს დარი.
და თქვა: „რასაც აქ არ ამხელს არავინ,
თვითონ ვიტყვი: ჰარალდია მკვდარი“.
ასე თქვა და მკვდარი დაბლა დაეშვა.
სასახლეში ატყდა ქარი მძაფრად,
დედის ხელიც გაეყინა კაეშანს,
და სანთლებიც დაეშრიტა ზაფრას.

არჩივალდ დუგლასი *

„შვიდ წელს ვეხეტე უცხო მხარეში,
როგორ მომწყინდა, ო, ხეტიალი!
ბალიც მეჩვენა სიმწუხარეში
უდაბური და ოხერ-ტიალი.

მინდა ვეახლო მეფეს ხელახლა,
არ მომაყენოს იქნებ ზიანი;
მოხუცს ღირსების ახლად შელახვას
აღარ აკადრებს ალბათ სვიანი.

თუკი ოდესმე გული სტკენია
და დღემდე ძველი ბრაზით აქვს სავსე,
დე, მოხდეს ის, რაც მოსახდენია,
მოხდეს და რისხვა დამატყდეს თავზე“.

დუგლასს მამულის ხილვა ალაღებს,
ტყეში უნახავს სიმშვიდე სრული,
ზის და გასცქერის წარმტაც სანახებს,
თან ეკიდება თვალებზე რული.

მწირის სამოსით მორთულა გრაფი,
ჩაჰქანგებია ჭაჭვი ჭალარას.
ჩუ! ეს ვინ მოქრის ისარზე სწრაფი,
ვინ ახმიანებს ბუკს და ნალარას?

ანაზღად ბული ავარდა სქელი,
მტვერში ეხვევა ბუჩქი და ქაცვი,
ვიდრე გასწორდა მოხუცი ქველი,
მოზღვავდა ცხენი, ძალლი და კაცი.

დგას იაკობი, დასცქერის რისხვით,
და ესალმება დუგლასი მდაბლად;
მეფეს ევსება თვალები სისხლით,
გრაფის სიტყვა კი იქცევა თაფლად:

„ჩემო ხელმწიფევ, ასე ნუ წყრები
და მოთმინებით მომაპყარ თვალი;
თუ აგეშალნენ შენ ჩემი ძმები,
მე არ მიმიძღვის ამაში ბრალი.

არ გაიხსენო დუგლასთა მტრობა,
შური და ომი დასჯილი კაცის;
ჯობს გაიხსენო შენივე ყრმობა,
როცა მუხლებზე გარწევდი ყმაწვილს.

ჯობს გაიხსენო სტირლინგის ბურჯი,
სადაც მემკვიდრე ჩემთან იზარდა, —
ავლაგმე მამის მერანი ურჩი,
გასწავლე გათლა ფრთამალ ისართა.

ჩიტებს დასდევდი პატარა ბავშვი.
შენ იყავ ჩემი ფიქრი და ურვა;
ნავის ტარება გასწავლე ტბაში,
თევზების ჭერა, ხტომა და ცურვა.

ო, გაიხსენე, დაფიქრდი ცოტაც,
ნუ მიმზერ ასე უწყალო რისხვით;
შვიდი წელია ვინანებ ცოდვას,
რომ ვარ ღუგლასი ხორციით და სისხლით“.

„მე შენ არ გხედავ, გრაფო არჩიბალდ,
არ მესმის შენი ურიგო როტვა;
ასე მგონია, ვისმენ საჩივართ,
მესმის შრიალი გარდასულ დროთა.

მესმის შრიალი ტკბილი და მწველი,
თითქოს ტყემ უნდა ზღაპარი თქვასო,
და ზოგჯერ ზარი გუგუნებს ძველი:
„აჰ, შენ წინაშე ღუგლასი დგასო“!

მე შენ არ გხედავ, არ მესმის შენი.
და არაფერი არ ვიცი მეტი!
ვიცი—ხმალია ღუგლასთა ძღვენი,
ვიცი—დაიწვა ღუგლასთა ბედი“.

აჰ იაკობმა დეზი ჰკრა მერანს,
მწვერვალისაკენ გზას იჭერს ახლა;

აღარ აცილებს დუგლასი მზერას,
სადავეს უჭერს, მიჰყვება მაღლა.

გზაა ფრიალო, მზეა უწყალო,
უჭერს აბჯარი, უწყდება ქანცი;
როგორც მაშვრალი ხარი უცალო,
ნაბიჯს უმატებს მოხუცი კაცი.

„მე სენეშალი* ვიყავი შენი,
არ მსურს დიდება გარდასულ დღეთა,
მინდა დღეიდან გავბანო ცხენი,
ლამე ვათიო შენსავე ცხენთან.

მზად ვარ ვაჭამო, ვასვა, ვეფერო,
ვთიბო ბალახი ათასნაირი,
ოღონდ ვისუნთქო ახლად, მეფეო,
ჩემი სამშობლო ქვეყნის ჰაერი!

და თუ არა გსურს, დროს ნულარ ვკარგავთ:
გიძღვნი მადლობას, თუ გული გერჩის:
იშიშვლე ხმალი, დამიხვდი კარგად,
და გამიყარე მახვილი მკერდში!“

ანაზღად მეფე გადახდა ცხენით,
დაშვენდა თვალთა აციმციმება;
იძრო მახვილი ძალუმი ხელით,
მაგრამ მოქნევა კი არ ინება:

„გქონდეს, ატარე ღირსების ფარად,
აღარა მტანჯავს ეჭვი მგესლავი!
ვიცი, ერთგული იქნება მარად,
ვისაც სამშობლო უყვარს შენსავით.

ცხენი! ბილიკი მევიწროება.
ლინლითგოვში ვართ მე და შენ ჯერაც!
მაშ გავიხსენოთ ძველი დროება,
მასწავლე ტბაში თევზების ჭერა“.

ბარბარა ალენი

ეზოში რომ ყვითელ ფოთლებს აშრიალებს,
შემოდგომის ქარებია, ჯონ,
ჯონ გრაჰამი ავად გახდა, კვდება კაცი,
რადგან ლედი ჰყვარებია ჯონს!

მომაკვდავს რომ ეხვევიან მსახურები,
თვით ბარბარას დაუძახონ, ჯობს:
„აჰ, ბატონო კვდება შენი სიყვარულით,
მოდო, ლედი, უსაშველე ჯონს!“

მარმარილოს კიბეებზე ადის ნელი —
ნეტავ, ადრე ეხმო ლედი ჯონს!
დგას ლოგინთან და ჩასძახის წყნარად ქალი:
„შენ მიხმე და მეც მოვედი, ჯონ“.

„ჰო, მე გიხმე, შემოდგომა დადგა ჩემი,
და ფოთოლი უკვე ცვივა ძირს,
მე ვკვდები და ხომ არ გინდა მითხრა სიტყვა,
ლედი, ვიდრე მივეცემი ძილს?“

„მინდა გითხრა: შენ ხარ ჩემთვის ყველაფერი,
მაგრამ ვერსად განვაცხადე, ჯონ;
შენ საჩუქრებს არიგებდი ყველა მხარეს,
მე კი ღირსად არ გამხადე, ჯონ.

ჯონ, მიყვარდი, მთელ ქვეყანას განაცვლებდი,
ჩამიყენე თვალში ბინდი, ჯონ:
შეგხედავდი, იცინოდი, დამციხოდი
და სიცილით ჩამივლიდი, ჯონ.

დღეს ვიცვალეთ, სიყვარულის ნერგებივით.
გაზაფხული აღარ არის დღეს,
შენ ისურვე და შენი მზე ჩასულია,
მე მალლა ვარ და შევხარი მზეს“.

გამობრუნდა... ცოტა კიდევ გაიარა —
ზარის ხმები ეფინება გზას.
ლელი ამბობს: „ჯონისათვის რეკავს ზარი,
და მეც ახლა მირეკავენ ზარს.

ჩემო დედავ, ახლა ლოგინს თუ გამიშლი,
მწვანე ველზე, იფნის ძირას ჯობს,
დღეს სადამოს ჯონ გრაჰამი მოკვდა ჩემთვის,
და მე დილით ვესტუმრები ჯონს“.



„ჯილბერტო?“ — ეკითხება გამვლელსა და
გამომვლელსა.
დასცინოდნენ, მაგრამ ბოლოს ესმა ლონდონს
მისი კვნესა.
„აქ ათასი ჯილბერტია! რომელს ეძებს, ნეტავ,
ესა?“ —
საჭმელ-სასმელს სთავაზობენ — არც ჭამა და არც
რა შესვა.

„ჯილბერტ!“ „ჯილბერტ!“ მეტი სიტყვა აღარ
იცი, ქალო, არა?
იქნებ ეს ის ჯილბერტია, ბეკეტი რომ ჰქონდა
გვარად?
შებოჭილი, განწირული სარკინოზთა წინა მდგარა,
და ემირის ქალმა იხსნა? ჯილბერტ ბეკეტს უხმეთ
ჩქარა!“

შფოთავს ხალხი, მომხიბლავი სარკინოზიც დგას და
ზვერავს.
აი, მოდის, აცისკროვნებს არაბ ქალის თვალთა
მზერას;
წაიყვანა პატარძალი—მწირის სახლი ჰგავდა
სერალს!
სიყვარული ორი სიტყვით ზღვებს და ქვეყნებს
გადასერავს.

ეტიკეტის მახვილი*

მეფემ თქვა: „ჰუგო, ჩემო რაინდო,
ჩემთვის დაგემსხვრა ელვარე ხმალი;
ოლონდ მოსისხლე მტერს ნუ დაინდობ,
გერტყას, რომელმაც მოგტაცოს თვალი“.

განვლო რაინდმა დარბაზი ფართო.
უსმენს დარაჯი, დუმილს ჩვეული:
იმპერატორმა ხომ ნება დართო,
შეირტყას ერთი ხმალი რჩეული!

ყველა მახვილი ქების ღირსია,
და მაინც სინჯვით არის გართული:
„მითხარ, ის დიდი ხმალი ვისია,
ტლანქი, ძალუმი და წარმართული?“

„მტარვალ ეტცელის, იმ უფლის რისხვის!
ო, ხელით აღარ ასწიო სნება!“
..ჰუნთა მეფისა? მაშ დღემდე სისხლი
სწყურია, ვფიცავ პატიოსნებას!“

..დადე! მან ბევრი დედა ატირა,
მკვლელს გაღვიძება აროდეს უნდა!“
..მომეც! დიდება სდევდა ატილას,
ძლევას მომიტანს მახვილი ჰუნთა!“

და ისევ მიჰქრის ბრძოლის ხანძარში:
„ეტცელის ხმალო, დუმილი გწყინდა,
ახლა იხილე რისხვის განგაში,
დალიე სისხლი, რამდენიც გინდა!“

სვამს, არა ძლება, ცელავს და ცელავს.
ეტცელის ხმალი აცხრება გუბეს,
ვიდრე დაღლილი მზე აღწევს მწვერვალს
და თავს აფარებს აღისფერ ღრუბელს.

შეფაკლულ მთვარეს სიკვდილი ყინავს.
მდუმარე მთები სვეტებად დგანან...
დაღლილი ჰუგი ჰკითხავდა რკინას:
„ეტცელის ხმალო, გაძეხი განა?“

კმარა! ახლა კი გვეყოფა დღესა!
კმარა! გვამები დამდგარან მთებადა!“

ეტყელის ხმალი სიკვდილსა სთესავს,
ცელავს და სერავს, რაც კი რამ ხვდება:

„კმარა“—არ ესმის ფოლადს ვედრება;
ისმის დაცემულ ჰუგის ძახილი;
და თვითონ პატრონს მკერდში ეყრება
გაუმადლარი ჰუნის მახვილი.





დეტლევ. ფონ? დიდიენკრონი

ახალი რკინიგზა

თავის ქალამ თქვა: „მე ვარ ძველი ამბასადორი *,
ვარ ბარონი და შუაქაცად ვიყავი მაშინ,
როცა დანიამ ზავი შეკრა ჰოლანდიასთან.
ვინ არყევს ჩემი მარმარილოს სამარხის კედლებს?
ვინ ამხსნა ჭაშა? ხომ არ დადგა განკითხვის ქამი?
ნუთუ ამ ჩემი მსახურების უბირმა გვარმა,
უჯიშო ყმებმა უნდა მომხსნან ცისფერი ბაფთი,
ცისფერი ბაფთი ამ სამეფო სპილოს ორდენის?
და ჩემი მეფის, სახელოვან ფრიდრიხ მეხუთის,
სვებედნიერი, გულმოწყალე ბატონის სახე,
ამოკვეთილი სპილოს ძვალზე, ჩემსავე გულზე

მისივე ხელით დაბნეული წყალობის ნიშნად,
უნდა წამართვან ამ უჯიშო არამზადებმა?“

მაგრამ რკინიგზის გამყვან მუშებს რა ესაქმებათ!
მათი ვალია განსხვისება სასაფლაოსი,
უკმაყოფილო თავის ქალას სიცილს აყრიან,
მეფის სურათს კი გაუთლელი ერთი მათგანი
ძველ ბალაგანში ჩოფურა ქალს აძლევს საჩუქრად,
ის კიდევ არაყს დაუსხამს და ლოგინს გაუშლის,
ხოლო კვირა დღეს სამკაულად დაიბნევს სურათს
და საცეკვაო საღამოზე ეწვევა მუშებს.

ქალა იძახის: „მე ვარ ძველი ამბასადორი,
მე ვარ ბარონი და დესპანად ვიყავი მაშინ,
როცა დანიამ ზავი შეკრა ჰოლანდიასთან“.

მაგრამ საბრალოს დესპანობა ვერაფერს შველის,
მთვრალი მუშები ბარ-ნიჩბებით აგდებენ მაღლა,
გდია ქვიშაში, საზიდარზე, ხრეშის გროვაზე.
და უგნურები მუშტის ცემით აბურთავენ.

ქალა იძახის: „მე ვარ ძველი ამბასადორი,
მე ვარ ბარონი და დესპანად ვიყავი მაშინ,
როცა დანიამ ზავი შეკრა ჰოლანდიასთან“.

საბრალო ბარონს დესპანობა არაფერს შველის,
ბოლოს დაღლილნი მკვდარ კატასთან აგდებენ
თხრილში.

ქალა იძახის: „მე ვარ ძველი ამბასადორი.
ვარ ბარონი და შუაკაცად ვიყავი მაშინ,
როცა დანიამ ზავი შეკრა პოლანდიასთან“.
საბრალო ბარონს ეს არ შველის: სტვენით,
კივილით
ფარავს ბედშავის ხმას პირველი მატარებელი.





ვიღჭედმ ბუში

მ კ ვ ე ს ა რ ა


ბნელ კუთხეში, სადაც ყრია
ათასგვარი ნივთი,
ქველ ნაგავში, რასაც ქვია
უსარგებლო ტვირთი;
ქველმანებსა, ჯღანებსა და დამსკდარ ქოთნებს
შორის,
სადაც ღორი ღრუტუნებდა, იდგა სუნი შმორის,
ტრაბახობდა ერთი ცალი გაცვეთილი ჩექმის,
ერთ ღროს მხედრის ფეხსაცმელი, დღეს რომ
ჯღანი ეთქმის.
დადგა, სიტყვა აიღო და მოჰყვა ურცხვად კვეხნას:
თავის გმირულ ლაშქრობას და მტერთან მძიმე
შეხლას.

„ჰაი, მაშინ! მე და ჩემი ამხანაგი ერთად!
გაწმენდილნი, გავაქსულნი ზარსა ვცემდით
მტერთა!

მოციმციმე დეზებით და
მოჭედილი ქუსლით,
ჩახსოვს, ქუჩებს ვარყევთ ხოლმე,
მტერს ევლება მუსრი!
ვაშა, ვაშა! ეს ომია! გამარჯვება სრული!
თუ არადა ერთიც ნუღარ გადარჩება სული!
ჩვენს ასისტავს ხელთ ეჭირა შემართული ხმალი,
მაგრამ რომ არ მომეხადა მე იქ ჩემი ვალი,
მე რომ დეზი არ დამეკრა ცხენისათვის მარდად,
ვერთის ბრძოლა წაგებულნი გვექნებოდა ნაღდად“.
სწორედ ამ დროს ბნელ კუთხეში გაჩნდა ტლანჭი
ცოცხი,
ელდის ქარმა აიტანა დიდგული თუ მორცხვი.

„ჩუმაღ ეგდე! — შეუძახეს. -- ნუ იწევი მალა,
ვის რად უნდა, რა იყავი,
ვხედავთ, რაც ხარ ახლა!“
შეისროლეს, და ოდესღაც გავაქსული კობტად,
ახლა დეზებდაქანგული, ნაგვის ყუთში მოხვდა.





გუსტავ ფაღკე

მომაკელი ქალი *

ქვრივის პირმშოს ედებოდა მძიმე ბრალი,
გრაფმა უთხრა: „გაჭირდება შველა შენი!
ხვალვე დილით გავისტუმრო მინდა ვალი:
სახრჩობელა დავდგა შენი შესაშვენი“.

ქვრივმა დედამ რომ შეიტყო განაჩენი,
შეიცხადა: „ღმერთი ფუჰად მწამდა განა?
გრაფო, გართობს ამოგდება განა ჩვენი?
ვაი, გრაფო, ესლა დამრჩა სამთაგანა!

ერთი შვილი ხომ წამართვა შავმა ტალღამ!
მამის წერაც ეს ყოფილა—ზღვასთან შებმა!
ერთსაც შონენს * თეთრი თოვლი ექცა თალხად—
შვეციაში დამიმარხეს შენმა მტრებმა.

ეს ნუგეში დამრჩენია ახლა მარტო,
გევედრებით განსაცდელი ამაცილოთ.
შემიბრალე, სახრჩობელა არ აღმართო
შბედური ქვრივი დედის სამარცხვინოდ!”

გულს ვერ უღბობს ზვიად ბატონს ცრემლთ ცხვლთ,
ცხენს მოახტა, მზეს გახედა, გაერიდა,
გრაფის სამოსს ჩაეჭიდა დედის ხელი,
თან მიჰყვება ვედრებით და ვაეებითა.


გრაფი ამბობს: „ახლა მზეა შუა ცაზე;
ვიდრე ჩავა, მომკე ჩემი სამი ყანა,
მეც მამებ და დაიხსნი შვილსაც ასე.
ხომ გაიგე? უწყალოა გრაფი განა?“

და დეზი ჰკრა ცხენს ასეთი ხუმრობითა,
ყმების თხოვნა როდის შეუწყნარებია!
დადგა მწუხრი, შინ ბრუნდება სტუმრობიდან,
და რას ხედავს! სულ მომკილი ყანებია!

მწიფე ქერი დაწყობილა დაბლა ძნებად,
რა შრომაა გაწეული, რა ფიცხელი!
იქ, მესამე ყანის პირას ვინა წვება?
რად შეჩერდა და ფრუტუნებს გრაფის ცხენი?

მომკილ ყანას ვერა სწვდება თვალთა ხედვა,
ერთი ღეროც აღარა ჩანს ნამჯის ზღვაში,
იქვე გდია ნაწვერალზე მკვდარი დედა,
მაგრამ გრაფმა შეიწყალა მისი ვაჟი!





სტეფან გეორგე

ს ი მ ლ ე რ ა

პირტიტველა ჳაბუკი
ტყეში წახეტიალდა,
უკან ველარ დაბრუნდა,
ისე დარეტიანდა.

დაექებდა სოფელს,
არ ეძინა წამითა,
კვალსაც ვერსად მიაგნეს —
დაილუპა, წავიდა.

გადის შვიდი წელი და
გრთხელ .დილაადრიან

კვლავ სოფელში გამოჩნდა,
მოჩვენებას ადრიან.

ვინა ხარო, ჰკითხავენ,
უცხოა და მზარავი,
მამაც მოკვდა, დედაცა,
სხვა არ იცნობს არავინ.

გასულ კვირას მეც მოვხვდო
ტყის ჯადოსნურ ნადიმზე
და გონებას მირყევდა
მათი მთვარე, მათი მზე.

თეთრებს, ოქროსთმიანებს
ჰქონდათ დიდი ღრეობა
მზეც იქ იყო, მთვარეცა,
მთები, ტბა და ხეობა.

ოცინოდნენ: არ გისვამს
ღვინო დილაადრიან.
აბარებენ საქონელს,
გადარეულს ადრიან.

გარეკავს და დაჯდება,
დუმილია მზარავი,

შღერის გვიან ღამეძღღე,
ხმას არა სცემს არავინ.

მხოლოდ ციღა ბავშვები,
ავღარი თუ ღარიღა,
ბანს აძღღევენ საბრაღღოს,
თუმცა უკვე მკვღღარია.





პაუღ ცეხი

ბრმა ცხენის ბალადა

შავ ღობეზე შავი ღამე ისე მწარედ არა ტირის,
როგორც ტირის მალაროში უსინათლო შავი ცხენი:
ვერასოდეს ვერ იხილოს მწვანე ფარჩა მიწის პირის,
რა მძიმედ და უღიმღამოდ ღამდებიან მისი დღენი!

ქვების შავი ხორცის მიღმა გრძნობს სიკვდილის
თვალთა ხედვას,
და თვითონაც აშტერდება თავის ჩამქრალ
თვალებითა;

ქვეყნად ერთი სიკვდილი გრძნობს მის დარღსა და
ჰაპანწყვეტას,
დაიქანცა მასთან ერთად ამ ნახშირის ტარებითა.

ბავშვი ცდილობს ასეირნოს, აგრძნობინოს მცირე
შეება,
პურს და შაქარს მიაწოდებს, მაგრამ ხიბლავს განა
ძღვენნი?
...არა, სხვათა ცხენებივით ვერ იცინებს მისი ცხენი.
შავი ღამე ბურღავს იმის თვალებსა და შიგვე
რჩება.

მხოლოდ ერთხელ შედგა ყალყზე თავი იგრძნო
ჩანდა, ველად,
რომ იყნოსა მალაროში სურნელება ნედლი ხისა.
შეხტა, ზეცას შესჭიხვინა, იცნო ძალა შმაგი ხმისა,
გაიჭრა და ვინც კი შეხვდა, მტვერში დასცა,
გადათელა.

შავ ღამეში მთებს მიმართა, მსგავსად ქართა და
ისართა,
ფლოქვენებიდან ნაპერწკლები ცეცხლის ზოლად
იშლებიან,
საყვირები ხმიანობენ—გასაჭირის ნიშნებია,
მაგრამ ცხენი უსინათლო თითქოს ასჯერ
გაიზარდა.

თითქოს შავი ლაბირინთის ბურუსს გაუხელებია,
კლდოვან კიბეს ჩაიჭროლებს, ტორებსა სცემს
გამეტებით,
და ჭიხვინით მიჰქრის დაბლა, უკან დარჩა მწვანე
მთები,
ჩადის ველზე, სადაც ლალი დაღუპული ცხენებია.







უნივერსალი

საბჭოთა საქართველო

ბიბლიოთეკა



შენიშვნები და საძიებელი
შედგენილია მთარგმნელის მიერ



შენიშვნები

იმპერატორი ბარბაროსა — საღეთო რომის იმპერიის ცნობილმა იმპერატორმა ფრიდრიხ I ბარბაროსამ (წითელწვერამ) სიბერეში მონაწილეობა მიიღო მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობაში და დაიღუპა სელევიკის ახლოს, კალიკადნასა თუ სალფის წყლებში. გადმოცემით, მისი გვამი კიფჰაიზერის მღვიმეშია დასვენებული და ღრმა ძილს მოუცავს, მაგრამ როცა გაიღვიძებს, გერმანიას იხსნისო.

ბატონი ტიდმანი — ამ დანიური ბალადის გერმანული თარგმანი ფრიდრიხ ენგელსს ეკუთვნის. 1885 წელს ერთმა გამომცემლობამ შლუტერის პირით ენგელსს სთხოვარევოლუციური ლექსების ექვსტომიანი გამოცემისათვის რაიმე შესაფერისი ლექსის მიწოდება. ენგელსის პასუხში წერია: „უცხოურიდან მე ვიცი მხოლოდ ერთი მშვენიერი ძველი დანიური სიმღერა ბატონ ტიდმანზე, რაც ბერლინის „სოციალდემოკრატიაში“ ვთარგმნე 1865 წელს“.

ქართულ ენაზე ეს ბალადა პირველად თარგმნა პოეტმა და ბალადის მკვლევარმა გიორგი კალანდაძემ (დაიბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში“).

თინგი (Thing)— ძველი გერმანული სიტყვაა, დაახლოებით ქართულ საჯამათოს, სამსჯავროს ან სახალხო კრებას აღნიშნავს.

უფლისწული და მეფის ასული (Königskind) — პირველად ჩაწერეს XV საუკუნეში, თუმცა სამიოდე საუკუნით ადრეც იყო ცნობილი. მეტიც: ასე ტრაგიკულად დაღუპული ქალ-ვაჟის ამბავი ანტიკური დროიდან მოდის. მსგავსი ამბავი ყველაზე მომხიბლავად აისახა ქართულ ხალხურ ბალადაში „თავფარავნელი ქაბუჯი“. იგივე სიუჟეტი „ჭერო და ლეანდრეს“ სახელწოდებით (სწორედ ანტიკური თქმულება) დამუშავებული აქვს შილერსაც (ქართულად თარგმნა ხარიტონ ვარდოშვილმა).

„მერცხლებს მუსრი რომ გამოელოს...“ ერთ ვარიანტში აქ ლაპარაკია კურდღლებზე („Er fängt ja alle die Hasen“) მეორეში — ჩიტებზე: („he schütt woll alle de vügel“) პირველი სამხრეთ გერმანულია, მეორე ზემო და ქვემო გერმანული (ულანდისეული).

პამელელი მუსიკოსი (დედანში Rattenfänger ვირთხების დამჭერი) — ცნობილი ხალხური გადმოცემაა, რაც ჯერ „ყმაწვილის ჯადოსნური ბუჯის“ შემდგენთ დაამუშავეს, მერე — გოეთემ.

პამელნი — ქალაქია ქვემო საქსონიაში, მდინარე ვეზერზე. მაგისტრატი — ქალაქის თვითმმართველობა.

ლორელი ანუ ლორე (ლურე ლაი) — ამ ჯადოქარი ქალწულის ამბავი თითქოს რაინის ტალღებს შეზრდია დასაბამიდან და ფაუსტზე არანაკლებ პოპულარულ სახედ ქცეულია. ლორე — ჯადოქარია, ოქროსთმიანი მაცთური. ნაწილობრივ ის იმავე საქმეს აკეთებს, რასაც ძველი ქართულ-სვანური დალი: ხიბლავს და მერე ღუბავს რჩეულ ვაჟაკებს — ცხადია, სხვა გარემოებაში.

სახელი წარმომდგარია ძველი საქსური სიტყვიდან „ლაი“ — „კლდე“. ლორე ლაის ეძახიან დღესაც ნაოსანთათვის საშიშ კლდეს, რომლის გულშიაც ასი წელია გადის 367 მეტრის სიგრძის სარკინიგზო ხაზი. რაკი ეს კლდე უცნაურ გამოძი-

ხილნაც იძლევა, ამჟამად ამ თქმულების წარმოშობის მიზეზი.

ლორელაის სახის დამუშავებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან ხალხი და პოეტები: ბრენტანო, აიხენდორფი და სხვები. ჰაინეს „ლორელაიმ“ ყველა სხვა ცდა დაჩრდილა და სახალხო სიმღერად იქცა.

„ბატონი ფონ ფალკენშტაინი“ — პირველად XVI საუკუნეში გამოქვეყნდა „მფრინავ ფურცლებში“. აქ მოკლელაა ნაჩვენები ფეოდალთა ძალმომრეობისა და მოულოდნელი „წყალობის“ ამბავი.

„მწვანე ტყეში დადიოდნენ...“ — ქესენური ხალხური სიმღერაა.

ვაინსბერგელი ქალები (Weinsberger weiber: („ვაინსბერგელი ცოლები“ არაა სწორი თარგმანი: ქმრების გარდა მათ იხსნეს შვილებიც, ძმებიცა და მამებიც). აქ მოთხრობილი ამბავი ნამდვილად მოხდა 1140 წელს და დამუშავდა გვიან რამდენიმე ავტორის მიერ. ყველა დაჩრდილეს ბიურგერისა და შამისოს ბალადებმა. ქართულად თარგმნილია ბირკენის მიერ დამუშავებული თავდაპირველი, ხალხური სახე.

ველფები — ფეოდალთა ძლიერი გვარი იყო XII საუკუნეში, ებრძოდა იმპერატორს.

მშვენიერი ლილოფეა — მსგავსი ამბავი მოთხრობილია ბიბლიაშიც. ჩაწერილია XV ს-ში. სიღვზისა და ბრანდენბურგში ამ ბალადის მრავალი ვარიანტია ცნობილი. ერთ ვარიანტში წყლის კაცი კლავს ლილოფეას (აგნესას), რომელმაც არ ისურვა ზღვაში დაბრუნება.

„ყმაწვილის ჯადოსნური ბუკი“ — 1805 წელს გერმანიაში გამოვიდა მშვენიერი, უკვდავი წიგნი — ათასამდე ხალხური სიმღერა და ბალადა, შეკრებილი ახიმ ფონ არნიმისა და კლემენს ბრენტანოს მიერ. წიგნი იხსნება „ჯადოსნური ბუკით“. მშვენიერი ყმაწვილი ცხენით მოეარდება სასახლეში და შეფეს გადასცემს ჯადოსნურ საყვირს, სპილოს ძვლის ბეკს, რომელზედაც დაკიდებულია ასი ოქროს ზარი. ყოველი მათგანი ხელის შეხებაზე გამოსცემს ისეთ წკრიალა ხმას, რომ რა

სათქმელია ჩიტის, ქნარის, მგოსნისა თუ ქალიშვილის სიმღერის ხმა! გადასცა და წავიდა. ეს ბუკი სიმბოლოა იმ პოეტური მარგალიტებისა, რომელთაც გერმანულ ბალადებს ეძახიან. ვინც გერმანიას მხოლოდ ამ ბალადებით გაეცნობა, თვალწინ დაუდგება იღუმალებით მოცული ზღაპრული სამყარო, სადაც დაფარფატებენ ფრთამოხატული ელფები, მღერიან მეოცნებე ქალიშვილები, მიცვალებული საქმრო სიცოცხლით სავსე საპატარძლოს ესაუბრება, ტყის მეფე კუდს აქნევს და მწვანე ველზე ფერიები გიჟურ ფერხულს უვლიან. ეს კრებული ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა ხალხურ საუნჯეს შეკრება და დამუშავება.

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი (Tannhäuser)— ისტორიული პიროვნებაა, ბავარიელი რაინდი და მინეზინგერი, ცხოვრობდა 1205 — 1270 წლებში. ხალხურ თქმულებათა ნისლში გახვეულ ტანჰოიზერს ვაგნერმა ოპერა უძღვნა, ჰაინემ კი — სატირული პოემა, რომელშიაც შენარჩუნებულია ხალხურის რიტმი და ფორმა. დაამუშავეს ტიკმა და ბრენტანომაც — ნაკლები წარმატებით. ხალხური „ტანჰოიზერიც“ სატირული ხასიათისაა. წარმართ ვენერას რაინდი — სატრფო „ემშაკუნას“ უწოდებს (Teufelinnen), ხოლო პაპს—„ბატონს“ (Herr Papst, geistlicher Vater mein).

ბ ა ვ ა რ ი ე ლ ი ჰ ი ზ ე ლ ი—ზემოგერმანული ჰიზელი შგ-მოკლებული ფორმაა სახელისა „მათიეზელ“ (Matthiesel).

შ ვ ა რ ტ ე ნ ჰ ა ლ ს ი — ზედწოდებაა და „თავზე ხელაღებული კაციც“. ბალადა ჩაწერილია 1550 წელს.

„ლ ე ნ ო რ ე“ — „სახელგანთქმული ბიურგერისეული ბალადა“, როგორც პუშკინმა უწოდა, ხალხურ წყაროდან მოდის, პოეტმა მოისმინა სიმღერა მკვდარ საქმროს საუბარზე დანიშნულთან, დაამუშავა და დასაბამი მისცა ახალ გერმანულ ბალადას.

რუსულ კრიტიკაში მთელი დისკუსია იყო ამ ბალადის ეტიოვსკისეულ და კატენინის თარგმანზე. კატენინმა სწორედ შენიშნა ადრეულ თარგმანში ბიურგერის მგამბოხური სულის-

კვეთების მიჩქმალვა და თვითონ თარგმნა. ახლა ლევიის თარგმანს აქვეყნებენ ხოლმე.

„მოსწყინდათ ომი“... ლაპარაკია ფრიდრიხ დიდის ლაშქრობაზე პრალაში გამაგრებული ავსტრიის საიმპერიო არმიის წინააღმდეგ 1757 წელს. ფრიდრიხის ას ჩვიდმეტიათასიანმა არმიამ ჯერ დაამარცხა ავსტრიელთა ოთხმოცდაათათასიანი არმია, მაგრამ პრალა ვერ აიღო. მალე ავსტრიელთა ფელდმარშალმა დაუნმა მეფე აიძულა ალყა მოეხსნა. მსხვერპლი ორივე მხრივ ათიათასობით დაითვლებოდა. ავსტრიის იმპერატორმა მარია-ტერეზიამ ამ გამარჯვების სახსოვრად საგანგებო შედელი გამოაქრევიანა.

„ტყის მეფე“ — ეს საქვეყნოდ ცნობილი ბალადა არაა იმ პოეტის მოგონილი, რომელმაც ის უკვდავყო: ამ დანიურ ბალადას გოეთე გაეცნო ჰერდერის კრებულიდან, მაგრამ დატეწა და აამაღლა.

„ხელთათმანი“. აქ მოთხრობილი ამბავი ნამდვილად მოხდა ფრანგთა მეფის ფრანცისკ პირველის სასახლეში. შილერმა სიუჟეტი აიღო სენ-ფუას „ისტორიული შენიშვნებიდან“ და ბალადას უწოდა „თასის“ პატარა პროლოგი. მაღამ დე სტალი არ დაეთანხმა ფინალის გამო: უხეშობა არისო ბანოვანი ქალისათვის ხელთათმანის სახეში სროლა. შილერმა ერთ ხანს შეასწორა — ზვიადი ქალის ფერხით დაამხო რაინდი, მერე კი ისევ პირველი ვარიანტი აღადგინა.

უკანასკნელი ორი ბალადა პირველად თარგმნა ზ. ვარდოშვილმა.

„სამ ქვას უსმენს ზღვა ოსანი“ — დედანშია „სამი რაინდის ქვა“ (Dreiritterstein). ლორე ლაის სახელობის კლდესთან სამი კლდოვანი ბექობია აზიდული და ნაოსანთა ძახილს თითქოს სამნაირ ხმაზე პასუხობენ.

ამ ფიარაოს — აპოლონის ვაჟი, წინასწარმეტყველი, არგოსის მეფე, მონაწილეობდა კალიდონიის ნადირობაში, არგონავტების ლაშქრობაში და შეიღთა ლაშქრობაში თებეს წინააღმდეგ. იცოდა, ეს თავდასხმა საბჭდისწყვროდ დასრულ-

დებოდა. ასეც მოხდა. აპოლოიდი თავისივე სურვილით მიწამ შთანთქა და ღმერთების ნებით უკვდავებას ეზიარა.

დიასახლისის ქალიშვილი — ეს ფართოდ გავრცელებული სიმღერა, შეიქმნა ულანდისავე „პატარძლისა“ და ხალხური თქმულების შეერთებით.

„ბიდასოას ხილში“ — აღწერილი ეპიზოდი ესპანეთის ისტორიის ერთი საგმირო ფურცელია, ასახავს ნაპოლეონთან ბრძოლის სასტიკ ეამს.

ფრანსისკო მინა (გარდ. 1836 წელს) — ესპანელ პატრიოტი, იბრძოდა ნაპოლეონის დამპყრობელი არმიის წინააღმდეგ.

ბუზენტო — მდინარე სამხრეთ-დასავლეთ იტალიაში, კოზენცა — ქალაქი.

ალარიხი — ალარიხ I (395—410) — ვესტგოტების მეფე. 410 წელს აიღო და გაძარცვა რომი. გოტები — აღმოსავლეთ გერმანელთა მეომარი ტომი იყო. ჰუნებმა და სლავებმა შეაევიწროვეს IV საუკუნეში, დასავლეთისაკენ დაიხიეს და მრავალი ქვეყანა დაიმორჩილეს.

„გრენადერებში“ (1820) გამოჩნდა ოცდასამი წლის ჰაინეს გატაცება ნაპოლეონით, ეს მოხდა ევროპაში გამეფებული რეაქციის ზეგავლენით. გვიან პოეტი უფრო მკაცრი თვალით უყურებს იმპერატორს.

გუტენბერგი — აქ სიტყვის თამაშია: „სიკეთის მთა“. ღვივეა გვარი მაინცელი ოსტატისა, რომელმაც წიგნის ბეჭდვა გამოიგონა.

კირასირი — ძველი დროის მხედარი, ატარებდა სამკერდე აბარს — კირასას.

აროლაიდი (Aar არწივი, Leid ტანჯვა) — აქ ნახსენები ვალისი ადგილია შვეიცარიაში (ლათ. „ხეობა“).

არჩიბალდ დუგლასი — ბალადაში მოთხრობილია ისტორიული ამბავი. გმირი არჩიბალდ IV გარდაიცვალა 1438 წელს. იაკობ მეორე სასტიკად დევნიდა ამ გვარს, თუმცა მას

აღმზრდელ დეგლასს ძმების ამბოხებაში მონაწილეობა არ მიუღია. ს ე ნ ე შ ა ლ ი (ფრ. sènèchal, გერმ. sin ძლიერა. scalk მოსამსახურე) — მეფის მოურავი შუა საუკუნეებში.

ი ა რ ლ ე ბ ი (ნორვ.) — ნორმანთა დიდებულები.

ე ტ ც ე ლ ი — ჰუნების, თურქთა ამ ველური ტომის, მრისხანე წინამძღოლი, რომლის ურდომ კალიასავით გადაუარავერობას. გადმოცემით, მოკლა ცოლმა ქორწილის დამეს. შემდეგ ჰუნთა კავშირი დაიშალა.

ა მ ბ ა ს ა ლ ო რ ი (Ambassadeur) — ძველი კელტური სიტყვაა, ნიშნავს მაცნეს.

შ ო ნ ე ნ ი — ადგილია სამხრეთ შვეციაში.

მ ო მ კ ე ლ ი ქ ა ლ ი — ბალადაში მოთხრობილი ამბავი სინამდვილიდანაა აღებული.



აკტორთა საძიებელი

- ახუნდორფი, იოსებ ფრაიჰერ ფონ (1788—1857) — ცნობილი გერმანელი პოეტი, რომანტიკოსი, ნაპოლეონის წინააღმდეგ ომების მონაწილე. სახელი გაითქვა ხალხურ კილოზე გაწყობილი ლექსებით, რეალისტური მოთხრობებით („უქნარას ცხოვრებიდან“), დრამატული ზღაპრით „ომი ფილისტერებს“... დაწერილი აქვს აგრეთვე რომანი, დრამა, კომედია, გერმანული პოეზიის ისტორია. წოდებით ბარონი იყო. გვიან თავი შიანება სამხედრო სამსახურს, თარგმნა კალდერონი.
- არნდტი, ერნსტ მორიც (1769—1860) — ცნობილი გერმანელი პოეტი, პატრიოტი და სახელმწიფო მოღვაწე. ყმა გლეხის შვილმა აღრევე დაწერა „ზრომა პომერანიელ მემამულეთა წინააღმდეგ, რითაც მრავალი მებატონე გადაიკიდა. მაგრამ ამ წიგნმა „ზიჰია თომას ქოხის“ მსგავსი საქმე გააკეთა: შეეციის მეფემ წაიკითხა და გააუქმა ბატონყმობა თავის კუთვნილ პომერანიაში. გვიან არნდტი იბრძოდა ნაპოლეონის წინააღმდეგ და გერმანიის გაერთიანებისათვის. შეირთო შლაიერმახერის ასული და მიიღო პროფესორის კათედრა. 1848 წელს ახლდა იმ დეპუტაციას, რომელიც გერმანიის მეფეს შუასაუკუნეთა იმპერატორის გვირგვინს სთავაზობდა. ამის გამო ჰაინეს სასტიკი დაცინვა დაიმსახურა;

ლექსში „მიხელი მარტის შემდეგ“ დიდი პოეტი წერდა: „ძველი გმირები ვნახე და ვიციან ბრძენი არნდტი და მამა იანი, საფლავს ტოვებენ, რათა დაიცვან იმპერატორი სამართლიანი“. 89 წლის მწერალი მაინც ციხეში მოხვდა, თუმცა 1859 წელს ზემით აღნიშნეს მისი დაბადების 90 წლისთავი.

ბ ე ე რ ი, მ ი ხ ა ე ლ (1800—1833) — პოეტი, დრამატურგი, ძმა ცნობილი კომპოზიტორის მაიერბერისა, რომელმაც დაწერა მუსიკა მისი ტრაგედიისათვის „პარია“. ეს ტრაგედია გოეთემ მოიწონა. როგორც ამ დრამაში, ასევე სხვა ტრაგედიებშიც („კლიტემნესტრა“, „მახვილი და ხელი“) და სიუჟეტთან ლექსებში ბევრი ეხება კაცობრიობის მტკივნეულ, ტრაგიკულ მხარეს.

ბ ი უ რ გ ე რ ი, გ ო ტ ფ რ ი დ ა ვ გ უ ს ტ (1747—1794) — გამოჩენილი პოეტი და დაუცხრომელი მებრძოლი ბატონყმობის წინააღმდეგ. მკვლევარები ამ პოეტს ტარას შევჩენკოს აღარებდნენ. მისი ლექსები გერმანიაში აღრევე ისეთი პოპულარობით სარგებლობდნენ, როგორც გოეთეს, ულანდისა და ჰაინესი. მართლაც, მარტო მისი „ლენორე“ და მშვენიერად გადმოქართულებული „ბარონი მიუნჰაუზენი“ საკმარისია ამ პოპულარობის საბუთად. პირად ცხოვრებაში ბოლომდე აფორიაქებული იყო: უყვარდა ცოლისდა, რომელიც მეუღლის სიკვდილის შემდეგ შეირთო კიდგც (ავგუსტა, ლექსებში — მოლლი). ექვსი თვეც არ გასულა, რომ ეს ქალი მშობიარობას გადაჰყვა. მერე პოეტმა შეირთო თავისი პოეზიის თაყვანისმცემელი. ბიურგერი გარდაიცვალა ხულით მოტეხილი, მძიმე სნეულებით (ჰლექით), სწორედ შევჩენკოს ასაკში—ორმოცდაშვიდი წლისა. მისი ხალხურ საწყისებზე აღმოცენებული ბალადები დასაბამს აძლევენ საკუთრივ ლიტერატურულ ბალადას გერმანიაში. შილერმა არა მარტო დაჩრდილა ბიურგერის სახელი, არამედ მკაცრი რეცენზიაც დაუწერა, მშვენიერების შერყვნასა და ვულგარობას სწამებდა.

ბ რ ე ნ ტ ა ნ ო, კ ლ ე მ ე ნ ს (1778 — 1842) — სახელგან-

თქმული პოეტი-რომანტიკოსი, ვაჰრის შვილი, მწერალ ბეტინა ფონ არნიმის ძმა. რეაქციული თვალსაზრისი ჰქონდა და უკვდავება მოიპოვა არა თავისი ტრაგედიებით, კომედიებითა თუ ნოველებით, არამედ არნიმთან ერთად შეკრებილი, გადამუშავებული და გამოცემული „ყმაწვილის ჯადოსნური ბუკით“, რამაც გამორჩეული ადგილი დაიჭირა გერმანული ლიტერატურის, კერძოდ რომანტიზმის ისტორიაში. ეს იყო კლემენსის და ბრენტანოს, გერმანულ რომანტიკოსთა მეორე თაობის მეთაურთა, ჰაიდელბერგის ჯგუფის ამ ბირთვის რეაქციული თვალსაზრისის შედეგი: ხალხურობა, შუა საუკუნეთა იდილია უნდა დაეპირისპირებინათ მზარდი ბურჟუაზიული ცივილიზაციისათვის. მაგრამ ფაქტად დარჩა ხალხური საუნჯის შეგროვება და მაღალი გემოვნებით გადამუშავება. არნიმმა და ბრენტანომ იგივე როლი შეასრულეს პოეზიაში, რაც მათმა მეგობრებმა, ძმებმა გრიმებმა—პროზაში, თავიანთი უკვდავი ზღაპრების შეგროვებით.

ბ უ შ ი, ვ ი ლ ჰ ე ლ მ (1832 — 1908) — პოეტი, იუმორისტი და მხატვარი, მეტადრე ცნობილია რელიგიის წინააღმდეგ მიმართული სატირებით.

გ ა ი ბ ე ლ ი, ე მ ა ნ უ ე ლ (1815 — 1884) — ნიჰიერი პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი. სწავლობდა ბონსა და ბერლინში. ერთ ხანს იმყოფებოდა საბერძნეთში, რუსეთის ელჩის შვილის აღმზრდელად. მაშინ თარგმნა ბერძენ კლასიკოსთა ქმნილებები. ცნობილია მისი ტრაგედია „მეფე როდერიხი“, ესპანეთის ხალხური სიმღერების თარგმანი და მეტადრე აზრიანი, ლამაზი, გონებამახვილური ლექსები.

გ ე ო რ გ ე, ს ტ ე ფ ა ნ (1868 — 1933) — ანტიდემოკრატიული მიმართულების პოეტი. წმინდა ლირიკული ხასიათის ნიმუშების გარდა მისი ბუნდოვანი და რეაქციული მემკვიდრეობა ჩვენთვის უცხო და მიუღებელია.

გ ლ ა ს ბ რ ე ნ ე რ ი, ა დ ო ლ ფ (1810 — 1870) — ცნობილი პოეტი, სატირიკოსი, „ბერლინური მახვილი სიტყვის მამა“, ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწე.

- ვოგთვი, იოჰან ეოლფგანგ (1749—1832) — გვნიალური გერმანელი პოეტი და მოაზროვნე.
- ვრიუნი, ანასტაზიუსი (1806 — 1876) — ავსტრიელი პოეტი, მეტერნიხის რეჟიმის მოწინააღმდეგე, გრაფი (გრიუნი ფსევდონიმი. მისი ნამდვილი სახელია ანტონ ალექსანდრ გრაფ ფონ აუერსბერგი). მდიდარი მემამულე, ბრწყინვალე კამერკერი და მხიარული ჯაბუკი გრიუნი ხალხური პოეზიით სუნთქავს, და მის წოდებებში მოვლვარე არისტოკრატიზმი უცხოა მისი სალი, ჰუმანური, მახვილი ლექსებისათვის — „სიყვარულის ფურცლები“, „ვენელი პოეტის გასეირნებანი“, „ფრაკიანი ნიბელუნგები“, „კრაინული სახალხო სიმღერები“ და სხვა. თვით ფსევდონიმი „გრიუნი“ („მწვანე“) კარგად გამოხატავს მისი პოეზიის არსს.
- დრექსლერ-მანფრედი, კარლ ფერდინანდ (Drüxler დაიბ. 1806 წელს) ქვემო შტირიელი (ავსტრიელი) პოეტი, სწავლობდა ვენაში სამართალს, ბევრს მოგზაურობდა. გამოსცა რამდენიმე ლექსთა კრებული („რომანსები, სიმღერები და სონეტები“), წერდა ნოველებს, თარგმნიდა. დრექსლერის ლექსებში ყურადღებას იქცევს სიმსუბუქე, სისხარტე და სიტყვის მოკვეთილობა, სიტუაციის დახატვის უნარი.
- ვილჰელმი, ალოის (1765 — 1841) — შედარებით ნაკლებად ცნობილი გერმანელი პოეტი, რომელმაც ოსტატურად გადაამუშავა ხალხური თქმულებები იღუმალებით მოცულ ამბებზე.
- ველერი, გოტფრიდ (1809 — 1890) — დიდი შვეიცარიელი პოეტი და რეალისტი მწერალი. სახელი გაათქვა თავისი შესანიშნავი ლექსებით, ნოველებით („სელდვილელი ადამიანები“) და ავტობიოგრაფიული რომანით „მწვანე ჰაინრიხი“. დაიბადა ციურიხის ახლოს. პირველად მხატვარი იყო, მერე ეს საქმე თითქმის მიატოვა და მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე (81 წელი) მონადღმა ლიტერატურულ მოღვაწეობას.
- ვერნერი, თეოდორ (1791 — 1813) — ნიჭიერი გერ-

მანელი პოეტი, დრამატურგი, პატრიოტი. დაიბადა დრეზდენში. ოცდაორი წლისა არც კი იყო, როცა სამშობლოს ღირსებისათვის სასტიკ ბრძოლაში გმირულად დაეცა. თავისი სახელის უკვდავყოფა კი მაინც მოასწრო. მისი ლექსთა კრებული „მახვილი და ქნარი“ გერმანული პოეზიის ოქროს ფონდშია შესული, და სადაც გამოჩენილ გერმანელ პოეტებს ახსენებენ, იქ კერნერის სახელიც ისმის. პოეტის მამა იყო გოეთესა და შილერის ცნობილი მეგობარი და გამოცემული ქრისტიან გოტფრიდ კერნერი. ამ ოჯახს კარგად იცნობდა დიდი გოეთე. ეკერმანთან საუბარში მან საინტერესო მოსაზრება გამოთქვა: კაცი რომ ოთახში იჯდეს და საბრძოლო ლექსებს წერდეს, ეს არაფერი საკადრისიაო. საბრძოლო ლექსი ბრძოლის ველზე უნდა იწერებოდეს, ეს კი ჩემი საქმე არ იყო, არამედ კერნერისო.

კოპიში, ავგუსტ (1799 — 1853) — პოეტი, მხატვარი, მთარგმნელი, პროფესორი (არქეოლოგიას სწავლობდა რომსა და ნეაპოლში). თარგმნა — ურითმოდ — დანტეს „ღვთაებრივი კომედია“. აქვს ნოველებიც.

ლენაუ, ნიკოლოზ (1802 — 1850) — ავსტრიის ყველაზე უფრო გამოჩენილი პოეტი და მოაზროვნე, დაუცხრომელი მებრძოლი რელიგიისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ. ევროპის რეაქციის ცენტრში — მეტერნიხის ვენაში ცხოვრებამ მძიმე დაღი დაასვა პოეტის ავადმყოფურად მგრძნობიარე გულს და ამერიკაში წავიდა, რათა ნიაგარის ქუხილისათვის ესმინა და ეწერა ლექსები უღრან ტყეთა იდილიაზე. იქაც სიცრუე და დოლარის ბატონობა ნახა, სასოწარკვეთილი უკან დაბრუნდა და უკანასკნელი ექვსი წელი სულით ავადმყოფთა კლინიკაში გაატარა. მისი დრამატულ-ფილოსოფიური პოემები „ფაუსტი“, „სავონაროლა“ და „ალბიგოელები“ — ღრმააზროვანი სოციალური შრომებია, რომლებშიც პოეტი ცდილობს გადასჭრას ცხოვრების ურთულესი საკითხები. ხალხის ქომაგი პოეტი უღმობელია მჩაგვრელთა მიმართ, ფარდას ხდის სამღვდელთა ფარი-სველობას.

- ლილიენკრონი, დეტლევ ფონ (1844 — 1909), პოეტი, მწერალი, იმპრესიონისტი.
- მაიერი, კონრად ფერდინანდ (Meyer, 1825—1898), ცნობილი შვეიცარიელი პოეტი და ნოველისტი. მოკლე, ოსტატურად და მკაცრად შეკრული სიუჟეტისანი ლექსების გარდა აქვს ისტორიული ნოველებიც.
- მიორიკე, ედუარდ (Mürke, 1804 — 1875) — ნიკიერი შვაბი პოეტი, ლირიკოსი, ნოველისტი და რომანისტი („შხატვარი ნოლტენი“), გვიანდელი რომანტიზმის წარმომადგენელი, რომელიც არ იზიარებს ამ მიმდინარეობის ზოგიერთ გადაჭარბებას. სახელი გაითქვა თავისი მშვენიერი ზღაპრებითა და კობტა, გულწრფელი, საღი იუმორით შემკული, ხალხურ კილოზე გაწყობილი ლექსებით.
- მოზენი, იულიუს (1803—1867) — ცნობილი პოეტი, მწერალი, დრამატურგი. მუშაობდა დამცველად დრეზდენში, შემდეგ ოლდენბურგში. გამოსცა ლექსები, ნოველები და შესანიშნავი დრამები: „იმპერატორი ოტო III“, „ბერნჰარდ ვაიმარელი“, „ვეტო“ და სხვ. ეს დრამები ცნობილი არიან თავიანთი ხასიათების სიმყარითა და გამოკვეთილობით. მისი ძლიერი ხელი განსაკუთრებით იგრძნობა ცნობილ ბალადებში, რომელთაც გერმანელი ხალხი დღესაც იზიარებს.
- პლატენი, ავგუსტ ფონ (გრაფ ფონ ჰალერ-მუნდი, 1796 — 1835) — ცნობილი პოეტი, რომელმაც თავისი „ჯეირნებითა“ და „ლირიკული ფურცლებით“ გოეთეს ყურადღება მიიქცია (მეტად, ვიდრე ჰაინემ! — გოეთე, როგორც იმპერატორი, მზად იყო თავის იმპერიაში მხარეები და ოლქები მიეცა საშუალო ტალანტებისათვის, მაგრამ არ უყვარდა ტახტის პრეტენდენტები). ეკერმანთან საუბარში ვაიმარელმა ბრძენმა პლატენზე თქვა: მას აქვს ბრწყინვალე თავისებურებანი, მაგრამ აკლია სიყვარული; ისევე ნაკლებად უყვარს მკითხველები და თანამოკალმეები, როგორც საკუთარი თავიო. სხვაგანაც აქვს გოეთეს ნახსენები პლატენის „სულიერად მდიდარი, აღმოსავლეთის საკადრი-

სი, აზრიანი ლექსები“. სულ სხვა აზრისაა ჰაინე, რომელიც ლექსებსა და პროზაში შემთხვევას არ უშვებს დასცინოს „პლატენიდებსა“ და თვითონ „ცრუპოეტ“ პლატენს, და გადაჰკრავს ირიბად გოეთესაც, როცა მის მიერ შექმბულ პლატენს ადარებს ჰამელნელ მუსიკოსს (იხ. „ხალხური ბალადები“): აღმოსავლეთისაკენ მოგვიწოდებს, ჯეირნებისა და ქურციკთა მხარეში, რათა იქ ჩაგვახრჩოს, მაგრამ სიყალბე აღმოსავლეთშიც სიყალბედ რჩებაო. საერთოდ, პლატენს ან ზედმეტად აქებდნენ ხოლმე ან ზედმეტად აძაგებდნენ, და ორივე გადაჰკარბება იყო.

ბ ფ ა უ, ლ უ დ ვ ი გ (1821 — 1894) — პოლიტიკური მოღვაწე და პოეტი, რომელმაც 1848 წელს ბერლინში პირველად დააარსა სატირულ-პოლიტიკური ორგანო „Lulenspiegel“ 15 წლის განდევნილობის შემდეგ 1861 წელს დაბრუნდა ბერლინში.

ტ ი კ ი, ლ უ დ ვ ი გ (1773 — 1853) — გამოჩენილი გერმანელი პოეტი, დრამატურგი, კრიტიკოსი, რომანტიკოსთა იენის ჯგუფის წევრი (გვიან ტიკი ჩამოსცილდა რეაქციული გზით წასულ ძმებს — შლეგელებს. ერთ დროს კიდევ გაასახლეს ბერლინიდან). ლექსების გარდა ტიკს აქვს მდიდარი ლიტერატურული შემკვიდრება: ზღაპრები („პეტერ ლებერესტის ხალხური ზღაპრები“), დრამატიზირებული ზღაპრები („ჩექმებიანი კატა“ „გადმობრუნებული ქვეყნიერება“), რომანტიკული პიესები („იმპერატორი ოქტავიანი“) და სხვ. მისი ირონია მიმართულია განმანათლებლობის საყოველთაო ქველმოქმედებისა და რაციონალისტური პრიციპების წინააღმდეგ. ჰაინეს თქმით, ის ცოცხლობდა მხოლოდ შუა საუკუნეებით. მაგრამ მის ქმნილებებში ბევრი ღირსებაა. ჰაინე მაღალ შეფასებას აძლევს ტიკის ფოლკლორულ ნოველებს: „მკითხველი თავს მოჯადოებულ ტყეში გრძნობსო“. ხალხური მოტივებია მისი ბალადების მთავარი თემაც.

უ ლ ა ნ დ ი, ლ უ დ ვ ი გ (1787 — 1862) — პოეტი, პატრიოტი, მკვლევარი, ერთი ყველაზე უფრო ნათელი სახელთაგა-

ნი გერმანული რომანტიზმისა და საერთოდ ლიტერატურის ისტორიაში. შილერის გარდა გერმანულ ბალადას სხვა ასეთი ოსტატი არა ჰყოლია. ღრმად იყო დაუფლებული შუა საუკუნეების გერმანული და ფრანგული ლიტერატურის ისტორიას, აქვს დრამები და გამოკვლევები პოეტ ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდზე და ძველ გერმანულ სიმღერებზე, აგრეთვე პატრიოტული ლექსები და შრომა „მითი ღმერთ ტორზე“. მაგრამ უკვდავება მაინც მოუპოვეს „ძველებურმა ზემო და ქვემო გერმანულმა სიმღერებმა“ (1844), რაც ხალხმა იმთავითვე მიიღო და შეიყვარა. მათშიც იგრძნობა უსამართლობის მოძულე ულანდი. ულანდიდან იწყებენ ბალადის ახალ ისტორიულ ხანას. მას სამართლიანად ეძახიან ზემო გერმანული სკოლის მოციმციმე ვარსკვლავს.

ფ ა ლ კ ე, გ უ ს ტ ა ე (1853 — 1916) — მუსიკოსი და მწერალი. ხალხისა და რომანტიკოსთა ზეგავლენით შექმნილ მის ლირიკაში არის „რადაც ქალურად ნაზი და ბავშვურად გულწრფელი რამ“ (D. Gr. Brockhaus).

ფ ო ნ ტ ა ნ ე, თ ე ო დ ო რ (1819 — 1898) — პოეტი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი, ნატურალისტური თეატრის თეორეტიკოსი. სახელი ვაითქვა რომანტიკული ბალადებითა და სოციალური რომანებით. ახალგაზრდობაში რეალისტი იყო, ბოლო წლებში დემოკრატი გახდა.

ფ რ ა ი ლ ი გ რ ა თ ი, ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ (1810 — 1876) — გამოჩენილი რევოლუციონერი პოეტი, მარქსის ახლო მეგობარი. „ახალი რაინის გაზეთის“ რედაქციის წევრი. გვიან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პოზიცია დაიჭირა. ჭგრ ვაქარი იყო, მერე თავი გამოიჩინა ლექსებით და მეფემ დაუნიშნა პენსია, რაზედაც უეცრად უარი თქვა. რევოლუციური ლექსებისათვის „მკვდრები ცოცხლებს“ ბრალად დაელო მეფის შეურაცხყოფა და დააპატიმრეს. მეორედ პატიმრობას თავი დააღწია ლონდონში გაქცევით. ფრაილიგრათის მებრძოლი ლირიკა სრულიად თავისებური და მომხიბლავია. ნამდვილი ოსტატია უდაბნოების, ზღვების, მცხუნვარე სამხრეთის აღწერაში, შეუღარებლად კარგად ხატავს ზარდამკემ-

სა და ტრაგიკულ ამბებს. ამ მხრივ ძლიერია „ზანგების მეფე“, რაც გახდა ჰაინეს მახვილი ირონიის საგანი. ამ ლექსის ერთგვარი პაროდის თემაზე ააგო დიუსელდორფელმა მარციალმა თავისი პოემა „ატა ტროლი“.

შამისო, ლუი შარლ ადელბერტ ფონ (შეცდომით წერენ: ადალბერტ. 1781 — 1838) — ყველაზე უფრო გამოჩენილი პოეტი იმ არაგერმანულ პოეტთა შორის, რომლებიც გერმანულად წერდნენ. ეს თავისებური რომანტიკოსი პოეტი და სწავლული, გერმანულად თურმე, გაუბედავად ლაპარაკობდა (ფრანგი ემიგრანტი იყო), მაგრამ შექმნა უკვდავი, ნაზი, ადამიანური სიყვარულით გამთბარი ლირიკა, მრავალი ბალადა და „პეტერ შლემილი“, ისტორია კაცისა, რომელსაც დაეკარგა საკუთარი ჩრდილი. ცნობილია პოლიტიკური სატირებითაც. როგორც ბუნებისმეტყველს, აქვს აღმოჩენები ბოტანიკაში. სიამოვნებით გაპყვა რუს ზღვაოსან კოცებუს აღდგომის კუნძულზე გემ „რიურიკით“, როგორც ბუნებისმეტყველი, მაგრამ კოცებუმ მადლობის ნაცვლად ინტრიგებით მოუშხამა გული.

შილერი, ფრიდრიხ (1759 — 1805) — გენიალური გერმანელი პოეტი, „გერმანელთა შექსპირი“. მისი დიდება ეამთა სვლასთან ერთად იზრდება, თუმცა თანამედროვე პედანტები „ქრესტომათიების პოეტად“ თვლიდნენ, და თვით მოხუცი ვაიმარელი ბრძენი — გოეთე წუხდა: მგონი, კლოპშტოკის ბედი ელისო; მაგრამ შილერის სახელი დიდი ხანია კაცობრიობამ ჰომეროსის, გოეთეს და შექსპირის გვერდით დააყენა. შილერის უკვდავი ბალადები დაწერილია ძირითადად 1797 წელს („ბალადების წელი“).

ჰაინე, ჰაინრიხ (1797 — 1856) — დიდი გერმანელი პოეტი, კრიტიკოსი, მოღვაწე, მსოფლიო ლირიკის მარგალიტი. ფაქიზი ლირიკული ლექსებისა და დაუნდობელი სატირების გარდა ჰაინეს აქვს მრავალი ბალადის ტიპის ნაწარმოები („ჰასტინგსის ბრძოლის ველი“, „დონ რამირო“, „ქველარს წასვლა სალოცავად“ და სხვ.

ჰაუგი, იოჰან ფრიდრიხ (1761 — 1829) — ცნო-

ბილი ეპიგრამატიკოსი და პოეტი, მოძღვრის შვილი, კარგი. სწავლისათვის მიიღო მრავალი მედალი და აკადემიის ორდენი. სწრაფად მიიწვედა წინ, არა მარტო პოეზიაში, არამედ კარიერის კიბეზეც, ოცდათორმეტი წლისა უკვე გახდა მეფის კარისკაცი და შტუტგარტის ბიბლიოთეკარი. ახლო იცნობდა შილერს.

პ ე ბ ე ლ ი, ფ რ ი დ რ ი ხ (1813 — 1863) — პოეტი და დრამატურგი, გამოირჩევა გამოსახვის დიდი ძალით, მაგრამ მისი გმირები სულიერ სამყაროში იბრძვიან და არა სოციალურ ასპარეზზე („მარიამ მაგდალინელი“, „ნიბელუნგები“). ცნობილია მისი დღიურები და ლექსები.

პ ე ლ ტ ი, ლ უ დ ვ ი გ. '') t y, 1748 — 1776) — ფაქიზი გრძნობის პოეტი, მოძღვრის შვილი. ცხრა წლისამ დედა დაკარგა, ბავშვობა მოეშხამა და მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა მძიმე სულიერი დადი. თავის ლექსებშიც, რომელთა გამოცემას სიცოცხლეში ვერ ეღირსა (იშვიათი ამბავი გერმანულ სინამდვილეში!), ჰელტი გამოხატავს დაღდასმული კაცის ნაღვლიან განწყობილებას. გარდაიცვალა კლექით ოცდარვა წლის ასაკში. თავის ბალადებს თვითონ თავშესაქცევად თვლიდა, მაგრამ ხალხმა ისინი გულთბილად მიიღო.

პ ე რ დ ე რ ი, ი ო ჰ ა ნ გ ო ტ ფ რ ი დ (1744 — 1803) — სახელგანთქმული პოეტი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი. მნათეს შვილი, კენიგსბერგში უსმენდა კანტს, გაიტაცა რუსომ, აგულნიანებდა „შტურმ უნდ დრანგის“ მოღვაწეებს და თვითონ ახალგაზრდა გოეთეს, აღვივებდა გერმანული კლასიკის სამოქალაქო ჰუმანიზმს. სახელი გაითქვა ფილოსოფიური შრომებით („იდეები კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიისათვის“), უკვდავება მოიპოვა მსოფლიოს ხალხთა სიმღერების კრებულთა „ხალხთა ხმები სიმღერებში“ (1778 — 1779), რითაც მთელი ეპოქა შექმნა.

პ ე რ ვ ე გ ი, გ ე ო რ გ (1817 — 1875) — მარტის რევოლუციის წინა დროის რევოლუციონერი პოეტი, ავტორი ცნობილი ლექსებისა „ცოცხალი ადამიანის ლექსები“.

გოლოსიტყვაობა

დაუშრეტელია გერმანული ბალადების საგანძური. შეგიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში არც ერთ ხალხს არ დაუმუშავებია ეს მომხიბლავი ჟანრი ისე ღრმად და ფართოდ, როგორც გერმანელებმა დაამუშავეს. თქვენ თავი ფერიების, რაინდებისა და ზღაპრულ ქალწულთა სამეფოში გგონიათ. ხალხი და მხატვრული სიტყვის ოსტატები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, და ეს პოეტური შეჯიბრი ზოგჯერ ხალხური და ცნობილ ავტორთა შემოქმედებითი კავშირის შედეგებს იძლევა, რომლებშიაც ვერ გაარჩევთ, სად თავდება ხალხური და სად იწყება ცნობილი პოეტი.

მთარგმნელის წინაშე იდგა ორგევარი ამოცანა: შერჩევისა და თარგმნისა. რაკი ასეთი ხასიათის წიგნი ქართულად პირველად გამოდის, და ისიც შედარებით მცირე მოცულობისა, მთარგმნელი მოვალე იყო მის ხელთ არსებული სულ ცოტა ექვსას-შვიდასი ბალადიდან შეერჩია ყველაზე უფრო მაღალ მხატვრული, ნათელი, ცნობილი და საკითხავად სასიამოვნო ნიმუშები, ამასთან არ გაემეორებია ის, რაც უკვე თარგმნილი და გამოქვეყნებულია, რათა ჩვენი შრომა ავსებდეს და არა იმეორებდეს სხვა მოღვაწეთა ნაამაგარს (არის მხოლოდ ორიოდ აუცილებელი გამონაკლისი). კრებულში შესული ნიმუშები თავად გვიჩვენებენ, რამდენად სწორად ჩატარდა ეს შერჩევა. ცხადია, არც ეს შერჩევა და არც შერჩეულის დალაგება არ იქნება უნაკლო. რაც შეეხება თარგმანს, დედნის ტონისა და რიტმის მრავალფეროვანების შესაბამისად გამოყენებულია ქართული ხალხური თუ პოეტური ლექსის მრავალი ზომა. რითმული ვარიაციები, სიტყვის თამაში, შედარება და სხვა სამკაული შეძლებისამებრ შენარჩუნებულია, ოღონდ ნურავეინ დაიწყებს საერთოდ ლექსში სტრი-

ქონთარგმანის ძებნას, გადახვევა არაა საშიში ექ, სადაც დედნის აზრი და არსი შეუბღალავი რჩება. საერთოდ, ეს მისაწვდომ საგანთა რიცხვს ეკუთვნის, და გოეთეს თვალსაზრისს ამ საქმეში შილერის უფრო ოპტიმისტური პოზიცია სჯობს: რომ თარგმანის ვალია არა მარტო ინტერესის აღძვრა დედნისადმი, არამედ დედნის მაგივრობის გაწვევაც, და ისიც არა მარტო დედნის ენის მკოდნისათვის, არამედ ყოველი გონიერი და დაინტერესებული ადამიანისათვის. მხოლოდ ხალხი გაარჩევს, რამდენად არის დაძლეული ეს ამოცანა.

თუ წინამდებარე კრებული ცხოველ ინტერესს მაინც აღძრავს გერმანული ბალადების ფერადოვანი სამეფოსადმი, ესეც უკვე საკმაო პატივი იქნება მთარგმნელისა და გამომცემლობისათვის.

კრებული შეიცავს მხოლოდ ხალხურ და კლასიკურ ბალადებს (არაა ჩვენი საუკუნის ნიმუშები). მთარგმნელი ემყარებოდა ძირითადად შემდეგ გამოცემებს: 1. Deutschlands Balladen-und Romanzendichter (v. Jgnaz Hub), Karlsruhe, 1846, 710 S. 2. Deutsches Dichterbuch aus allen Jahrhunderten (von Ludvig Bechstein. Lpz., 1844; 3. Der „deutsche Spielmann, München, 1903; 4. Des Knaben Wunderhorn, gesamm. von Arnim und Brentano Charlottenburg, 1845, I-II B.; 5. Uhland, Alte hoch- und Niederdeutsche Volkslieder, B. I; 6. Das deutsche Balladenbuch, Rudolfstadt (Zschech), S. 432.; 7. Deutsche Balladen aus Bürger bis Fontane, herausg. von G. Keil, Reclam, Lpz.; 8. Volkslieder aus Hessen, Lpz., 1959, და სხვ.

აკაკი გელოვანი



ს ა რ ჩ ე ვ ი

გერმანული ბალადა (წინასიტყვაობა ზურაბ ჭარ-
ხალაშვილისა)

5

ხადხური ბადაგები

სიკედლისა და სიკოცხლის დავა	21
ბატონი ტიღმანი	23
ემპერატორი ბარბაროსა კიფჰაიზერში	26
უფლისწული და მეფის ასული	29
უღინგერი	33
ჰამელნელი მუსიკოსი	39
ლორელაი	42
მწირი და ღეთისნიერი ქალი	44
ბატონი ფალკენშტაინი	47
ტაუბენჰაიმელი მოძღვრის ასული	50
მწვანე ტყეში დადიოდნენ მიჯნურები ერთად	52
ძველი მხედრული სიმღერა	54
ვაინსბერგელი ქალები	57
შვიდი შვაბი	62
უგულ და	66
მშვენიერი ლილოფვა	69
ოთხი სიზმარი	73

არნიმი და ბრენტანო

ტანპოიზერი	76
სიყვარულის გამოცდა	82
ლაიკო	85
დაგვიანებული მოსაველი	87
ბავარიელი პიზელი	89
- ბედშევი შვარტენჰალსი	94

ჰერდერიდან უღანდამდე

გოტფრიდ ავგუსტ ბიურგერი

ტყის მეფის ქალიშვილი	99
სიმღერა ექვიან ბიჭზე	103
სიმღერა ახალგაზრდა გრაფზე	105

გოტფრიდ ავგუსტ ბიურგერი

ლენორე	107
--------	-----

ლუდვიგ ჰელტი

მომღერალი და მეფის ასული	118
--------------------------	-----

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ტყის მეფე	120
-----------	-----

ფრიდრიხ შილერი

ხელთათმანი	123
------------	-----

იოჰან ფრიდრიხ ჰაუგი

სამი რაინდი	128
-------------	-----

ლუდვიგ ტიკი

ზიგფრიდის ყრმობა 131

კლემენს ბრენტანო

ლორე ლაი 136
რაინსე 142

ადელბერტ შამისო

ლომის სარძლო 147
არჩევებზე მონადირე და მწყემსი ქალი 150
ლამე ნავში 153
ჩრდილოეთის ვეფე 157
ბუმბერაზის სათამაშო 159
ცხოველი მზე ნათელს მოპლენს ყოველივეს 163

ალვის ვილჰელმი

გრძნეული ტბა 167

თეოდორ კერნერი

ამფიარაოსი 169

უდანიდან ახად დრომდე

ლუდვიგ ულანდი

გრაფი ებერშტაინი 175
საძი სიმღერა 179
მურისგება 180
დიასახლისის ქალიშვილი 182

22. გერმანული ბალადები

ბიდასოას ხიდი	184
ჩაძირული გვირგვინი	187
იოსებ ფრაიბერ ფონ აიხენდორფი	
ლორელი	189
დაღუპული	191
დამსხვრეული ბეჭედი	192
აღსასრული	194
მიხაელ ბეერი	
იმპერატორ კარლოსის მიმოსვლა.	196
არნსტ შორიცი არნდტი	
შპილმანის ვაჟი	199
ავგუსტ ფონ პლატენი	
სამარე ბუზენტოში	201
ჰაინრიხ ჰაინე	
ორი გრენადერი	203
კევილარს წისვლა სალოცავად	206
ფრაუ შეტე	211
ორი ძმა	216
პფალცგრაფის ქალი ჭუტა	218
შეფე პარალდ პარფაგარი	220
ავგუსტ კობიში	
თაგვების კოშკი	222

ნიკოლოზ ლენაუ

მინისტრის სამარეზე 224

იულიუს მოზენი

წყლის მეფე 226

ედუარდ შიორიკე

ცეცხლის მხედარი 228

საბედისწერო კურთხევა 231

კარლ-ფერდინანდ დრექსლერი-მანფრედი

არაბელა 233

ფერდინანდ ფრაიფიგრატი

ზანგების მეფე 235

ლიევე ვრე 241

გეორგ ჰერვეგი

გუტენბერგი 243

ადოლფ გლასბრენერი

მედოლე 245

ქურდები 248

ნანგრევები 250

დუდვიგ ბუაუ

ფიჭობრი 257

ანასტაზიუს გრიუნი

მოხერხებული მაცნე 255

ფრიდრიხ ჰეპელი

ყმაწვილი ველზე 258

ყმაწვილი ქასთან 262

ბავშვი 264

ხე უდაბნოში 266

მქინარე ბავშვი 267

მთხოვარა ვოგო 268

ემანუელ გაიპელი

ოქროს მაძიებელი 269

ჯინერის წვერზე 273

გოტფრიდ კელერი

კირასირი 276

ნიკოლოზ I 279

აროლაიდი 281

თეოდორ ფონტანე

გორმ პირქუში 283

არჩიბალდ დუგლასი 287

ბარბარა ალენი 292

კონრად ფერდინანდ მაიერი

ორი სიტყვით 294

ეტყელის მახვილი 296

დეტლევ ფონ ლიდიენკრონი

ახალი რკინიგზა

293

ვილჰელმ ბუში

მკვებარა

302

გუსტავ ფალკე

მომკელი ქალი

304

სტეფან გეორგე

სიმღერა

307

ჰაულ ცეხი

ბრმა ცხენის ბალადა

310

შენიშვნები და საძიებელი

შენიშვნები .

315

აგტორთა საძიებელი

322